ლიტერატურული გაზეთი

№22 (302) 26 ნოემბერი - 9 დეკემბერი 2021 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

ჩაფიქრება თემაზე — პოეზია

ზოგჯერ, როცა ძალიან შეაწუხებს
ჩემი ცხოვრების წესი
და ავტონომიის მოთხოვნაზე,
მერამდენედ მიიღებს უარს,
ჩემი ტანი ზედ კეფასთან ჭრიალით მოირღვევა
და წავა სიტკბოსკენ
დამოუკიდებელი, ერთმმართველი, სრულიად ტანი,
რომელსაც ფიქრებით დამძიმებული
თავი მოუცილებია, სული ლარნაკში
ჩაუყუდებია ყვავილივით,
გათავისუფლებულა ჩემი მკაცრი, შავ-თეთრი სტილისგან
და ფორმებიანი, მოთახთახე, ჯანსაღი ტანი
მიდის სიტკბოსკენ!
შუა ქუჩაში თავი მიგორავს,
რომელსაც მანქანები ისე უფრთხიან,
როგორც ცხენი პირველ მანქანას,
ის კი კმაყოფილია,
მშვიდი და განყენებული ფიქრის
დრო მისცეს,
მას სულ არ ეშინია ტანის ამბოხების,
ერთადერთი, რაც აფიქრებს, ეს არის სული,
რომელიც ახლა ლარნაკშია ყვავილივით
ჩაყუდებული, პირი წყლით აქვს სავსე
და ვეღარ ამოუთქვამს „წმინდა გონების კრიტიკა“
და ვცხოვრობ ასე, ხორცშესხმული ომი,
თეთრი და ალისფერი ვარდების
ასწლიანი ომი, მაგრამ ამას ვერავინ ხვდება,
პირიქით, მეუბნებიან: — რა კარგად გამოიყურებით!
ჩემს ტანს გულისხმობენ, მოვლილს და ძოწითმოსილს,
— როგორ აზროვნებთ და რა უცნაურ ლექსებს წერთ!
მათ რა იციან, რა ძლიერი სახელმწიფოს
საზღვართან დგანან —
დამოუკიდებელი, ერთმმართველი, სრულიად პოეზიის!

IV

მარიამ წიკლაური

დარაჯი

ადამიანი დარაჯია.
ღმერთს ამოწმებს,
განაბული,
არსაიდან შემოეპაროს.
განა მზე უკვირს, განა ბალახი,
დინება წყლის და ჰაერის ლოდი?!
ფიქრობს — გულში იმას რა უნდა?!
გული ჩემია, მე ვაძგერებ მას გამალებით.
აი, მოვა, ერთხელაც მოვა
და სიცოცხლეზე გადმოალაჯებს
ეგ არამკითხე.
თვალზე რული არ ეკარება,
ღობავს ცხოვრებას,
საგულდაგულოდ გმანავს ღრიჭოებს,
რომ ვეღარ შეძლოს
აქ შემოსვლა,
დასაკუთრება იმისი, რაც ქმნა,
ჩხრეკა სინდისის,
ხსოვნის ჟღრიალი,
სიყვარულის დიქტატურა,
გულთა სრული ოკუპაცია.
ადამიანი დარაჯია,
ძლივს იშოვა სამსახური,
უფრთხილდება —
არ გაჭაჭანდეს ის,
ვისი მოსვლაც
სუყველაფერს თავდაყირა დაატრიალებს...

VIII-IX



ზოგს რა ბედი აქვს

1.

უკვე ყელში ამოვიდა, რა, ეს უიღბლობა.

წელს მაინც ძაან უბედურად წაეწყო. მანქანა არ გამოვცვალე — ჯერ კანარებს მოვივლი-მეთქი — ამდენი ხანია, მინდა. მერე — დაწინაურებას გიპირებთო და კანარები გადაიდო — კიდევ უფრო დიდი ხანია, დირექტორის მოადგილეობას ვუმიზნებ. უმიზნე და იყავი — დეპარტამენტის უფროსობა ძლივს გამოვიდა. რო ვიცოდი ჩემი ბედის ამბავი, აღარ გავჭედე. მეთქი, ხასიათს ცოტათი მაინც გამოვიკეთებ — ახალ პოსტზე ახალი იმიჯით მოსასვლელად მზადება დავიწყე. ჯერ სალონში მომიშალეს ნერვები და საჭიროზე თხელი ბლანჟეთი გამომიშვეს. მერე, ის-ის იყო, შოპინგს მოვრჩი, რო არგამოცვლილმა მანქანამ არგამოცვლა გამიხსენა და გაჩერდა. ხელოსანმა — სამი-ოთხი დღე მაინც მინდაო. მოკლედ, ახალ პოსტზე გამოცხადება ფეხით მიწევდა. სამასი მეტრისთვის ტაქსს ვერ გამოვიძახებდი. ისიც ახლა ლიმუზინი არ მოსულიყო. დაძინებამდე ვფიქრობდი, კიდევ რა გამიფუჭებდა ხასიათს. გაღვიძებულს კაი ნაწვიმარი დამხვდა. ანუ სამსახურამდე სველზე უნდა მევლო — სამასი მეტრია თუ რაც არი. ის ტბასავით გუბე არ გამხსენებია, ოფისის წინ წვიმა რომ ჩააყენებს ხოლმე.

რამე უბადრუკობა ყოფილიყო — ხმას მაინც გავიგონებდი წინასწარ. შავი ჰამერი კი მაშინღა შევამჩნიე, ტბაში კატერივით რო შევარდა. ზუსტად ის წამი იყო, გუბის პირას ჩაფიქრებულმა გადაწყვეტილება მივიღე — მარცხნიდან შემოვუვლი-მეთქი. აღარ დამჭირდა შემოვლა. კარგა ხანს გამდიოდა ჭუჭყიანი წყალი და მეჩვენებოდა, რო ფანჯრებს მოკრული თანამშრომლების სიმძიმეს ოფისი წინ გადმოეხარა. ფიქრით კი ვეღარაფერს ვფიქრობდი, ამის გარდა: ჩემი ბედის დედა რო... ჩემი ბედის...

2.

ბებიაჩემი რომ მეუბნებოდა ხოლმე — ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადეო — ეგეთი სიმართლე ბევრს არ ექნება ნათქვამი. რას არ გადავურჩი ცხოვრებაში. თან, ფილოსოფიურს კი არ ვბაზრობ და შესაძლო ფათერაკებს კი არ ვგულისხმობ. რეალში რაც დამმართია, იმ ყველაფრიდან ძალიან ცოტა გამოძვრებოდა. მეც, მგონი, თავში ამივარდა — წინასწარ არაფერზე ვფიქრობ, ხვალის განრიგებს არ ვადგენ და არც ქუჩაზე გადასვლამდე ვიხედები აქეთ-იქით სამ-სამჯერ. იღბალმა იცის თავისი საქმე.

აი, წარმოიდგინე, მოსახვევიდან გიჟივით გამოვარდნილი ჰამერი დაგეჯახოს და ერთი ფეხის მოტეხით გადარჩე! რა ჰქვია მაგას?! ექიმმაც — ორ თვეში ჩვეულებრივად გაივლიო. სამსახურის ამბავი კი გადამედო ცოტა, მაგრამ ორი თვეც რაღაა. ავდგები და მოვძებნი რამეს; იმაზე უკეთესს მაინც, დღეს რომ ვიწყებდი ვითომ — რაკი ჩემით უარის თქმა გამიჭირდა. იმ ჰამერმა მიხსნა, ეგრე გამოდის.

3.

გაასწორა დილაადრიან, ნამთვრალევზე, მანქანით ჯლიგინმა... საღამოს ცოტა ტალახიანი კი დამხვდა. მთავარია, ბამპერს არაფერი ეტყობა. არადა, მგონი, რაღაცას გავედე. მაგიტო მევასება ჰამერი. დღესაც რა კარგი იყო.

ხარვეზი

აჰა, შეინძრა. ატორტმანდა. ატივტივდა. დაიძრა. როგორც იქნა, გაუყვა უკანასკნელ გზას. ამ მანძილსაც მოითმენს. იცის, რამსიგრძეც უნდა იყოს, აუცილებლად დამთავრდება. დაუსრულებელი მხოლოდ ის ნეტარებაა, გზის ბოლოს რომ იწყება.

დიდხანს ელოდა. მთელი სიცოცხლე. და კიდევ ის დრო, რაც კარანტინში დაჰყო და სიცოცხლეზე ნაკლებად როდი გაიწელა. არ ეგონა, ამდენ ხანს თუ შეაყოვნებდნენ. თან, ბევრი მასზე გვიან შემოსულიც ეწია თავის გზას, კარგს თუ ავს. არ შეიმჩნია. მით უმეტეს, არ გაუპროტესტებია — რიგი დაიცავითო. ერთი სული კი ჰქონდა, კუთვნილ გზაზე გაეშვათ. ზუსტად იცოდა, რომელი გზა ეკუთვნოდა.

საკონტროლო გადამოწმების შფოთი მაინც იგემა. რა გასაკვირი იქნებოდა, როგორც ყველაფერი დანარჩენი, მეხსიერებაც თუ ღალატობდა. ჰოდა, ტესტს რომ უშნო რამ შვება, ხალისი ან სულაც — ფუი ეშმაკს — სიხარული ამოეგდო... საბედნიეროდ, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დადასტურდა, რომ მთელი მისი ცხოვრება უმწიკვლო უბედურება იყო: მშობლისთვის საბედისწერო შობიდან — ნაგვის ბუნკერში ამობუგვამდე.

ხარვეზის ელფერი მაინც თუ რამეს დაჰკრავდა — მის ერთადერთსა და მარადიულ იმედს. თუმცა ცოდვად ვერაფრით ჩამოართმევდნენ. თუკი სიცოცხლის შემდეგ სამოთხეში მოხვედრის იმედი საერთოდ არსებობს, ის მას ეკუთვნის, ვინც სიკვდილამდე ჯოჯოხეთში ცხოვრობს.

ამ უპირატესობას კი ვერ დაუკარგავდი. აკი მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა ბოლოჯერ ამოისუნთქა. მორჩა. უკან ვეღარაფერი დააბრუნებდა. ვეღარაფერი დააბრუნებდა იმ კოშმარს, რასაც მისი სიცოცხლე ერქვა. თუ იმასაც სიცოცხლე ერქვა, რაღა თქმა უნდა.



რაც იყო, იმაზე კიდევ უფრო შთამბეჭდავი და მოუნელებელი აღმოჩნდა, ვიდრე სიცოცხლეში ეგონა. ჰო, აბა, რას იფიქრებდა, თუ იმ კოშმარის ლანდები და შეგრძნებები სასუფევლის სულსადენშიც შემოჰყვებოდა — რათა ამდენი ხნის ნალოლიავები სიხარული არ დაენებებინა და თუნდაც ეს პირველი მანძილები შეეგღალა უსიამო სიმრუმით; როგორღაც და საიდანღაც კვამლივით ნისლიც კი წამოეშალა, ტრუსის სუნდაკრული; ბოლოს და ბოლოს გალანდული შორეული ათინათებიც — უეჭველად სანუკვარი სამოთხის მზისა — უფსკრულიდან ამოსხლეტილი ალის ენებად დაესახა; ხოლო უცხო ფრინველთა ხმიანობა — კანტიკუნტად გამომკრთალი წალკოტის უჭკნობი და უსიერი ტოტებიდან — ლამის რამე უშნო ყრანტალად, ან სულაც განწირული ადამისშვილის ამოძახილად ჩაესმინა...

ცოტაც მოითმინე, ტანჯულო სულო. ცოტაღა დარჩა სამოთხემდე — აღთქმულ მარადიულ ნეტარებამდე!

•

მცირე ხნით ადრე:

— ბოლოს და ბოლოს, სად არის უმაღლესი კონსილიუმის დასკვნა?! რას ვაწერთ ხელს?! შეიძლება, ფორმულირებას გავეცნო?!

— ინებეთ: „ვინაიდან და რადგანაც მას წარმოდგენაც არა აქვს შვებაზე, ხალისზე და, მით უმეტეს, სიხარულზე და მთელი მისი ქვეყნიური სიცოცხლე, პირველიდან ბოლო დღემდე, გამონაკლისის გარეშე, იყო კრისტალური უბედურება და დედამიწური ჯოჯოხეთი, მან ცალსახად დაიმსახურა მარადიული სასუფეველი, იგივე სამოთხე...“

— აჰა! თქვენ თვითონ ამბობთ!..

— დამამთავრებინეთ, თუ შეიძლება. „მაგრამ ვინაიდან და რადგანაც მას წარმოდგენაც არა აქვს შვებაზე, ხალისზე და, მით უმეტეს, სიხარულზე და მთელი მისი ქვეყნიური სიცოცხლე, პირველიდან ბოლო დღემდე, გამონაკლისის გარეშე, იყო კრისტალური უბედურება და დედამიწური ჯოჯოხეთი, მისთვის მარადიული სასუფეველი, იგივე სამოთხე აღმოჩნდებოდა თავზარდამცემი, აუტანელი, გამანადგურებელი შოკი. ასე და ამრიგად...“

— და თქვენ ეს სამართლიანად მიგაჩნიათ?!

— ეს მიგვაჩნია ოპტიმალურ ვარიანტად იმ ვარიანტებს შორის, რომლებიც ჩვენს ხელთაა, და რომელთა რიცხვი, როგორც თვითონაც მშვენივრად მოგეხსენებათ, ორია... თუ თქვენ უპირატესობას შოკით განადგურებას ანიჭებთ?

— დავამატოთ მერე! დავამატოთ მესამე ვარიანტიც, ეს ოხერი!

— კარგი, რა. არ იცოდეთ მაინც, ამ ორ ვარიანტზე შეთანხმებას რამხელა დრო და დავიდარაბა დასჭირდა. და ისიც არ იცოდეთ, ამ ორ ვარიანტსაც ეჭვის თვალით რომ უყურებენ ჯერ კიდევ, ან უარესი — უფრო და უფრო.

— ჰო, მაგრამ... იმსახურებს ერთს და იღებს — მეორეს... ეს ხომ მთელი ჩვენი სამართალწარმოების კრახია?! ნამდვილი კრახი!

— ვფიქრობ, გადაჭარბებული შეფასებაა. მე უფრო ხარვეზს დავარქმევდი.

განსაცდელი

გაუმარჯოს სასტავს! რას შვებით, ე? ჯიგრულად, ხო? ძაან მაგარი.

ბიჭებო, რაღაც კითხვა მაქვს ერთი, როგორც ყველაზე ნიჭიერ და მაგარ ხალხთან. ხო გცალიათ ორი წუთი? არა, ისეთი არაფერი, მარა...

კაროჩე, გუშინ ვიყავი გადაცემაში. გადაცემაში რაა, ჩაწერაზე. აქ, ჩვენ ტელევიზიაში. აი, ბავშვები რო ზიან ესე წრეზე და შუაში — ვზროსლი ტიპი, ცნობილი, სტუმარი. და ეს ბავშვები რო რაღაცებს ეკითხებიან. და ტიპი რო პასუხობს. აეგ სტუმარი ვიყავი მე.

და ვდრუგ ერთმა რა კითხვა გამიძრო? ბატონო ისა, ღმერთი არსებობსო?

იმ პროდიუსერებისგან გამიტყდა, ტოო, წინასწარ რო არ მაჩვენეს კითხვები და ისა. ხო ეგენი ამზადებენ ალბათ. აბა, ბავშვებმა ეხა საიდან. ნუ, მე თითონ ნაფიქრი მქონდა რაღაცები. მარა უფრო ჩემზე რა — ბავშვობა და რამე. სხვა რა უნდა მკითხონ-მეთქი.

კაროჩე. ნუ, როგორც არი, ყველა ვარიანტში უნდა უპასუხო, რა. მარა თან იზმენაში ვარ, ტოო! რამე ისეთი რო ვთქვა და მერე ტელევიზორში გაუშვან, ხო აზზე ხარ, როგორ ტეხავს. ბანძდები ეგრევე — იმ მსახიობმა რაღაც სისულელეები იბაზრა... რავი, მერე შეილება აღარც დაგიძახონ სადმე. ჰო და არასაც ვერ ეტყვი — ცოტა უნდა გაშალო — გადაცემის ფორმატია. ძაან დიდხანს ფიქრიც არ მოსულა. ხო აზზე ხარ — გაჭედა და რაღაც. და ის ჰო და არა კიდე უფრო აპასნია — ხო უნდა გაარტყა.

კაროჩე, ბოლოს რაღაცნაირად მოვბილიზდი და ესეთი რამე ვუთხარი. გეტყვით ეხა. და თქვენგან რა მაინტერესებს: რამე ძაან სირობა ხო არ ვიბაზრე, ტო?

.....

ვაა, ჯიგრები ხართ! აი, იმენა მომეშვა, რაა. ანუ სხვა დროსაც რო მკითხონ და ეგენი ვუთხრა, არ არი, ხო, პრობლემა?.. გაიხარეთ. გავედი ეხა, გეხვევით ყველას. ადიოზ!..

ისა, და ისე, არსებობს?

ტექნოკრატია

ძველებურად როდი მილასლასებდა. მერე რა, რომ ახლა, ძველმანების პარკთან ერთად, ჯაჭვის ბოლოც ეჭირა და ცალი თვალიც თანამგზავრზე ჰქონდა — წინ თითქოს რაღაც ეწეოდა, იმედის მსგავსი.

მისი ბედის ადამიანებს უსაფუძვლო იმედები არა სჩვევიათ. მათ სახელმწიფო ლიდერთა ისეთი განცხადებებიც ვერ აღელვებთ, რომელთა თანახმად, ტექნოლოგიური განვითარების სიკეთეს მალე მოსახლეობის უღარიბესი ფენაც კი იგრძნობს. ეგ არის, ყველაფრის მიუხედავად და ბოლოს და ბოლოს, ტექნოლოგია მის ცხოვრებას მართლა შეეხო, და ამ უჩვეულო შეხებამ ზემოხსენებული იმედის ნაპერწკალი გაჰყარა.

დანიშნულების ადგილიც მალე გამოჩნდა. მგონი, ასე ადრე აქ არასდროს ყოფილა. არადა, რამდენი წელი, ლამის ყოველდღე მოდიოდა, რათა ძველ პალტოზე, როგორც მცირე რამ სცენაზე, მოკალათებულიყო და შეღამებამდე გაეჭიმა თავისი ერთადერთი სიმღერა.

მზერა მიმოატარა. არ ეგონა, გული თუ აუჩუყდებოდა. მაგრამ ზოგ დასასრულს ურთიერთსაპირისპირო გრძნობების აშლა სცოდნია. ივარაუდა, რომ პენსიაზე გასვლას ჰგავდა ეს ყველაფერი. არა, დილასაღამოს ისევ მოუწევდა აქეთ შემოვლა, მაგრამ ძირითად სამუშაოს ალბათ შინ ჯდომა და ლოდინი ჩაანაცვლებდა.

საქმეს სენტიმენტები არ უყვარს. კანტიკუნტი შესაძლო კლიენტი კი უკვე მიდიმოდიოდა, სრულიად უსარგებლოდ. იმ ბოძს მიადგა, რომელსაც კარგა ხნის წინათ და ალბათ სამუდამოდ დასტყობოდა მისი ნაზურგალი. პარკიდან პალტო და ქუდი ამოიღო. დაფიქრდა და პალტო უკან ჩააბრუნა. თანამგზავრი პირდაპირ ბორდიურზე ჩამოსვა. ბოძს ჯაჭვი მჭიდროდ შემოახვია და ბოქლომი გაატკაცუნა. უხერხულობა არ ადარდებდა. საიმედოობა გაცილებით ძვირად უღირდა. ვერ გადაიტანდა იმის დაკარგვას, რის შესაძენადაც ლამის მთელი დანაზოგი გაეღო.

კიდევ ერთხელ ჩახედა საცოდავ თვალებსა და სხვა მონაცემებს. ბოლო მითითება აკრიფა. თავზე ხელი უგერგილოდ გადაუსვა და გამობრუნდა. რამდენიმე არეული ნაბიჯის შემდეგ გაიგონა:

— დამეხ-მა-რეთ! თქვე-ნი ლამა-ზი თვა-ლების ჭი-რიმე! თქვენი შვი-ლე-ბი! გაი-ხა-რებენ! და-მეხ-მარეთ! დარი-დური-დარი-დური-დარი-და-რა-ლე-ე-ე!..

„ამ საუნდს ხო ვერაფერი მოუხერხეს“ — თავი ოდნავ გააქნია და გზა განაგრძო.

ნიკოლოზ ცისკარიშვილი

ორი სამყარო



მირბის, ოღონდ არ იცის, სად და რატომ. ფიქრობს, რომ ლაბირინთშია, მაგრამ არ შეუძლია, გაიხსენოს, საიდან აქვს ეს ცოდნა. კედლები ზოგან ქვისაა, ზოგან კი ბუჩქებს და გაუვალ, ეკლოვან მცენარეებს აწყდება სასოწარკვეთით. ლაბირინთის ერთ-ერთი საშინელება ის არის, რომ იქ მხოლოდ ერთი მიმართულებაა სწორი, შესაბამისად, არჩევანიც შეზღუდულია. ცხოვრებაში სხვაგვარად ხდება, ჭეშმარიტებისკენ მრავალი გზა მიდის. მაგრამ ლაბირინთს უპირატესობაც აქვს: მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს და თუ დავიღუპებით, არა ჩვენს, არამედ მის გამო. ლაბირინთი საზარელია, სიკვდილის მომტანი, მაგრამ საკუთარ უბედურებაში დანაშაულის გრძნობას გვაშორებს. აქ ორად-ორი არჩევანი გაქვს: იმოძრაო ან გაჩერდე, სხვა ყველაფერი მხოლოდ ლაბირინთს ეხება. თუკი ცხოვრებაში ყოველი გადაწყვეტილება შეიძლება, მორალურ ხასიათს ატარებდეს, აქ ასეთი მხოლოდ ორია: გაჩერება ან სიარული, რადგან იმას, თუ საით წახვალ, ლაბირინთი წყვეტს და არა — შენ.

თავდაუზოგავად, გამწარებით მირბის სულის შემხუთველ სივიწროვეში. შიშველ ტერფებს სიპი ქვები უკაწრავს, მკლავებს — ეკლები, ხოლო მხრები ქვის კედლებთან შეჯახების შედეგად ებეჟება. ფიქრის უნარი რომ ჰქონდეს, შესაძლოა, გაჩერებასა და მოძრაობას შორის არჩევანი გაეკეთებინა, მაგრამ გონება თითქოს საერთოდ დაკარგა, მექანიკურ თოჯინად, ქანდაკებად იქცა, რომელსაც მხოლოდ სირბილი შეუძლია. ხანდახან გრძელ წუთებსა და საათებს შორის გაკრთება აზრი, რომელიც შიშს კი არ იწვევს (რადგან შიში ისედაც მასთან არის, მეტიც, სრულადაა მისით მოცული), არამედ სასოწარკვეთილ გაოცებას და გაკვირვებას. მაინც როგორ, რანაირად მოხვდა აქ? საერთოდ, ვინ არის? მაგრამ მეტი კითხვის დასმას ვეღარ ასწრებს, მით უმეტეს, არც პასუხების შესახებ ფიქრი შეუძლია, გონება ებინდება და კვლავ ლაბირინთი მოიცავს მის არსებას. შემდეგ, როდესაც მტანჯველი, გრძელი წუთები და საათები გაივლის, კვლავ უბრუნდება შეკითხვები და გაოცება იპყრობს, მაგრამ ყველაფერი წეღანდელივით მალე უჩინარდება ბნელში.

შეიძლება ითქვას, რომ ლაბირინთში ვერაფერს ხედავს. გარშემო სრული წყვდიადია გამეფებული და მხოლოდ ხანდახან თუ გაარჩევს ლანდებს და ჩრდილებს. თვალით დანახვა არ შეუძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერაფერს ამჩნევს. თითქოს მაინც ხედავს, ოღონდ არა თვალით. მაგრამ ბრმაა მისი გონება და დაბურული. ისე მოძრაობს, როგორც უსინათლო საკუთარ სახლში, მაგრამ გზის გაგნება და წყევლისგან თავის დაღწევა მაინც არ შეუძლია. წყევლა? ეს სიტყვა საიდანღაც ჩნდება მოულოდნელად, ბრმა ჩიტივით ეჯახება დაკარგულს, მისი გონების ბნელ კუნჭულებს აწყდება და ისევე მოულოდნელად ქრება, როგორც ესტუმრა. უკვირს, რომ შესაძლებელია თვალების გარეშე სრულ სიბნელეში დაინახოს. შემდეგ ეს გაკვირვებაც გაივლის და უკვე ის აოცებს, მანამდე როგორ ვერ ხვდებოდა, რომ დასანახად თვალი სულაც არ იყო აუცილებელი. დაღლას არ გრძნობს, მაგრამ შუბლი ოფლით აქვს დაცვარული და საკუთარი გულისცემა გარკვევით ჩაესმის ყურში. თავს რომ აბრუნებს, ყელსა და კისერში გრძნობს გულის ფეთქვას. ამის მიუხედავად, არ ჩერდება, საერთოდ, ისიც კი არ იცის, რომ შეჩერება და სულის მოთქმა შეუძლია, რადგან სირბილი და მოძრაობა ახლა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

კედლები ერთმანეთს ცვლიან, ლანდები და ჩრდილები ძლივს შესამჩნევად კრთებიან მის გარშემო და არაფერი ესმის საკუთარი სუნთქვისა და გულისცემის გარდა, ნაბიჯის ხმაც კი არსაიდან კრთება, თითქოს სადღაც შორს, რომელიმე ღრმა ხეობაში იკარგება უკვალოდ. როდესაც გონება უბრუნდება, ცდილობს, იფიქროს, მაგრამ ყველა მისი აზრი წყვეტილია, ბუნდოვანი და ძალზე მოკლე. ზოგჯერ სულ ერთი სიტყვით ან ფრაზით შემოიფარგლება: „დავიღალე...“ პაუზა. „მიკვირს...“ პაუზა. „ჰაერი!..“ პაუზა. „სად ვარ..“ პაუზა. „ლაბირინთი...“ პაუზა. „ლაბირინთი...“ პაუზა. „ლაბირინთი...“ პაუზა. „დამეხმარეთ...“ პაუზა.

ხმის ამოღებასა და ვინმეს მოხმობას არც ცდილობს, რადგან ჯერ ისიც არ იცის, სიტყვებს, თავში რომ ტრიალებს, გარეთ გამოსვლა თუ შეუძლიათ. მეტყველებას წინ აზროვნების ხანგრძლივი პროცესი უნდა უსწრებდეს, ის კი მეტისმეტად ხშირად კარგავს გონებას და ცალკეული სიტყვებისა თუ ემოციების ერთმანეთთან დაკავშირებას ვერ ასწრებს. მას არ შეუძლია, ასე იფიქროს: „სად ვარ, რა ადგილია ეს და აქ როგორ მოვხვდი? საიდან მოვდივარ და ვინ ვარ? ვინ ააგო ეს ლაბირინთი და გამომამწყვდია მასში? რა ხდებოდა ჩემს წარსულში, ვინ ვიყავი და რად ვიქეცი?“ ასეთი კითხვების დასმას აზროვნების ვრცელი პროცესი სჭირდება, ის კი მოკლე ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებში იყო გამოკეტილი, როგორც საპყრობილეში.

სწორედ ამ დროს, რაღაც სრულიად უცხო და უჩვეულო მთლიანად მიიპყრობს მის ყურადღებას. არ იცის, ჯერ ვერ ხვდება, ეს რა არის, მაგრამ მთელი არსებით მისკენ ისწრაფვის. მალე არჩევს საკუთარ ფიქრებსა და უჩვეულო მოვლენას შორის ბუნდოვან კავშირს და ხვდება, რომ ვიღაც რაღაცას ამბობს. ვიღაც თუ თავად? არა, ეს სხვისი სიტყვებია, მისი აზრებისგან განსხვავებული. კიდევ ცოტაც და ქვის კედლებთან ბრძოლით გასავათებული ნათლად არჩევს სიტყვას „გაიღვიძე“. ძახილი გაუჩერებლად, თანაბარი ინტერვალით მეორდება. გადაწყვეტს, სრულად მინებდეს ხავერდოვან, რბილ ხმას, კედლებთან ბრძოლას წყვეტს და მას მიჰყვება, მალე არც წარსული ჰქონდა, რადგან ის მხოლოდ პიროვნებისთვის არსებობს, მხოლოდ მისთვის, ვინც მოგონებათა, გარდასულ ხატებათა შენახვას, დატევას შეძლებს. დაკარგულს კი ეს მოკლე, წყვეტილი სიტყვებიც პეშვში მოქცეული წყალივით ეღვრებოდა, ქვიშის მარცვლებივით ეფანტებოდა.

ზოგჯერ, როდესაც გონებას შედარებით დიდხანს ინარჩუნებს, შიშს უფრო მკვეთრად გრძნობს, ცივი ოფლი ასხამს და სული ეხუთება. ჰგონია, რომ ასეთი რამ აქამდე არ განუცდია და მეტს ვეღარ გაუძლებს. მერე, როდესაც გონებას კვლავ კარგავს, ხოლო სიტყვები ქრებიან, ბედნიერებას გრძნობს ამ სიცარიელის გამო და მინებდება მას, რადგან ფიქრს არაფერი მოაქვს მისთვის ტკივილის გარდა.

ერთხელ კედელს მიაწყდება. პირდაპირ სახით შეასკდება და სანამ ტკივილით დაიკრუნჩხება, გზის გასაგრძელებლად გვერდის შეცვლას ასწრებს, მაგრამ ყველა მხარეს ახალ-ახალ კედლებს აწყდება და ხაფანგში აღმოჩნდება. სივრცე თითქოს უფრო და უფრო ვიწროვდება, მაგრამ ამასობაში იგი დანებებას არ აპირებს და მუშტებს უშენს ქვის გოლიათებს, მათ განგრევას ცდილობს, ოღონდ მიზნად ლაბირინთიდან თავის დაღწევა და სამშვიდობოს გასვლა კი არ აქვს, არამედ გზის გაგრძელება. მხოლოდ მოძრაობაზე ფიქრობს და სხვა არაფერზე.

ამართლა ქრება დაბრკოლებები, სიბნელე, ლაბირინთი, სიბრმავე და თვალს ახელს.

ნამდვილ, ფიზიკურ თვალებს ხსნის, სუფთა ჰაერს ღრმად ისუნთქავს და კვლავ შიშს გრძნობს, რადგან მთელი სამყარო ღრიალით, უთვალავი ფერით და ფორმით, ჩანჩქერივით ემხობა თავზე. ისე, რომ ცოტა ხნით ის ძახილიც ქრება, რომელსაც აქამდე გამოჰყვა.

დიდი დრო სჭირდება, ახალ სამყაროს რომ შეეჩვიოს. აქ ყველაფერი უფრო მკვეთრი, ფერადი, ხალასი და კაშკაშაა, ვიდრე ლაბირინთში, თუმცა უკვე გვიანი ღამეა. ხმა ბრუნდება და იგივეს იმეორებს, ოღონდ ახლა უკვე კითხვის ფორმით: „გაიღვიძე?“ მასთან ჯერ მხოლოდ სიტყვა აღწევს, მხოლოდ მოგვიანებით შეძლებს მოლაპარაკის აღქმას. მის წინ დგას, მშვიდად დასცქერის თავზე და უღიმის. ხვდება, რომ ბაღშია, ხეებით და ყვავილებით გარშემორტყმული. ზურგზე გრძნობს მიწის სიცივეს. ღამეა, ფოთლებს შორის მკრთალად მოჩანს ვარსკვლავები. „მღვიძავს“, ასე პასუხობს მოლაპარაკეს, „ცოტა ხნით ჩამძინებია“. ის ისევ უღიმის და აღარაფერს ამბობს, თითქოს ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა, დიდი ხნის წინათ უკვე თქვა და ახლა მხოლოდ დუმილი დარჩენია.

რამდენიმე წუთი მდუმარებაში გაივლის, შემდეგ კი კაცი კვლავ წამოიწყებს ლაპარაკს ხავერდოვანი ხმით: „ძილს გამბედაობა სჭირდება, იმაზე უფრო მეტი სიმამაცე, ვიდრე ბრძოლაში ჩართვას. ცნობიერება ერთადერთია, რაც სამყაროს საძირკვლად უდევს. დაკარგავ ცნობიერებას და დაკარგავ სამყაროს. იფხიზლე, გთხოვ, რადგან ჩაძინებულმა შეიძლება, ვეღარასდროს მიაგნო ამ სამყაროსკენ მომავალ გზას. ღმერთი სრულყოფილი, ფხიზელი ცნობიერებაა, რომელიც არასდროს თვლემს. ახლა ცოტა ხნით კვლავ უნდა წავიდე, შენ კი იფხიზლე.“

მარტო რჩება და თავის თავზე ბრაზობს, რომ ჩაეძინა. ახლაც დაღლილია, ქუთუთოები მძიმედ აწვება თვალებზე, მაგრამ ჩათვლემის უფლებას თავს ვერ მისცემს. უკვე ყველაფერი ახსოვს და ნანობს, რომ ჩაეძინა. მაინც რა საზარელი, რამდენად საშინელი, როგორი შემაძრწუნებელი სიზმარი ნახა! როგორ შეძლებს ყოველივე ამის ახსნას, სიტყვებით გამოთქმას, მეგობრებისთვის მოყოლას? ბუნების ხმები უფრო და უფრო ყრუდ ისმის, მნათობებს სიკაშკაშე აკლდება, ის კი განცდილის გახსენებას ცდილობს. როდესაც სრულად აღიდგენს სიზმრად ნანახს და ჩაიჩურჩულებს საზარელ სიტყვას „ლაბირინთი“, ყველაფერს მაშინვე კვლავ ბნელი შთანთქავს და კედლებს შორის აღმოჩნდება, სივიწროვეში, სადაც გარბის, ოფლად იღვრება და ელის აზრებს, სიტყვებს, იშვიათად რომ მიეახლებიან.

სიცხადიდან ცოტა ხნით მიჰყვება მოსაუბრის კეთილი სახის და ბავშვური ღიმილის ანაბეჭდი, ხეების შრიალის ხმა, მაგრამ ყველაფერს მალევე ფარავს მდუმარება და წყვდიადი. იგი ივიწყებს, კარგავს წარსულს და, მაშასადამე, აწმყოსაც. ახლა ის აღარ „არის“, რადგან არ არსებობს არავითარი „ის“, არავითარი „მე“, პიროვნება. სიზმრის რეალობისგან გარჩევის ერთადერთი უტყუარი საშუალება გამოღვიძებაა, მაგრამ თუ ის მეტისმეტად დიდხანს გრძელდება, მაშინ აღარ ვიქნებით დარწმუნებული, რომ სიფხიზლე არ არის სიზმარი, ხოლო სიზმარი — სიზმრის სიზმარი. ანდა დავეჭვდებით, რომ ზმანება ნამდვილია, ხოლო ის, რაც რეალობას ჰგავს — სიზმარი.

ის კი კვლავ შეუჩერებლად დაძრწის ლაბირინთის სივიწროვეში და უსასრულო დროში აგროვებს სიტყვების ნამცეცებს, რათა შემდეგ დაუნანებლად დაფანტოს. ხეტიალში ძალზე დიდი დრო გადის, იმდენად დიდი, რომ ყველაფერი ავიწყდება. ღამის მარადისობა ჩაივლის და მხოლოდ შემდეგ, კვლავ მიეხლება შორეული, უცხო განცდა. ღვთაებრივი ნათელივით გამოეცხადება ბგერები და ძახილი „გაიღვიძე“.

გამოფხიზლებული კარგად რომ შეაჩვევს თვალს და ყურს გარემოს, ისევ კაცს ხედავს. ის კვლავ უღიმის, მაგრამ უფრო დაღლილი ჩანს. ცაზე მთვარეს მოჰკრავს თვალს. ბაღში მშვიდად შრიალებენ ხეები. კაცი ამბობს: „იფხიზლე არა ჩემთვის, არამედ საკუთარი თავისთვის. იფხიზლე ჩემთან ერთად, მაგრამ შენთვის. თუკი ამდენად გიჭირს ძილისგან თავის შეკავება, რას ვეტყვი სხვებს, დანარჩენებს, ჩვენს დებს და ძმებს? ნუ ჩაიკარგები სიზმარსა და ცხადს შორის, ნუ დაკარგავ თავს ზმანებებში, რადგან სხვას უპყრია სიზმრის საჭე. ეძიო ღმერთი, ნიშნავს იფხიზლო. ნუთუ არ შეგიძლია ეს ერთი, ერთადერთი ღამე მაინც გაატარო ჩემთან ერთად, ბაღის ამ მდუმარებაში და სიმყუდროვეში? უსმინე! გესმის, როგორ იღვრება მდუმარება ქალაქიდან? ეს ღვთაებრივი სიჩუმეა. ლოცვა ღმერთის მოხმობას ნიშნავს, ამიტომ იგი პასუხს საჭიროებს, მაგრამ შენ ნუ მოელი პასუხებს, მხოლოდ იფხიზლე. ცნობიერების სიფხიზლის შენარჩუნება ნიშნავს ლოცვას. მეც ხომ ძალზე ღრმად და დიდხანს მძინავს ხანდახან, ამიტომ ვიცი, რა საშინელებას მალავენ სიზმრები: ისინი ჩვენს თვითცნობიერებას არასაჭიროდ გამოაცხადებენ. ღმერთმა ერთი წამითაც რომ დაკარგოს გონების სრული სისავსე და სიცხადე, სამყარო მაშინვე კვლავ არარად მიიქცევა. იყავი ჩემთან ერთად, რადგან ეს უკანასკნელი თავისუფალი ღამეა.“

მოლაპარაკე შებრუნდება და კვლავ ხეებს შორის, მათ შუქ-ჩრდილებში გაუჩინარდება. ახლა აღარაფერი არღვევს ღამის მდუმარებას, ბუნების ხმებიც კი. მხოლოდ ქალაქის სიჩუმე იღვრება შორიდან.

მთვარე ცაზე ჭრიალებს რკინის ნაკეთობასავით.

დასასრული მე-10 გვერდზე

და ა.შ.

ლექსი გინდა გამოგივიდეს?
სასწრაფოდ, მაგიდა შეუშვირე!
თუ არ გაქვს, გამოიგონე,
თავის თაბახისფურცლებიანად!
მინდორში დადგი, მთაზე, ჰაერში,
პარკეტის და მწვანე მაუდის გარეშეც ივარგებს.
ერთი ფიცარი და ოთხი ფეხი,
ქვევით ბალახი, ზევით ანგელოზები,
არა შთაგონების გასაძლიერებლად
(ცარიელი სიტყვები),
არამედ ისე, ანტურაჟისთვის.
ჰოდა, მიუჯექი მაგიდას!
სიტყვებს ბორძიკი აცალე.
ფხიზლები თავისით დალაგდებიან,
ორ დაბნეულს შორის ჩადექი,
პაუზისთვის, როგორც ცეზურა,
დროული დუმილი,
საიდანაც ნახევრადცივილიზებული
აღმოსავლეთი იხედება:
ოქროსკბილებიანი, დოლებიანი,
ვიოლინო ლურჯია და შორს არის,
გარშემო არეული აქაურობა,
საერთო ადგილები სოციალური ქსელებიდან
და ა.შ. კიდევ ისინი, არც არაფერი
რომ არ აინტერესებთ, რასაც
„და ასე შემდეგის“ პრინციპს ვერ მიუყენებენ.

ჰორიზონტი

შემოდგომაზე ვამბობ:
— ავიღოთ ეს ქარი...
ადრე ბალახს ვსწავლობდი,
სანამ ქვეყანა ზაფხულის იყო,
რკინა-ბეტონს მწვანით ვაზავებდი
და მისხალიც არ აკლდებოდა
ჩემს ურბანისტობას,
ბოლო ზაფხულებმა ისე გამცალეს
ცოდვებისაგან, სიყვარულებისაგან,
ყოველგვარი უსაგნო ტვირთისგან,
რომ ქარი დამარბენინებს
უმიზნოდ, უმიმართულებოდ,
მგონი, ტანი დავკარგე,
თავი ჰაერის ჭავლზე მადგას,
კიდევ კარგი, თავი მაქვს
და შიგ მეტაფორები, მაგ. ასეთი:
მოაჯირების მრავალსახეობა ჰაერში,
მე და ქარი მარტო ექსპრესია კი არ ვართ,
ზოგჯერ, კონფლიქტიც,
აქ ღმერთმა ჰორიზონტი უნდა თქვას
და შემოდგომაში დავრჩები,
შემცივდება, სახლი მომინდება,
საშუალო სტატისტიკური სახლი,
სახლთან ხე, სახლში შვილები
(ნორმალური ადამიანის კოდექსი, მოწყენილობისაც).
მე ერთი კედელიც მეყოფა, წითელი ფრჩხილებისთვის,
ჩაღრმავება ამოვიკაწრო, ადგილი,
რა თქმა უნდა, პირობითი
და ღმერთმა მომაშველოს —
თავისი ყველაზე მოქნილი ტყუილი — ჰორიზონტი.

წუთისოფელი

გარეთ აღარ გინდა, სახლი-ჭუპრი.
ჩანასახის პოზას მიიღებ,
დედასავით გაგიტკბება,
სანამ ორნი იყავით, შუაში პლუსი,
მაგნიტური ველი გარშემო —
სამოთხის მოდელი ოთხ კედელშიც შეიძლებოდა,
როცა ერთი წავა და მიწაში გააგრძელებს
მარტოობას (თუ ცაში?), მაშინ რა?
ყველა სახელი წოდებით ბრუნვაში!
ჩურჩული, ყვირილი, ვინ გიპასუხებს?
შენი ნაცნობი წიგნის ჭიებიც
ჭუპრებში სხედან, კიდევ უფრო საფუძვლიანად,
რაც ამათ უკითხავთ, უწერიათ,
უკეთესი სიტყვის ძებნაში,
თვალები დაუთხრიათ და პეპელა ამოუშვიათ,
იქაც ცეცხლი! დამწვარი სტრიქონები,
წუთისოფელი!
რა მარტოხელა, უსინონიმო სიტყვაა!
აუშენებელი სახლის სწორკუთხედივით ჩანს,
გარშემო ისინი, ფრენით ვინც დაიღალა
და საყრდენს ეძებს, ვინც გიყვარს,
მაგრამ რა შეგიძლია?
სად შეიყუჟებით სიყვარულისთვის?

ჯერ აქ მირჩევნია

ვზივარ, ვუყურებ ცას, ისე ვუყურებ,
რომანტიკას გვერდითაც არ გაუვლია,
ნაცრისფერია, რეისებით გახაზული,
უჯრედებიანი რვეულივით, მუშა ცა.
იყო დრო, რომელიმე კრეატიული ანგელოზი
მტვრის ჩვარს გადაუსვამდა
და დავიწყებული ნახატივით გამოიხედავდა,
მეც ავყვებოდი, მკაფიობა თავს წამართმევდა,
ლაჟვარდს მომცემდა, რომელიც ესთეტიკაა,
როცა ღმერთი აქედან იხედება,
უფრო რბილი ხდება, უფრო ქრისტიანი:
მე რომ ნერვები კალმისტარზე მაქვს დახვეული,
და ასეთს მაცოცხლებს,
უკვე ესთეტიკური სათნოება,
ამაზეც ვწერ, პრინტერი უნერვოა:
ბგერებს შორის გოგირდი
და აალების შესაძლებლობა
მისი არაა,
არც ქვეტექსტი: აქლემის კუზი,
სადაც ვინახავ მეტაფორებს, იდიომებს,
პათოსის სიცხეს, შიმშილისთვის
მარაგი მაქვს პურის და წყლის,
სინათლისთვის —
ყაყაჩოებიანი მინდორი ზურგსუკან,
უფრო სწორედ, მქონდა, იმათ წაიღეს,
ვინც წავიდა, ვინც ისე მენატრება,
თვალებს ფეხსაცმლის წვერებზე გამოვიბამდი,
და ასე ვივლიდი,
ოღონდ დამენახა, მაგრამ ბნელა,
ყაყაჩოებს რკინიგზები ჭამენ
და კიდევ, სანამ კალმისტარზე ნერვები
მაქვს დახვეული და წითლად მტკივა,
აქ მირჩევნია...

ჩემი თეატრი

შეიძლება, ვეღარც კი მიცნო,
იმდენი ხანი ვკიდივარ მზეში...
ჩამომიღებენ, გამაუთოებენ,
ასაკთან შეუსაბამო ხასიათისგან
გაგიჟებული ორგანოები გაბრტყელდებიან,
რამდენიც უნდა ვიძახო, რომ დნმ-ში
99,9 პროცენტი თეატრი მაქვს,
დიაგნოზს ვერ ითამაშებ,
ისეთი უძლეველი ლათინურია,
ისეთი ნორმალური რეალიზმი.
აქედან შენამდეც ასეთივე მეტაფიზიკა!
იმას კი შევეკვრები, რომ სივრცე
მანძილად მიქციოს, ადამიანურ გზად,
მოვიდე და გითხრა ის სიტყვა,
რომელსაც ახსოვს, რომ ღმერთი იყო,
რომელიც აკეთებს ლექსს...
ჩემი გეოგრაფიის შუაში, ალბათ, წელზე,
ეკვატორის ხაზი გაყავს,
ზედ მიწებებული თბილი ქვეყნებით —
აქოშინებული, ფეთქებადი ძალა,
მისგან თეატრი 99,9 პროცენტი დნმ-ში:
სცენაზე „სევდიანი რომანის“ სახით,
ანტრაქტებში ერთბაშად ანთებული შუქით!
ახალგაზრდა ნაკვთებს არ ეშინიათ ელექტრონის,
პირიქით, მოკლე ჩართვა, მერე ხანძარი!
მოვედი, რომ ეს შემეხსენებინა შენთვის,
არც ვარდები მომიტანია, არც ტიტები,
თავისი ფერადი, მსუქანი ლიქნით,
ისე მოვედი...

* * *

ზოგჯერ წერ, წერ და ერთი ნათელი სტრიქონიც
არ გამოდის, ნათელს რას ეძახი?
შავი რომ გაირღვევა
და სარჩულად რძე ექნება,
აქედან მტრედებიც შეიძლება,
ცოტა ილუზიონისტიც ხომ უნდა იყო!..
მაგ. ძროხა შემოიყვანო სახლში,
ოთახის შუაში დადგა, მაგიდისფეხებიანი,
ბალიშივით რბილმუცლიანი, მოწველი
და სულ გექნება რძე: მდუღარე დასალევად,
დაღვრილი და გრძელყელიანი სილამაზისთვის,
ძროხას იმდენ ხანს დატოვებ სახლში,
რომ ფეხებთან ბალახი ამოუვიდეს,
ხარი გამოიგონოს, ხბო მართლა ეყოლოს,
ვეღარ დაეტიოთ, შენ წახვიდე,
იარო, იარო და ჰაერში გაიფანტო...
ან ის გაუშვა და შენ დარჩე,
შუა ოთახში ნემსი იქანავებს, შავძაფიანი.
ერთი გვირისტი თავში და მორჩა...
გახსოვს, რომ წამოწვებოდი,
შუადღეს წაიფარებდი და ქვეყანა გათბებოდა?
რძესავით დილები ცივია, მაგრამ იმდენი,
სიკვდილის მოახლოებას ვერც კი იგრძნობ...





ქ. ჭიათურა
ტრიოდრამა
ნაწილი 3 — ბოლო ნაწილი

უბნის ლოთი

დიდი ხანია, ამ ქუჩაზე ვცხოვრობ. სადარბაზოებს
ვაფარებ თავს და ალიონი წიხლებს მაგებებს.
ვერ შეეგუენ ერთ გარეწარს, ბინძურს და ობოლს,
მე კი დავდივარ, ყოველ ღამით, და ნაცნობ ხედებს
გავყურებ. რაღაც გაურკვეველს ვღიღინებ ბგერებს,
სანამდის ვინმე გადმომძახებს: შეეენ, რა გამღერებს?!

მე, რა თქმა უნდა, ვერ გავიგებ და კვლავ ბანცალით
მივყვები ქუჩას, სანამ ეშმა სრულად დამლახვრავს.
აქ რაც იციან, ერთადერთი, იციან მხოლოდ
ის, რომ არავინ მემეტება დასაკარგავად.
რადგან დაკარგვა ეს ცხოვრების მძიმე დამღაა,
მე კი ამ დამღამ, რა ხანია, ძლიერ დამღალა.

სად ვიქნებოდი, ეს ტკივილი რომ ნელდებოდეს,
აფერმკრთალებდეს თუნდაც რომ
დრო მძიმე ნიაღვარს?!
მე რა ხანია, აღარ მქვია ადამიანი... თუმცა,
იმ დროში მართლაც ბევრი რამე მინახავს,
ადამიანად როცა ვთვლიდი მე თვითონ ჩემს თავს,
ახლა კი მხოლოდ ორგანოა გული, რომ ფეთქავს.

კარგად მიცნობენ, მათ იციან ჩემი წარსული
და ჩემს ტკივილებს ჩემზე უკეთ, ვფიქრობ, ხედავენ.
აქ ერთი ქუჩა არსებობდა, წარსულში ხშირად
რომ დავდიოდით... ის ქუჩაა, ის, რომ ღებავენ...
და თითქოს ბოლო მოგონებას, ბოლო სიცოცხლის
ნიშანს, აქრობენ მკვდარ სხეულში მარადისობის.

ჰოდა, ბანცალით მივუყვები მეც ნაცნობ ქუჩებს —
თავს ვაფარებ და ალიონი მჩუქნის მეგობარს.
სადღაც სიცივით შეწუხებულ ჭრელი მურიას
შეყეფებაა ახლა ჩემთვის მთელი ეპოქა...
მისი ბინძური, უხეში და წითური ბეწვი,
თითქოს ჩემფერი, უნაირო, უტყვი და ბერწი.

მამაო

არის ღამეები, როცა ანაფორას ტანზეც არ იხდი
და ასეთ ღამეებში წყვდიადს შერეული ხალხი
გეხმარება.
მათ კი ჰგონიათ, რომ იქით ეხმარები. თუმცა, სადავოა,
ვინ ვისი მხსნელია, ვინ რისი გამგონე...
ზოგჯერ თავადაც ხომ გიპყრობს ეჭვები,
სანამ თავს დატუქსავ... დუმხარ და ეჩვევი.

და ეგ მიჩვევაა, მერე რომ საბაბი
ხდება შიშების და თავსაც აღალატებ.
ვერ იმყოფინე, რადგანაც საბანი
სადამდეც გაგწვდა და ახლა არანაკლებ
სირთულეს ეჭიდები შენი ცხოვრების —
იპოვნო სიმშვიდე. და გზა ცხონების...

რადგან ტიალია ეს წუთისოფელი,
რადგან განირჩევა აქ მტყუან-მართალი,
ჯერ გქვია მოძღვარი და მერე მშობელი,
მრევლი გყავს: საშიში, რთული და საწყალი.
სახლში კი დილიდან ფოფინებს ფოფოდია,
ბავშვები ოთახში ღიმილით შემოდიან...
ასეთ დღეებს და ასეთ ალიონებს წუხილი მიჰყვება,
სადამდეც გაუძლებს. მერე იძულება...
რომ ყველა ყბედს უნდა თავი უხარო,
რომ ყველა დგას და რაღაცას ირწმუნება.
არ გინდა ასეთი ცხოვრება, გაეშვი,
გახადე საკუთარი თავი — გილგამეში.

და ის ნეტარება, რაც სხვაგან ვერ ჰპოვე,
ეძიე საკუთარ თავში. იმეორე,
რომ ხშირად ისე არაა, როგორც გვინდა,
რომ ქვეყნად რწმენა არაა მხოლოდ წმინდა.
და მერე: სინანული გააპობს განთიადებს.
ღმერთი სადღაც ზის. ზის და აგვიანებს.

ჩვენ

ჩვენ, ვინც ყველაფერს უპატრონოდ, ულუკმაპუროდ,
სხვების ჯინაზე უფრო მეტად, ვიდრე თავისთვის,
ვაკეთებთ. მერე ისე ვცხოვრობთ, თითქოს არაფერს
აზრი არა აქვს. დაიკარგა ყველა ხალისი.
და შეიცვალა ყველაფერი, რადგან ცხოვრება
უფრო ბრძოლაა ყველაფრისთვის, ვიდრე მოთმენა.

ჩვენ, ვინც ბუხრიდან გამოსული კვამლის სუნით ვართ
გაჟღენთილი და ეს სუნი რომ ყველგან დაგვყვება,
როგორც ცხოვრება —
შეუცვლელი, როგორც წერტილი
შენი ცხოვრების დასასრულს რომ ზედ დააკვდება.
სანამ ყველაფერს დაივიწყებ, სანამ გადაწყვეტ,
ცხოვრება გქონდეს მწირი, მწირი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

ჩვენ, ვინც ვერაფერს ახალს ვეღარ ჩავკიდეთ ხელი
და ჩაკიდული ხელი როცა სხვამაც გაგვიშვა,
არაფერია უჩვეულო. ზიხარ და ელი,
როდის იქნება, საკუთარი თავისგან იშვა?!
როგორც ახალი სიცოცხლე და ძველი განცდები,
მერე კი წახვალ და საკუთარ თავსაც გაცდები.

ჩვენ, ვინც ვერაფრით დავივიწყეთ, რაც დავიწყებას
უნდა მიეცეს ჩვეულებრივ. და ნაცვლად ამის,
ჩვენი ცხოვრება სავსე არის ნერვოზით. ყველას
მძაფრად ღალატის და სიცრუის სურნელი ასდის
გარშემო, ალბათ საკუთარი თავით დავიწყებთ
და იმით, მუდამ რომ
ვცდილობთ და რომ ვერ ვივიწყებთ.

ჩვენ, ვინც ყველაფერს უპატრონოდ, ულუკმაპუროდ,
სხვების ჯინაზე უფრო მეტად, ვიდრე თავისთვის,
ვაკეთებთ, მერე ისე ვცხოვრობთ, თითქოს არაფერს
არ ველოდებით ცხოვრებისგან, თითქოს ხვალისთვის
გადადებული საქმეების გროვა კი არა,
სხვა რამე იყოს, კისერზე რომ გადაგვიარა.

განცდა

ხმა ამოიღე! —
მიყვიროდა ექიმი ახალდაბადებულს,
როცა ჩემი ტირილის ხმა ვერ გაიგო და
დედაჩემის სასოწარკვეთილ სახეს წააწყდა.

ხმა ამოიღე! —
მეუბნებოდა ბაღელი გოგო,
რომელიც დაუფარავად გამომიტყდა სიყვარულში,
მე კი ვდუმდი.

ხმა ამოიღე! —
მიმეორებდა დედაჩემი,
როცა გაკვეთილების ჩაბარებას მთხოვდა და
მე ხმას არ ვიღებდი.

ხმა ამოიღე! —
იღრიალა მამამ,
როდესაც მეზობლის ბიჭმა სახეში
ერთი-ორი კარგად მითავაზა,
მე კი საპასუხოდ არაფერი მოვიმოქმედე.

ხმა ამოიღე! —
ვეუბნებოდი საკუთარ თავს,
როცა შემიყვარდი,
შენ კი ჩემს დაჟინებულ მზერას არასდროს გაურბოდი.

ხმა ამოიღე!
ხმა ამოიღე!
ხმა ამოიღე! —
ვუმეორებდი საკუთარ თავს გამუდმებით,
მაგრამ
მე თუ ხმას ამოვიღებდი,
შენ ვერ შეძლებდი, გეცხოვრა მშვიდად.
თუმცა მე ვიცოდი, რომ
შენ ეს საერთოდ არ გაინტერესებდა.

და იმაზე ფიქრი,
რომ ნებისმიერ სიტუაციაში გვერდით უნდა მყოლოდი,
გგვრიდა საშინელ სიამოვნებას,
იჟღენთებოდა ამ შეგრძნებით შენი სხეული
და იღვრებოდა წვეთ-წვეთად,
ნაწილ-ნაწილ,
შინდისფერ ზეწარზე,
რომელსაც ეჭიდებოდი შინდისფერი თითებით
და მე გიკოცნიდი შინდისფერ ტუჩებს
მშვიდად და აუღელვებლად,
და ყრუ ბგერები,
რომელსაც ათრთოლებული ხმით გამოსცემდი,
იკარგებოდა ქუჩის ხმაურში...

მე კვლავ ვდუმდი.

ხმა ამოიღე! —
ერთ არც ისე მშვენიერ დღეს
შენც წამოგცდა ეს სიტყვები,
როცა საკუთარი ხელით
მივაბარეთ შვილი მიწას
და მე გავიხრწენი, როგორც ფეკალია
და მე ამდიოდა ტკივილის სუნი
და მე ვიჯექი ჩვილის საწოლთან,
საკუთარ მუხლებზე,
და არ მქონდა ძალა
არც ტირილის,
არც კივილის,
არც სიყვარულის.

ხმა ამოიღე!
ჩამყვირა ერთ-ერთმა მეშახტემ,
როცა ნანგრევებში გაუნძრევლად ვეგდე
და ვგრძნობდი სიმშვიდეს
ყველაზე საოცარს,
ყველაზე ნამდვილს.
და წამიერად გამიელვა შენმა თვალებმა.
ჩაშავებულმა.
სისხლიან ხელებში ჩამალულმა.
ტკივილით სავსემ.
ვერ გაუძელი ჩემთან ყოფნას,
დამტოვე ასე...
ასე — სიჩუმეში.

და ეს სიჩუმე მირღვევს ფიქრებს,
რომ ბოლო წამს,
ბოლო ამოსუნთქვას,
ბოლო გაღიმებას
ამოვაყოლო ჩემი სათქმელი —
აქ არ დავრჩები!
აქ არ დავლ.....

* * *

იმ გზაზე ოდეს, სადაც ახლა მარტო დავდივარ,
სადაც აჩრდილებს არ გავურბი, ვუყვები ამბებს,
რომ ყველაფერი სიცრუეა, ჩემგან გავდივარ.
ვტოვებ საკუთარ (დაშლილ) სხეულს.
ხელებს და თვალებს
გიტოვებ (ჩემგან) სამახსოვროდ. ხომ უნდა გქონდეს
რაიმე, ოდნავ ღირებული. ოდნავ სათუთი.
რასაც ვერასდროს (ვ)ელეოდი(თ), ვხმარობდით ღონეს
ყოველს, რომ ძეგლად ქცეულიყო ყოველი წუთი...

იქ, სადაც ოდნავ შორეული დღეები მოჩანს,
დავდივარ მარტო, ფიქრებია გაუსაძლისი.
ქრიან ქარები. ყინვანარევ ვეხები ჩემს კანს
და მეკარგება უფრო თავი, ვიდრე ხალისი.
და არაფერი იქნებოდა, რომ არა სიტყვა,
სიტყვა — საწყისი ყველა რწმენის, ვით ოაზისი.
და მწამდა იმის, რაც არასდროს იყო და ითქვა
და არასოდეს მიწამია, ვინც მყავდა, მისი!

შენი თავისთვის ჩემი თავი უნდა დამეთმო!
მაგრამ არ ღირდა უღრან ტყეში ღრიალი ხეთა...
იყო სიკვდილი და სიცოცხლე მის წინ დაემხო,
მერე შენს გრძნობას უჩემობა ფიქრივით რევდა!

მე მაპატიე, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მივხვდები,
რომ დასაწყისი — დასასრულის არის სათავე,
რომ უშენოა ის გზა, რასაც ახლა მივყვები
და ყველა სიტყვა დავივიწყე, ყველა სადავე
გადმოგაბარე. უფრო ადრე უნდა გამეშვი!
თუმცა, დამაშვრალ ამ ჩემს სხეულს
სურდა სამკვიდრო...
რამეთუ ჩემი სიყვარულის ხარ გილგამეში
და გული ჩემი, მსურს,
შენს გულში რომ დავამკვიდრო!

* * *

ჩემი წარსული გზაგასაყართან
დგას და ეს წლები როგორ მიჰქრიან,
უნდა მივიდე საკუთარ თავთან,
ვფიქრობ, და ფიქრი უფრო ფიქრია...

როგორ გავექცე ტანჯვის მარწუხებს,
როცა უკეთესს აღარ ელიან?!
როცა ტკივილი მკლავს და მაწუხებს,
მაშინ ეს ცრემლი მართლა ცრემლია...

სჩვევიათ დღეებს გასხვაფერება,
აუტანელი შიშის განცდაა.
ნაბიჯს სურვილი ვერ მოერევა
და წასვლა ახლა მართლა წასვლაა...

მანანა კვაჭანტირაძე

სიტყვაზე და ლიტერატურაზე

* * *

გალაკტიონი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, / ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...“

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, / ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში“...

ამ მაგალითებში ცნობიერება აღმოაჩენს მსგავსებას, რომელსაც ლოგიკური საფუძველი აქვს. ენა ფრთხილად გვაუწყებს ამ მსგავსების შესახებ სიტყვებით „ვით“, „როგორც“ — ეს შედარებაა.

ტიციან ტაბიძე: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი /და ახეული მაქვს ლაყუჩები“...

ვაჟა ფშაველა: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“...

ტიციანის და ვაჟას შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტაფორასთან. აზრი გამოთქვამს სრული იგივეობის რწმენას. შედარებას აქაც მოეძებნება ლოგიკური საფუძველი, თუმცა უპირატესად და სავსებით ცხადად ამ მაგალითებში აზრის ემოციური (და არა ლოგიკური) საფუძველია აქცენტირებული. გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ეს ორი მხატვრულ-ენობრივი მოვლენა (შედარება და მეტაფორა) სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან და რეფერენციის პროცესში ცნობიერების ორ განსხვავებულ ინტენციას გამოხატავს. შედარებაში მსგავსების აღმოჩენა არ ნიშნავს იგივეობის რწმენას. მეტაფორა კი სიცოცხლის სხვადასხვა ფორმაში, მოვლენათა სხვადასხვა რიგში მომხდარ ხდომილებათა იგივეობის რწმენაა, გაცხადება აზრისა „ერთი და იგივე“ (და არა „ორი და იგივე“, როგორც ეს შედარებაშია). ესაა ინტუიციური სვლა, რომლის დროსაც ენა ავლენს ცნობიერების ინტენციას, მიაკუთვნოს ორი განსხვავებული მოვლენა ერთს, არ განა-სხვაოს, პირიქით, ჩააბრუნოს თავდაპირველ ერთიანობაში. ეს ნება ენას მხოლოდ განსაკუთრებული, პოეტური ხედვის რეჟიმში ეძლევა და ტრადიციის მიხედვით, პოეტი მას შემოქმედის ან მისი მედიუმის (ანტიკური ტრადიციით, მუზის), ნებისმიერ შემთხვევაში, ზეძალის კარნახით გამოხატავს. ამასვე გვაუწყებს ქართული სიტყვა „შთა-გონება“ — რაღაც სხვა გონების ჩასახლება ადამიანის აზრში.

მოკლედ, ორივე შემთხვევაში ენა სხვადასხვა ხარისხით წარმოაჩენს ცნობიერების ინტენციას იმ ერთიანობის დასახელებისა, რომელიც დაკარგული ან დავიწყებულია. ცნობიერების ლატენტურ შრეებს ახსოვს ეს ერთიანობა და მის დასახელებას, აღდგენას ცდილობს. იმ განსხვავებით, რომ შედარების შემთხვევაში იგი აფიქსირებს ერთიანობის შესაძლებლობას, მეტაფორისას კი — ამ ერთიანობის რწმენას და ყოველგვარი მატერიის — ხილულისა თუ უხილავის — თავდაპირველი ონთიური მთლიანობის აღდგენის სურვილს. პოეტური ენა აღადგენს სამყაროს აგების, მოწყობის თავდაპირველი მდგომარეობის სურათს, მის თუნდაც ერთ უმცირეს ფრაგმენტს, მაგრამ მას შემოაქვს ამ ერთიანობის უტყუარობის შეგრძნება.

ასე რომ, მეტაფორა ესაა სამყაროს ფრაქტალური მოწყობის რწმენა ყველა — ხილულ თუ უხილავ, ვერბალურ თუ არავერბალურ დონეზე, სამყაროს ერთიანი სტრუქტურის, მოწყობის საერთო პრინციპისა და მისი შესატყვისი ფორმის ერთიანობის რწმენა თუ ფარული ცოდნა, რომელიც ახსოვს ცნობიერების ლატენტურ შრეებს და ენას ამ მოწყობის შესახებ ათქმევინებს.

და როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მერე წესრიგის, როგორც სამყაროს მოწყობის ერთიანი ღვთიური პრინციპის არსებობა არ აღიარო?

* * *

ჯიბრალ ხალილ ჯიბრანი თავის რომანში „იესო, ძე კაცისა“, ამბობს: აღმოაჩინე საკუთარი თავი სხვისი მეშვეობით, — რაც სხვა არაფერია, თუ არა იესოს მცნებათაგან ერთ-ერთის თანამედროვე ვერსია და მისი არსებობის შესაძლებლობის მტკიცება ყველაზე უკიდურეს გამოვლინებაშიც კი — გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი.

ხომ არ არის ლიტერატურა ხსოვნის ყუთი, ან, როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს, „საიდუმლოს საფლავზე დარგული ხე, რომელსაც ადგილის დამახსოვრება ევალება მხოლოდ“ — რომელიც ამ ჭეშმარიტებას ახსენებს ჩვენს ცნობიერებას? მხატვრული სიტყვა კი ის ჯადოსნური ფორმულა, რომელიც ამ ხსოვნის ყუთს უხსნის ადამიანს საიმისოდ, რომ ძალიან არ დაშორდეს საკუთარ არსს?

* * *

საუფლო — სივრცე, სივრცული წარმოდგენა სათავსოზე, სადაც რაღაც კარგი ხდება. ამ სიტყვას ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებულ სიტყვებთან და აზრებთან კავშირში ვიყენებთ და არა ყოველთვის. საუფლო — უფლის თანამონაწილეობის ადგილი ჩვენს საქმეში, ჩვენი თავის-უფლების სივრცე, რომელსაც უფალი იცავს და იფარავს.

ჩვენს საუფლოში ის ადამიანები ვართ, ვისი მეშვეობითაც ის (და ჩვენც) თავისუფლად ვმოქმედებთ, სადაც ჩვენს თავისუფლებას ღმერთი უდგას დარაჯად.

* * *

ჩვენს სივრცულ წარმოდგენას სიშორეზე, ჩვეულებრივ, გამოვხატავთ სიტყვით „შორს“, ან „ძალიან შორს“. ზულუსისათვის კი ამ სიტყვის მნიშვნელობა გამოიხატება ადგილით, „სადაც ვიღაც ყვირის: დედა, მე დავიკარგე (გზა დამებნა)“.

ადამიანი ისე შორს წავიდა აბსტრაქციის გზაზე, რომ იქ მოხვდა, სადაც აღარც დედა სჭირდება მფარველად და აღარც ღმერთი.

სხვათა შორის, გურიაში გამიგონია სიშორის ასეთი შესატყვისი: „გადაკარგულში“, ანუ ისე შორს, რომ დაბრუნების იმედი ამოწურულია.

* * *

ჯიბრალ ხალილ ჯიბრანის წიგნის — „იესო, ძე კაცისა“ — წაკითხვის მერე ვიწყებ ფიქრს: თუკი დავუშვებთ, რომ იესო იყო „ძე კაცისა“, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ, როგორც კაცი, ის იყო განსაკუთრებული და განუმეორებელი მოვლენა კაცობრიობის მთელ ისტორიაში და მხოლოდ მან, ერთადერთმა გამოავლინა ადამიანის ღვთიური პოტენცია და დაამტკიცა ადამიანის ჭეშმარიტი „შვილობა“. ამ აზრით, იესომ, შესაძლოა, ირწმუნა, რომ ღმერთის შვილი იყო და ირწმუნა ისე ძლიერ და ღრმად, რომ მიაღწია ღმერთის აღიარებას და ძალმოსილებას. მისი სასწაულები სწორედ ამაზე მეტყველებს. ამ რწმენით ძალშემოსილი მისი სიტყვა იმორჩილებდა ყველას, მათ შორის, დაუძინებელ მტრებსაც... ის ხომ მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენასაც კი საკმარისად მიიჩნევდა საიმისოდ, რომ ადამიანისთვის არაფერი ყოფილიყო ამქვეყნად შეუძლებელი. ამ რწმენის ძალით, მან შეძლო ქცეულიყო ჭეშმარიტ ძედ და ამაში გვარწმუნებს ოც საუკუნეზე მეტია... რწმენამ გარდაქმნა მისი სული და სხეული, მისცა ძალა და აამაღლა ზეცად, აქცია სხვა მატერიად, რომელსაც შეეძლო ხილულისა და უხილავის საზღვარზე ყოფნა და გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. დაბოლოს, ამ რწმენის ძალით გავიდა დროის მიღმა და სამყაროს ჰორიზონტზე გამოჩნდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვაში, მოვლინებამდე ათი საუკუნით ადრე...

აქ ფიქრი წყდება და უარს ამბობს „ძე კაცისას“ ვერსიაზე.

„მე ვარ პური ცოცხალი, რომელიც ჩამოველ ზეცით“ (იოანე 6, 51).

* * *

იოანეს სახარება გვამცნობს, რომ იესო იყო სიტყვა, რომელიც იყო ღმერთი და იყო ღმერთთან. და მართლაც — მთელი ის ისტორია, რომელსაც სახარება გვიამბობს, სიტყვით გადმოცემული ღვთიურ ქმედებათა უწყვეტი რიგია.

იოანე მახარებელმა იესოს ცხოვრება აღწერა, როგორც ძედ განხორციელებული მამის ძალმოსილება და მოგვცა ამ განხორციელების პროცესის სიმბოლური გამოსახულება სიტყვაში. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთელი ეს პროცესი მან გამოხატა როგორც ლოგოსის (ზეცნობიერების) ნება, სრულად განხორციელდეს მეტყველებაში, ანუ ცოცხალ სიტყვაში, რითაც მიგვანიშნა ცოცხალ ღმერთსა — ქრისტესა და და ცოცხალ სიტყვას შორის არა მხოლოდ სიმბოლურ, არამედ მისტიკურ კავშირზე: „სიტყვები, რომელთაც თქვენ გეუბნებით, სული არის და სიცოცხლე“ (იოანე, 6, 63).

ამასვე გვეუბნება იესოსადმი ლოცვაც: „ძეო და სიტყვაო ღვთისა ცხოველისაო“...

* * *

ხსენი — მასაზრდოებელი საკვები, რომელიც ჩვილის ორგანიზმს ამქვეყნიური საკვებისთვის — დედის რძისათვის ამზადებს, საკვები, რომელიც გზას უ-ხსნ-ის ადამიანურ მატერიას ამქვეყნიური არსებობისაკენ. ხსენი იმის ხსოვნა და შე-ხსენებაცაა, რომ სხვა სამყაროდან მოვდივართ, და მატერიის ქიმიური შედგენილობის გარდა რაღაც კიდევ შემოგვყვა იმ სამყაროდან, საიდანაც დედამიწას მოვევლინეთ.

* * *

ღმერთის ხმა აღარ გვესმის იმიტომ, რომ ირგვლივ საშინელი, გამაყრუებელი ხმაური და ყაყანია. მოკლედ, გვესმის ყველანაირი ხმა და ხმაური — ადამიანის ლაპარაკისა და ყვირილის, მანქანის, თვითმფრინავის, საზეიმო შუშხუნების, ტანკისა და ავტომატის და კიდევ რა ვიცი, რისი აღარ — გარდა ღმერთისა, რომელიც ასე მგონია, მხოლოდ სიჩუმეში მოდის, შინაგან სიჩუმეში, გულისყურის უკიდურესი, თითქმის არაადამიანური დაძაბვის დროს, ან, შესაძლოა, ბახის საორღანო ტოკატის აკორდების არაამქვეყნიურ გუგუნში. განა ხშირად ან საერთოდ გვესმის მოახლოებული ნაბიჯების ხმა, ზარების რეკვა, წვიმის „მწვანე შრიალი“ ან „იისფერ თოვლის“ ფანტელების ფენა? ადამიანის ხმამ და მისგან გაკეთებული ნივთების ხმაურმა წალეკა და შთანთქა ყველა სხვა ხმა, გააუხეშა ჩვენი სმენა და აღქმა. დღეს ფონოსის სამყაროს უტევს ყველა და ყველაფერი მისივე გადაგვარებული იარაღის სხვადასხვა სახეობით. ერთადერთი ადგილი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება გაიგონო ღმერთის გზავნილები, ბუნება და ხელოვნებაა და ისიც ბაზარზეა გამოტანილი გასაყიდად.

* * *

სერვანტესის აზრი, რომ „ქალი სილამაზის გამჭვირვალე ჭურჭელია“, შეგვიძლია სხვა მხრივაც განვავრცოთ: ის, სილამაზესთან ერთად, საიდუმლოებით მოცული სიცოცხლის ჭურჭელია.

რა მდაბლად და ღირსებამოკლებულად ჩანს ამ ყველაფრის ფონზე ფემინისტების ხმაური ქალის უფლებებთან დაკავშირებით.

* * *

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიამ დაწერა იმიტომ, რომ ჩვენ პატივი გვეცა ოთარაანთ ქვრივის დიდი ტკივილისთვის, დიდი ტრაგედიისა და ზოგადად, დიდი ადამიანისათვის. ჩვენ კი ის ფროიდისტული ინტერპრეტაციების ლაფში ამოვსვარეთ და დავამდაბლეთ.

პერსონაჟს პატივი უნდა სცე ისევე, როგორც რეალურ, ცოცხალ ადამიანს და იგი შენი უნდობლობისა და ინტელექტუალური სპეკულაციების, გნებავთ, უხამსი ფიქრების ობიექტად არ უნდა აქციო. გემოვნებას რომ თავი დავანებოთ, ამას მოითხოვს ელემენტარული ეთიკა და თუნდაც პერსონაჟისადმი მკითხველის ადამიანური თანაგრძნობა.

* * *

რომაული არქიტექტურა თავისი სქელი კედლებით, სვეტებით, ყველა არქიტექტურული ელემენტით ადამიანის მატერიასთან სიახლოვეს, მდგრადობას, მასთან საუკუნეებზე ხანგრძლივად ორიენტირებულ დიალოგს გამოხატავდა.

გოტიკური არქიტექტურა, თავისი ცისკენ მიმსწრაფი გუმბათებითა და შპილებით ღვთისკენ სწრაფვას, ადამიანის პოტენციურ სულიერ სიმაღლეებს განასახიერებდა და ამ ფორმით რელიგიურ დისკურსს ასხამდა ხორცს.

მაღლივი, ფალიკური სიმბოლოებით დატვირთული თანამედროვე არქიტექტურა ძალაუფლების დისკურსის სიმბოლიზაცია და გნებავთ, პროპაგანდაა.

კულტურის განსხვავებულ ეტაპებზე შემოქმედებით ფორმათა სხვადასხვაობა, რომელიც დროში ცვალებად, ცნობიერებათა და კულტურათა სხვადასხვაობას ასახავს, იმ აზრს გვკარნახობს, რომ პოსტმოდერნული დეკონსტრუქცია მის მიერ რელიგიური დისკურსის მისაკუთრებას, მისთვის მთავარი კონსტრუქტის მოშლასა და პერვერსიას ისახავს მიზნად.

* * *

თუკი ადამიანი ოდესმე რაიმეთი ემსგავსება ღმერთს, ეს შემოქმედებაა.

ჭეშმარიტი შემოქმედი ღვთის დარად ქმნის. ამ ანალოგიის არგუმენტები უამრავია. მხოლოდ ერთს დავასახელებ: მხატვრულ მთლიანობასთან მიახლოება ღვთის ჩანაფიქრთან მიახლოებაა, რადგან როგორც ეგზისტენციალისტები ამბობენ, „ადამიანურ ყოფიერებას არ ძალუძს, იყოს მთლიანობის მდგომარეობაში“. ამიტომაა, რომ კულტურულ ტრადიციას არ დაჰყავს შემოქმედებითი პროცესი მხოლოდ გონების (რაციოს) მუშაობაზე და მას მისტიკური ძალის ინსპირაციას უკავშირებს (სხვათა შორის, ამ ტრადიციას ბარტი მითად მიიჩნევს).

ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილების ძირითადი ესთეტიკური ღირებულება სწორედ მთლიანობაშია და ესაა მშვენიერების უმთავრესი განზომილებაც. მისი მიღწევის სურვილი ადამიანში განსაკუთრებული სიძლიერის შემოქმედებით იმპულსს აღძრავს, რომელიც, ჩემი მოკრძალებული აზრით, ძალიან ჰგავს სიყვარულს. ვფიქრობ, შთაგონებაც სიყვარულთან ერთად იბადება. ჩვენს ყოფიერებასაც მთლიანობის მდგომარეობას სწორედ სიყვარულის დეფიციტი აშორებს.

* * *

გალაკტიონის ლექსის სტრიქონი — „,ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ — გამოხატავს მშვენიერი ქალის ხილვით (ან წარმოსახვით) გამოწვეულ აღტაცებასა და გაოცებას. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამას ლუციფერი ამბობს, რომლის გაოცებაც მხოლოდ „სიცისფრით“ შეიძლება (შესაბამისი კონოტაციების გათვალისწინებით), ანუ სიშავის, სიბნელის საპირისპირო მოცემულობით და ისიც მხოლოდ იმ შემთხ-

ვევაში, თუკი დავუშვებთ, რომ ხილულ და მატერიალურ სამყაროში ლუციფერს რაიმე გააოცებს.

ამ გაოცებას მხოლოდ გალაკტიონის პოეტური მზერა ამჩნევს.

გაოცებისა და აღტაცების სხვა მაგალითიც ვნახოთ, ამჯერად, ვაჟასთან: „ქალო, გნახე ფეხშიშველა, გამაჰგოგდი ეზოშია; / გენაცვალე, კაკაბს ჰგვანდი, მოსეირნეს ფერდოშია“...

ქალი, რომელსაც ვაჟა ხედავს, უხეში რეალობის ნაწილია — ყოფითი, მიწიერი — და რა უცებ ცვლის ამ რეალობას პოეტური მზერა, მშვენიერების ის ცოცხალი ხატი, რომელსაც ვაჟა ქმნის!

გალაკტიონთანაც და ვაჟასთანაც გაოცება, აღტაცება აქრობს განსხვავებას ქალის ამ ორ, სრულიად განსხვავებულ ხატს შორის და გაიძულებს ორივე მიიღო, თანაც სრულად ბუნებრივად, იმისდა მიუხედავად, როგორ გესახება მშვენიერება პირადად შენ.

ესაა პოეტური მზერით გამოწვეული იძულება, ყველაზე დიდი პარადოქსი პარადოქსთა შორის.

* * *

ჯონ სტეინბეკი კოლაუ ნადირაძისადმი გამოგზავნილ წერილში (1964 წლის 9 მაისი) წერს (დაწერილია ინგლისურად): „ახლა რომ ამის შესწორება შემეძლოს, ალბათ, მწერლის მოვალეობებს იმას დავუმატებდი, რომ სამყაროს ოდნავ მეტი მხიარულება, ოდნავ მეტი სილაღე შესძინოს და ოდნავ მეტი სიცილით აავსოს. ამით არაფერი დაშავდებოდა. ალბათ, ეს იმის დასტურიცაა, რომ ყველას გვწამს: კაცები მაშინ ხდებიან ერთმანეთის უახლოესნი, როცა ერთად იცინიან. მახსენდება, თბილისში ერთად ძალიან ბევრს ვიცინოდით, ვცეკვავდით და ვმღეროდით კიდეც.“

მაშ, ასე: კაცების (სხვათა შორის, ქალებისა და ბავშვებისაც) დაახლოების უპირველესი პირობა სიცილია (ცეკვასთან და სიმღერასთან ერთად), ოღონდ, ეს არც ჰომერული ხარხარია და არც პოსტმოდერნული უძლური ქილიკი.

ალბათ, თანამედროვე მწერლებს (სხვათა შორის, არც მედიას) არ აწყენდა სტეინბეკის ამ სიტყვების შეხსენება.

* * *

სტუდენტებს ვუხსნი, რა განსხვავებაა პოეტურ ენასა და სასაუბროს შორის და სანიმუშოდ ტერენტი გრანელის ეს სტრიქონები მომყავს: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, / ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“. გადამყავს ეს ფრაგმენტი სასაუბრო ენის ფორმატში და ვამბობ: „გაზაფხულის მშვიდი საღამოა. ჩიტი ხიდან ხეზე გადაფრინდა.“ რაშია სხვაობა? ცხადია, სიტყვებში არა. მაშინ? აგებულებაში, წინადადებების წყობაში, მოკლედ, სინტაქსში. კიდევ? ამ სინტაქსით შექმნილ ინტონაციასა და მელოდიაში და, რაღა თქმა უნდა, სასაუბრო ენისათვის მიუღწეველ, განსაკუთრებულ განწყობაში. სასაუბრო ენა, უბრალოდ, გაწოდებს ინფორმაციას გაზაფხულის საღამოზე. პოეტური რაღაც სხვას აკეთებს: საღამოს თანამონაწილედ გაქცევს. ყველაფერი შენს თვალწინ ხდება, თანაც ისე, რომ ემოციურად შენც ჩართული ხარ ამ პროცესში: ჩიტიც ხარ, გაზაფხულის საღამოც და ხიდან ხეზე გადაფრენის სიმსუბუქესაც შეიგრძნობ; თითქოს ფოთლის შრიალის, ფრთების შერხევის ხმაც გესმის. ერთი სიტყვით, რაღაც უცნაურ ემოციურ მდგომარეობაში ვარდები — თან ხედავ ამ ყველაფერს და თან მონაწილეობ კიდეც, თითქოს სიცოცხლის დამატებით ულუფას იღებ. ამ თანამონაწილეობას პირდაპირ გამოხატავს ზმნის მეორე პირის გრამატიკული ფორმა გალაკტიონის „ლურჯა ცხენებიდან“: „წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“. ცხადია, პოეტი საკუთარ თავზე ლაპარაკობს, მაგრამ ზმნის ფორმით („წევხარ“) თითქოს თანამონაწილეობისაკენ გიწვევს, ამ მდგომარეობის განცდას გთავაზობს, ამ მდგომარეობაში გაგდებს.

სკოტ ფიცჯერალდი ამბობდა: „ჩემი მწერლობით ვცდილობდი, ადამიანებისთვის მეთქვა, რომ იმასვე განვიცდიდი, რასაც ისინი“-ო.

ამიტომაა პოეტური ენა „შესაძლო ცხოვრების“ ენა, ჩვენი სიცოცხლის დამატებითი დრო, თუნდაც ამ სიცოცხლის ქვაზი-განცდა. იგი მაინც ემატება ჩვენს სიცოცხლეს.

* * *

როცა ღმერთმა თქვა თავისი პირველი სიტყვა „იქმენ“ — მან სამყაროს სახელი უწოდა. მერე რა, რომ ეს სიტყვა სულაც არაა სახელი, პირიქით, ზმნაა — მან დაასახელა სიცოცხლე, როგორც მარადიული ქმნადობა, მოძრაობა, ცვალებადობა თავის მიერ შექმნილი სამყაროს თვისებად, ბუნებად, მარადიულ მოძრაობად ქაოსის წინააღმდეგ. დროც მაშინ ამოძრავდა და სივრცის პირველი მოწესრიგებული ფორმებიც მაშინ გაჩნდა. იმ დღეს მსოფლიო ოკეანის პირველი ტალღები ფრთხილად მიეხალნენ ნაპირს.

„იქმენ“ ესაა ნება, ზეშემოქმედებითი ენერგია, რომელიც სიტყვად იქცა და რომელმაც შექმნა სამყარო.

* * *

ერთ ინტელექტუალს ახალ სამეცნიერო გამოკვლევაზე ვესაუბრები. ვერ შევთანხმდით იმაში, რომ დეკონსტრუქცია არ შეიძლება იყოს უსაზღვრო და დერიდამ შეცდომა დაუშვა, როცა მეტაფიზიკისათვის სულ არ დატოვა ადგილი (ამას მე ვამბობდი). გამოკვლევა, რომელზედაც ვსაუბრობდით, ინტერპრეტაციის სიჭარბის გამო ექსპერიმენტაციაში გადადიოდა და კვლევის ობიექტზე — კლასიკოს ქრისტიან ავტორზე — ასეთი ინტელექტუალური „თავდასხმა“ ინტერპრეტაციის საზღვრების თუ არა, გემოვნებისა და პროფესიული ეთიკის პრობლემა მაინც იყო. თუმცა, ეტყობა, გემოვნება დუმს (პროფესიული ეთიკაც), როცა იდეოლოგია (უფრო ზუსტად, იდეოკრატია) „ქუხს“. ბოლოს და ბოლოს, ისე გამოდის, რომ მთელი დეკონსტრუქციები — გემოვნებისა და პასუხისმგებლობის გარეშე — ამ იდეოლოგიური ჭექა-ქუხილის გამაძლიერებელი უფროა, ვიდრე მეცნიერული აზრის გამოცოცხლებისა, რისი სახელითაც გამოდიან.

* * *

ფამუქი მიიჩნევს, რომ ცხოვრობდე, ნიშნავს, გხედავდნენ: „მე ყველგან მხედავენ, მე მქვია წითელი.“ მაგრამ ღმერთი იმათაც ხედავს, ვინც რუხი ან სულაც, შავია. მისთვის არ არსებობს წითლის აუცილებლობა იმისთვის, რომ დაინახოს. ეს მხოლოდ კატარაქტით დაავადებულებს სჭირდებათ. დანახვის, გამოჩენის ეს გამძაფრებული მოთხოვნილება (შემომხედე! შემომხედე! შემომხედე!) შემოქმედთან დაშორება, ან სულაც, ამპარტავნება და ნარცისიზმი — მე-20 საუკუნის ადამიანის ავადმყოფობაა.

* * *

ვფიქრობ, რომ პოეზიაში ენა ასრულებს ყოფიერების უცნობ ფენებთან ცნობიერების კავშირის შენარჩუნების ფუნქციას. ესაა მისი განვითარების სტიმულიც. მხატვრული ენა ამ მიზნით ქმნის ახალ სასიცოცხლო ფორმებს, სწორედ ამ ფუნქციის კარნახით ახდენს თვითრეფერენციას. ენა ასრულებს ამ ფუნდამენტური რეფერენციისა და კომუნიკაციის, ამ ორი ყოფიერების დასახელებისა და დაკავშირების ამოცანას — წარმოსახვაში მაინც. ემოციური ფუნქციის გაძლიერება კი სხვა არაფერია, თუ არა ამ კავშირის მნიშვნელობის აღიარება, შეფასება, ამ კავშირით გაკვირვება და აღფრთოვანება.

* * *

„გონების თვალით დანახული“ — აქ ქართული ენა არაჩვეულებრივ სემანტიკურ ქვეტექსტს გადაშლის. ჩნდება ასოციაციური ჯაჭვიც ორ იდიომს შორის: „გონების თვალით დანახული“ და „გულის ყურით მოსმენილი“. გონება, როგორც სამზერი ორგანო და გული, როგორც სასმენი მექანიზმი... გონებაც და გულიც დამატებით ორგანოებს მოიხმობენ რაღაც განსაკუთრებული მიზნის მისაღწევად. გულისყურით მოსმენილი სიტყვა შემოდის აღქმაში, იქცევა გამოსახულებად და იწყებს სიცოცხლეს. გონების თვალით ხედვა კი სინათლეში ხილვა, ანუ ნათელხილვაა და თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა გონების ზეიმი. ამ ზეიმში (როგორც საერთოდ ზეიმში), გონება არასოდესაა მარტო. გონებასთან ერთად ზეიმობს გულიც. ზეიმი გულის ფეთქვაში, ანუ გულის რიტმულ რხევაში გადადის და ყველაფერს არხევს: სივრცესა და დროს ჩვენს შიგნით და გარეთ.

საბოლოო ჯამში კი ორივენი — გულიც და გონებაც ერთნაირად, ოღონდ განსხვავებული გზით მონაწილეობენ შემოქმედებითი სულის ზეიმში.

ზეიმის გაზიარება — აი, ხელოვნების დანიშნულება.

* * *

შეიძლება ითქვას, რომ დრომ დაიკავა სივრცის ადგილი — განიფინა, განირთხა. დრო იქცა სინტაგმად და დაკარგა პარადიგმულობა. დიაქრონია შთანთქა სინქრონიამ. სამყარომ დაკარგა ხიბლი მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ნაირ-ნაირ საშუალებებს იგონებს მის დასაბრუნებლად. მასთან ერთად კი ადამიანმა დაკარგა ცხოვრების უკეთესისკენ გარდაქმნის მოლოდინი და უბრალოდ, სიხალისე.

* * *

ციკლურობა იგივე ხაზოვანებაა, ოღონდ დროში შეკრული რომელიღაც განმეორებად (რიტმულ) მომენტში. რიზომა პრინციპულად განსხვავებულია. იგი ძალზე სახიფათოა ცნობიერებისთვის იმიტომ, რომ ასისტემურია და სამყაროს წესრიგის, სიმეტრიულობისა და ჰარმონიულობის იდეას გვაშორებს.

* * *

რუსთაველის მიხედვით, სიკვდილი საზღვარდაუდებელია („ვერ დაიჭირავს“), დინამიკური, საყოველთაო, მარადიული უარყოფითი ენერგია. სიკვდილის ყოვლისწამლეკ ძალას სამყაროში ასიმეტრიულობა შემოაქვს. მხოლოდ ადამიანს შესწევს გადალახოს იგი საკუთარი ეთიკური არჩევანის ნებით და აღადგინოს სიმეტრიულობა... ადამიანი დგას სიკვდილის შესახვედრად, თავისი არჩევანით გამყარებული („სჯობს...“), „სახელოვანი სიკვდილის“ იდეით გაძლიერებული. ეს ღირსეული პლასტიკაა. სიკვდილი უსახელოა, მაგრამ თუკი ადამიანს აქვს ამის ნება, იგი საკუთარი სიცოცხლით ანიჭებს მას სახელს, ანუ არარადან, არარსებობიდან გამოჰყავს სიცოცხლის შუქზე, არსებობაში, განურჩევლობიდან — რჩეულობაში, უსახელობიდან — სახელოვან ყოფიერებაში.

მერაბ მამარდაშვილი: „სიცოცხლიდან ნებისმიერი წასვლა უნდა იყოს საჯარო, ხმამაღლა სახელდებული და საყოველთაოდ გაცხადებული. მაშინ ეს სიკვდილი სიცოცხლეში მონაწილეობს.“

* * *

მე-ს და იგი-ს შექცევადობა სტროფში „მე იგი ვარ...“ ფუნქციურად ანალოგიურია სიკვდილ-სიცოცხლის შექცევადობისა სტროფში „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“

როგორც „სჯობს“ ცვლის სიკვდილ-სიცოცხლის სტრუქტურას ეთიკური არჩევანის ძალით (ნაძრახი სიცოცხლე და სახელოვანი სიკვდილი), ასევე, მე-სა და იგი-ს სტრუქტურათა ურთიერთჩანაცვლებით ხდება ჩემი სიცოცხლის ჩუქება, გაცემა სხვისთვის. „მე“-ს გარდაცვალება „ სხვა“-ში.

„სჯობს“ ნიშნავს, რომ „მე“ თვითონ ანიჭებს საკუთარ თავს არჩევანის=მოძრაობის უფლებას ისევე, როგორც იგივე „მე“ ასახელებს მოძრაობის სახეებს — „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ — და სიკვდილის ძლევით ადამიანის (მე-ს) სიცოცხლეს დადებით საზრისს ანიჭებს.

რით არაა „პოტლაჩის“ კულტურული ტრადიციის სწორუპოვარი პოეტური ანალოგი?

* * *

რატომ ირჩევს ვაჟა ბალახის, და არა ცელის როლს („ჩემი ვედრება“)? რატომ მიმართავს ღმერთს, კიპლინგი კი — მხოლოდ საკუთარ თავს („თუ“)?

თავისუფლების თემასთან მიმართებაში ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, კიპლინგის ადამიანის თავისუფლება — ამ თავისუფლების კანონმდებელი ზეძალის გარეშე დარჩენილი, თავისნაირებში — ყოველთვის იქნება საეჭვო: ის და მისი ნებაც დაუცველია, რადგან სხვისი თავისუფლების პირისპირ მარტო დარჩენილი, არავინ იცის, როგორ გამოიყენებს ამ „სასჯელს“ (სარტრი) ან თვითონ, ან სხვა, რას მოუტანს ბრძოლა. ვაჟა არ იბრძვის. რაღაც უცნაურს აკეთებს. მას თითქოს მოსწონს ეს მორჩილება, თუმცა არაფერს თმობს, მხოლოდ ძალას თხოულობს ღმერთისგან თავისი ნების აღსასრულებლად ყოველი ახალი არჩევანის წინ. მას თითქოს ჰყავს მოკავშირე, რომელთანაც დაუსრულებელ დიალოგში იმყოფება. ორივესთან, ვაჟასთანაც და კიპლინგთანაც ადამიანური გზის სიძნელე ბოლომდეა გაცნობიერებული, როგორც დაუსრულებელი და პერმანენტული. ვაჟა მხოლოდ ტანჯვის გაძლების ძალას ითხოვს. კიპლინგის ბრძოლის გზა ადამიანებზე გადის, ადამიანებზე გამარჯვებას გულისხმობს. ვაჟას ვედრებაში სამყაროს სრულყოფისკენ მიმართულ ადამიანს ვხედავ, კიპლინგთან — ერთი ადამიანის პიროვნულ ძალაზე და გამარჯვების ნებაზე ორიენტირებული კაცს.

ვისი გმირი განახორციელებს მიზანს უკეთესად — ვაჟასი თუ კიპლინგის? რა შემთხვევაში მიიღწევა უფრო მაღალი ხარისხის, უფრო სრულყოფილი თავისუფლება — რწმენით თუ ურწმენოდ? ღმერთის მხარდაჭერის იმედით, თუ უმისოდ?

და კიდევ; მიზანთან მიმართებაში წყდება შენი თავისუფლების პრობლემაც — თავისუფლება რისთვის?

* * *

ვინაა „სხვა“, როგორც ჩემს წინაშე მდგომი თავისუფლება, როგორც ჩემი მომხრე ან მოწინააღმდეგე, სად გადაკვეთენ ისინი ერთმანეთს? სად გადის „მე“-ში „სხვისი“ საზღვარი? „ადამიანი მუდამ საკუთარი თავის გარეთ მდებარეობს. ზუსტად საკუთარი თავის პროექციით და საკუთარი თავის გარეთ დაკარგვით, ის არსებობს როგორც ადამიანი“ (სარტრი).

რაღა რჩება საკუთარი თავის „შიგნით“ და რა შინაარსისაა ეს „გარეთ? როგორ შეიძლება ამ მხარეების მორიგება?

* * *

„შაშას რევოლუციაში“ გურამ რჩეულიშვილი არჩევანის პრობლემის საკუთარ გზას გვთავაზობს. ეგზისტენციალისტებთან არჩევანი ქმნის ილუზიას, თითქოს სწორედ იგია „დამნაშავე“ შედეგში, რადგან „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“ (სარტრი). რჩეულიშვილი რაღაც ამის საპირისპიროს აკეთებს, თანაც ძალზე დამაჯერებლად: ძაგანიას შემთხვევაში („შაშას რევოლუცია“) „დამნაშავე“ არჩევანი ადამიანს საკუთარი „მე“-ს სილრმეებისკენ მეგზურობას უწევს და არსებობის ჭეშმარიტი არსის შეცნობაში ეხმარება: სიცოცხლის ბოლოს ძაგანია აღმოაჩენს, რომ მისი არჩევანი, ანუ მთელი ცხოვრების ბრძოლა და ძალისხმევა, შიში და ფორიაქი სხვა არაფერია, თუ არა აბსურდი, ადამიანს კი თუ რამე აქვს „მისჯილი“, თავისუფლება კი არა, მეორე ადამიანის თანაგრძნობა, ანუ, სახარებისეულად: შეიყვარე და განთავისუფლდი.

* * *

აკაკი ბაქრაძე ეძებს ქართული ხასიათის არსისმიერ, გენეტიკურად განსაზღვრულ და კულტურულ-ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათს, მის ძირეულ თავისებურებებს და ლიტერატურაში მის ამოკითხვას ცდილობს (ასეთსავე მიდგომას ემყარება გურამ ასათიანის „სათავეებთან“). 50-80-იანი წლების ლიტერატურა იქცა ქართული ხასიათის, ერის ფარული მისწრაფებების, დაშვებული შეცდომების, წარსულის გაანალიზების საფუძვლად, ანუ კულტურული და ისტორიული მეხსიერების შემნახველ ტექსტად. კრიტიკა კი ცდილობს ამ გზაზე მწერლობის მონაპოვრის გათვალსაჩინოებას, განმარტებას და შეფასებას, მკითხველისთვის გასაგებ ენაზე „თარგმნას“.

აკაკი ბაქრაძისთვის და მთელი თაობისთვის ლიტერატურული აზროვნება — მხატვრულიც და ანალიტიკურ-კრიტიკულიც — როგორც შემოქმედებითი აზროვნების ფორმა, წარსულის შემნახველიც იყო და მომავლის გზამკვლევიც. მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად ყველა საკუთარ გზას ირჩევდა: აკაკი ბაქრაძე კრიტიკის ეთიკურ მიმართულებას ქმნიდა, გურამ ასათიანი — ესთეტიკურს. აზრის გამოთქმის, გონებრივი და მორალური საქმიანობის ეს განსხვავებული გზები საერთო მიზანს ემსახურებოდა.

XI



მარიამ წიკლაური

ახალი სამშობლო

ჩვენ დავიძინეთ გუშინ. ასი წლის მერე
თვალს გვიბლიტავდა წითელ სიზმრების კოლტი.
ჭიანურებზე ვჭიმავდით წყვილად ნერვებს,
მოვიმღეროდით უნესტანებო ქორწილს.
ჩვენსავ სიმღერას ვუწყობდით ხმას და ნაბიჯს,
და მესიების გვესია ირგვლივ ქინქლა.
ქვეყნის საზღვრებსაც ვკერავდით ხაკის ნაჭრით,
ცხრა გვქონდა დღეში იმპერატორთა მირქმა.

ჩვენ დავიძინეთ ან იქნებ მოვკვდით, ვინძლო,
ჩვენი ტანიდან ამოიგრაგნა გველი —
სულ სხვა სამშობლოდ,
                  რომელსაც ველარც იცნობ —
უცხო ქვეყანა — თავის შვილების მკვლელი.
გამოხრა გვამი და ვხედავ შეშლილ მძუნავს,
ახალ იდეად, ახალ მიზნად და ძალად
ტახტზე დაუსვამს ყველა სნეული წულად,
დამსგავსებია მშვიდი მომავლის მკრძალავს.

მიგვერეკება ყაყანის მწყობრი მარშით
ფსკერის მინდორთა ყრუ, უსინათლო მწყემსი.
რა ცოტა არის ჩვენი სიცოცხლის ხარჯი,
სიარაფრობის რად ვხდებით დილის ხემსი.
ასი წლის წინათ, ასი წლის მერეც, ისევ
შუბლგახვრეტილი ქალა იდება ჩვენ წინ.
ცრუ იფერადებს, ცრუ იმეფებს და ცრუ ხმა
წაგვიყოლიებს, სადაც რიგდება ვერცხლი.

რა ნაცნობია რეპრესიული ხელრთვაც,
რა ჰუმანური, ცხელი ტყვიით რომ არ გკლავს.
რა ლამაზია, მაინც, სამშობლოს ელვა —
ბეხრეკი ბებრის ჰგავს გადმოქნეულ არგანს.

სახუმარო-სავიშვიშო

სიტყვის ცვარი, სიტყვის წვიმა,
სიტყვის ზღვა და ჭაობი,
ვიტყვით, სიტყვად ვარსებობდით,
გვიყვარდა და ვდაობდით.

წლები გავლენ, დღემრავალი,
სიტყვად ვტოვებთ ნახელავს,
მინაწერი-მონაწერი
თუ დაგვრჩება სახელად.

რისი ეპისტოლე, ძმაო,
რისი წებო ბარათის,
სადღაც გაქრა ის კალამი,
რომ ვაყრდნობდით არათითს.

ცას და მიწის შუა სივრცეს
ამოვავსებთ სიტყვებით,
სიტყვისდედას არ დარჩება
დაუხნელი მინდვრები.

სიტყვისხურო ქვაზე ქვას და
დუღაბს ისე მოიქნევს,
კაცი კაცს ვერ დაინახავს,
ნადირს — ძველი მოისრე.

აღარც გვერდით დგომა-ჯდომა,
აღარც ხელის მოხვევა,
აღარც მზერა, მხოლოდ მწვანედ
ანთებულს თუ მოხელავ.

რისი გადაჩურჩულება,
ან რისი თქმა მიმიკით,
რისი რიდით გამოხედვა,
რისი „კარგად მიგიხვდი“.

სიტყვის ცვარი, სიტყვის წვიმა,
სიტყვის ქარიშხალები,
მესიჯებად ვცხოვრობთ ასე,
ვაგლახად და წვალებით.

ან სად გნახო საგიჟმაჟოდ,
ან სად გადაგეყარო.
მოვკვდები და გულზეც,
აჰა, მესიჯები მეყაროს.

უნახავად, უმზერელად,
უკოცნელად, უღიმოდ?
რანაირად? ეს ცხოვრება
ქეიფია უღვინოდ!

მომწერ-მოგწერ, მივწერ-მომწერს
მოლოცვას თუ სამძიმარს,
ქათინაურს, ნიუსს, კომენტს,
საქებარს თუ დამცინავს.

მოგწერ-მომწერ, მოგწერ-მომწერ,
ხან ვწერ უადრესატოდ.
ვის მიეცეს ჩვენი ცოდვა,
რომ სულ სიტყვით ვდესანტობთ?

სიტყვის ითაკა და უფრო,
სიტყვის გულანშარონი,
ვირტუალურ სკნელთა ქაჯი
გვმართავს თავის კანონით.

გამოგვავირტუალურეს,
ცხადმა ვერც რა იღონა.
ყველგან ვართ და აღარსად ვართ...
იყო, არა იყო რა...

ნეგატივი

თოვლიანი მთა – ჩემი დიდი ნეგატივია,
თუ გაამჟღავნებთ,
თეთრადმბრწყინავი მწვერვალის ნაცვლად
ჩემ შავ ღამეთა გვირგვინის წნულით
მორთულ თეთრსხეულს
დაინახავთ,
საკუთარი თავი რომ უმძიმს,
ერთი ბიჯიც ვერ გადაუდგამს.
დგას და ფიქრში თელავს ნაბიჯებს
ჰორიზონტს მიღმა,
დედამიწის მიღმაც,
ცის მიღმაც.
დგას და ასე უბრწყინავს თოვლი,
საშიშადაც,
საოცნებოდაც,
საიმედოდაც სხვათათვის, თორემ
თავისათვის — უხმო ყინული,
ჩაუბოჭავს მზის ხსოვნა და
სივრცეს გასცქერის...

გადის დრო

ჩვენი კოცნის ჩრდილს
აღარცერთი ხე არ ინახავს.
არცერთი სკამი, საზურგეებზე ჩვენი
საერთო ხერხემლის ნაშთით.

არცერთ ოთახს აღარ შერჩა
დაგუბულ ექოდ შპალიერივით აკრული ხმები
ცინცხალ ვნებაზე მიბმული გულის არითმიების.

ქუჩის კუთხეში მიაქუჩა ქარმა ნაბიჯი
საერთმანეთო — განშორების დღის გადამდები.

შენი მკლავის მორს მხრით ვათრევდი,
ტკივილის რომელ შაბათობაზე
                  დამიგორდა შეუმჩნევლად,
როდის დავკარგე
ან მარტოობის ლამაზ ფოტოზე როდის დამთაგეს.

ამხელა მიწა, ამხელა ცა, ზღვაც... სულ უშენოდ.
ჰორიზონტამდე გადაშლილი მზის მარტოობა.
ჩემი სიზმრის ლიანდაგებზე მხოლოდდამხოლოდ
ქვანახშირის და მაზუთის
                  შავი სატვირთოები მოძრაობს მძიმედ.

უჩვენობაში ჩამოსული ხიდან ფოთოლი,
უთვალავი, ისე გამქრალა,
თითქოს არასდროს არცა სხმია მდუმარე ტყეებს.

აღარც იჯერებ, რომ აქ სიმწვანეს ნამდვილი და
ახალგაზრდა უცქერდი,
ჰგავდი
გახამებულ თეთრ საყელოს და
ახალთახალი ბლოკნოტების პრიალა ფურცლებს...

რაც მსურს

რაც მსურს, ყველაზე რთული ყოფილა —
საკუთარ თავს საკუთარი თავი აკმარო.
უფრო მეტიც — შეაყვარო, გაუძვირფასო.
რადგან ამას ვერ აკეთებ, გიყვარდება ფილოსოფია...

გავიწყდება, ამ უთვალავ თეორიათა გულში
შენ ხარ — ადამიანი —
ჰომოცენტრისტულ სამყაროს კვრივი.
საკუთარი თავის პლანეტა —
ჯერაც ისევ აღმოსაჩენი, ფეხდაუდგმელი.

უცვეთელი კოსმიური მტვერივით ბრუნავს
უპასუხო კითხვების ბული.
ვერსაგრძნობი მათი სიმძიმე
გარშემო გივლის ქარებივით
და მათ ტალღებში მირაჟებად
გეჩვენება განთიადთა მზის დუმფარები.

გრძელ ფესვს ხელი წაავლო, გინდა
ახვიდე მაღლა —
                  თვალისმომჭრელ სინათლესთან,
ამ შეხვედრისთვის დაიბადე, ასე გგონია.
ყველას ასე ჰგონია, ალბათ...

მხოლოდ გუმანი — არსებობის უჯრედშორისი
ამთლიანებს უთვალავ წამს, ცხადს თუ ნაზმანევს,
და არ გაძლევს დაშლის უფლებას.
გამყარებს და გდღვებს
                  დღე-ღამეთა ტოლი სიმკვრივით, რომ
ადვილად მოგეჭიდონ,
                  მოგკიდონ ხელი, მოგეშვილონ,
რომ არასოდეს არ იფიქრო
                  მაღლა ასვლა სინათლისაკენ.
საერთოდ რომ არაფერი იფიქრო, რადგან
ვინძლო სადმე თავს გადააწყდე და სხვა აღმოჩნდე
ან პალოსავით ზედ დაეხვე
                  რომელიმე კითხვის პასუხს,
უცაბედად ამოჩრილს ასე...

ერთადერთი უფლება გაქვს —
                  იტრიალო საკუთარი ღერძის გარშემო,
და ძალიანაც რომ მოგინდეს
                  გადავარდნა უსასრულობის უძირობაში,
სულ ტყუილად გაირჯები —
                  ეს ის ღერძია, რომ არ ტყდება
არ ცალკავდება შენგან არასდროს.
მასზე, როგორც ხერხემალზე, დაშენებულხარ
ყველაფრით, რასაც გაურბოდი.
და რომც ინდომო, ვერასოდეს აეხლიჩები.

აი, სამყარო — უსასრულობა —
ყველას შობს და ყველას ინელებს,
ათასი სახით აღმოაცენებს
                  დიად სიცოცხლის არაფრობას,
შენშიც შემოდის —
სურვილების ცეცხლზე გამოგწვას,
ფერფლიც არ დარჩეს კითხვებისაგან:

რატომ, რატომ, ასე რატომ, ასე როდემდე...

ეს ივლისიც

ეს ივლისიც,
სხვებიც,
ვიცი,
გამცლიან და გამნაცრავენ.
დამაყრიან მზის ცხელ სიცილს.
ციდან ცამდე ისე გიცვლის
სახეს. მახედ, რომ არ გაცვდე,
წვიმის გვარლებს დაწნიან და
გაგაბამენ წამთა მაცნეს.
აბა, ჰა, თქვი, ბოლო სიტყვა,
აბა, გაძელ.
გაძვრე გინდა...
თავდახსნილიც,
ვითომ რას იცხოვრებ ეგეთს,
ვითომ სულ ცხონებად ერგე.
გაბზრიალა კიდეც ცერზე.
ან სად ნახავ აქ სულ სხვა გზებს,
ჟამისფერი მგელი დაგდევს...
სუ გაყუჩდი, მაინც გეშით
ასე შიშით სავსეს გაგნებს...
ეს ივლისიც,
სხვებიც,
ვიცი...

დაგივიწყე

დაგივიწყე სიტყვებივით:
„მეტადრე“ და „გარნა“.
შემთხვევითაც არ დასცდები
ჩემი ფიქრის კარნახს.
არცა გთქვი და არცა გიტყვი,
გარდაგსახე ქარად —
არ ვკითხულობ, სად გაიშლი
უჩემობის კარავს.
არც წარმოგთქვამ არა ხმაზე,
გავხდი ენაბრგვილი,
სხვა სათქმელად გადავზილე
გამტკიცული ფქვილი.
ან რა ვიცი, სად და როდის
გიგულისხმა ფიქრმა,
დრომ დაგაწყო კლდეთა გულში
სხივუხილავ ფიქლად.
ან არც იყავ ნახსენები,
არც მეწადე სიტყვად,
ჩემმა ენამ უშენობის
ბლონდი გადაირტყა.
გადაგნასკვა და გაგწყვიტა,
როგორც კვანძი სითვის,
არც ბგერად და არც მარცვლებად
გული აღარ გითვლის.
მარგინალიების მწკრივშიც
გაუხუნდი მელანს,
მკაცრი დრო და დავიწყება
ერთად გადაგბელავთ.
არც ცეცხლისპირს არ დამცდები,
აილანძოს ღამე,
დაუმეწყრავს ყველა გვერდი
უშენობის ხრამებს.
შენი სამარეა ხსოვნის
უხილავი ხნარცვი.
ყოფნა გა-ცა-იათასე
ჩემი მზეთა ძარცვით.
დაგივიწყე სიტყვებივით:
„მეტადრე“ და „გარნა“.
ერთ ლეკს ველი,
იმან იცის ძველის გამოკალვა.

ეტიუდი

სტრიქონი — სიფხიზლის ბახალა —
ჩხავილით ახმობდა ალვებს.
სიმაღლით გადაღლილ ამხანაგს
ებარა დღეების არვე.
მათ კვალზე მიყოლა ალაგმავს
საქართლედ ახვეულ მანძილს,
სადაც დასასრულის ალეგრო
არ გაცლის არც ღვიძილს, არც ძილს...
სავალი ქარებსაც არ უჩანთ,
შეთელილ სივრცეთა შფოთით,
ცის ლურჯად გაკაწრულ განაჩხავლს
ამსგავსებ აპრილის პროფილს.
რა იყო ან ეს თვე, ან წელი,
ვინ შლიდა მერცხლების ბუდეს,
რა უცხო დღეები აცელეს,
დრო ჰგავდა დაკარგულ პუდელს.
ის ყველგან ტოვებდა ლაქებად
სიწითლეს, ხაზავდა საზღვარს,
იმედსაც — პლასტმასის მაგელანს —
ვეღარსად გაჰყვები ახლა.
ამ მავთულხლართების განედებს
ამ მავთულხლართების გრძედებს —
აკრავენ სიკვდილის ალერდად
ჩვენს ცეცხლით გადახნულ ედემს.

ლალე-ლალე-ლალეგი

ეს სახლია. ეს ქუჩა. ეს ცხოვრება. ეს ვაშლი.
ეს წიგნია, რომელსაც ვერასოდეს გადაშლი.
ეს წუთია. ეს ჟამი. ეს ციხე და სამანი.
ეს მარილის ბილიკი — ჯოჯოხეთში სავალი.
აქ ტყე იყო, იქით ზღვა. იქ — მთა. აქეთ — სოფელი.
ესეც მავთულხლართია, ის — მშვიდობისმყოფელი.
ეს მიწაა, მოღობავს „იყო არა იყო რა“,
ეჰ, ამდენი ცრემლითაც რომ ვერ ამოიყორა.
ეს ნაჭერი პურია, ხან თეთრია, ხან — შავი.
ეს დროშაა, ყველასთვის
ლურჯ სუფრად რომ გაშალე.
აქეთ წახვალ — მოკვდები, იქით წახვალ — მოგკლავენ.
ამ მიწისთვის არასდროს დაგელევა მოდავე.

ღამეები. დღეები. ესეც — განთიადები.
დაშლილი ვარ და ვიცი, ვეღარ გავმთლიანდები.
ეს კახპაა, ის — ქურდი, ეს — სნობი და სულელი.
რა ცოტაა სიკეთე, სიბრიყვეა ულევი.
ეს მეფეა, ის გლეხი, ის საბრალო მღვდელია.
სუყველაფერს შეგინდობს, ქრისტეს სისხლის მსმელია.
მოვიძულეთ მართალი, იქით ვაფრთხეთ ელიაც.
ვილუკმებით ღვთის შიმშილს, მერამდენე წელია.
ვირჩევთ, ვირჩევთ,
სულ ვირჩევთ და სულ ვეძებთ სამართალს,
ვერც სახელი დავარქვით,
თავმა რაც ჩვენ დაგვმართა.
მიწას ვყიდით სახლიან-საფლავიან-დედიან,
უკუღმაპირს დახედეთ — წინაპრების ძვლებია,
გადავფერთხოთ სადმე შორს,
თორემ ყელში გვწვდებიან,
ჩვენ ვილევით, ეგენი არასოდეს ცვდებიან...
მაგათ ჩვენი სიცოცხლის საიდუმლო ებარათ,
მიწა, ძვლებითნაკირი, დაფარნებად გვეფარა.
დავიწყებას მიეცა გმირთა ძველი ბალადაც.
მთავარია შენ იყო, და შენ იყო მრავლადაც,
და შენ იყო საშენოდ, და შენ იყო ნამშევი,
შენვე იყო ეშმაკთა ლუკმაცა და საშველიც.
აქეთ წახვალ — მოკვდები, იქით წახვალ — მოგკლავენ.
ამ მიწისთვის არასდროს დაგელევა მოდავე.

ამ მიწის ფასს რას იძენთ? ამ ცას მაინც აცალეთ,
დარჩეს ჩვენი საბრალო იმედების საძვალედ.
ყველას თავი მოგვწონს კი,
როგორც კრავს და უცოდველს,
ჩვენ ხომ დღემდე მაცხოვარს
სამშობლო ვერ ვუწოდეთ.
აღარც ეკალს ეზრდება საგვირგვინე რტოები,
განძარცვული სული ჰგავს ხეს, გვიანი ნოემბრის.
ეს სახლია, ის — ბანკი. აქ — ტაძარი, იქ — სკოლა.
არსად ის ბჭე, სად ჩვილი იხილა სვიმეონმა.
აქეთ წახვალ — მოკვდები, იქით წახვალ — მოგკლავენ.
ამ მიწისთვის არასდროს დაგველევა მოდავე.
და რამდენი წელია, აკაკუნებს კარზე ყრმა.
და რამდენი წელია: არსით ჩქამი, არსით ხმა.
ყველაფერი მარტივად, მაქსი – მინიმალურად.
ცოტა სიაფანდურად, ცოტა გენიალურად.
ვითომ, ვითომ ვცოცხლობთ და ვითომ,
ვითომ ვშენდებით,
ვითომ ცერზე ვცეკვავთ და ვითომ არა ვჩერდებით.
ასააა! ასაა! რერო-რერო-ჰარალე!
კიდევ ერთხელ მიშველე, კიდევ ცოტა მაცალე!
ბატონს რა ენაღვლება, ლალე-ლალე-ლალები.
დედი, რატო არა მწიფს ჩვენი ლურჯი ყანები?

რა სიმდიდრის პატრონი ვარ

რა სიმდიდრის პატრონი ვარ,
ვერც გამოვთქვამ ენით.
მას არა აქვს ბოლო ნული —
ზღვაში ქვიშის მთვლელი.
ულეველი, უშიშარად
ჰა, მიდი და ირგე.
რაც მეტს ვხარჯავ, ხვავი უფრო
მეტობს, განა იკლებს.
ლხინშიც, ჭირშიც სხვა არაფერს —
სულ მას სწვდება ფიქრი,
არაფერი გახსოვს, ვფიცავ,
მაინც იმის იქით.
რა განძი მაქვს, რა ცხონება,
განა, მარტო ამ მხრის?
მარადისი, ვერც ქურდი და
ვერც სიკვდილი გამყრის.
ცაზე ბევრი, ყველას ჰყოფნის,
რაღა გინდა მეტი?!
საითაც არ გაიხედავ —
ღმერთი, ღმერთი, ღმერთი!

იყოს
27 სექტემბრისა

იყოს ერთი დღით ნაკლები წელი,
ან იქნებ ათით, ან იქნებ ასით...
დანაკარგს გაჰყვეს ეს თარიღები,
გადამავიწყოს ყველაფრის ფასი.
ბრბოთა შელოცვით „გაუ და გაუ“
აავსოს ქარმა იმ დღეთა ღრუვი,
არ მომაგონოს ღალატის გემო,
აღარ ჩამომხსნას თვალიდან რული.
დამათხოვრებულ ამ სიყვარულსაც,
რომ გაიძახის: „მაჭამეთ, მშია“,
არ დამანახოთ, გულზე რამდენი
დაუფუთფუთებს სიკვდილის ჭია.
უთვალისჩინო სამშობლო ჩემი
გადაალაჯებს გმირების საფლავს,
რომ არ მოსჭამონ მახინჯი კოჭი,
ყოველდღე უფრო ღრმად ფლავს და მარხავს.
რამ გაძაბუნა, რა ხალხმა, ნეტა
რამდენი ლექსი გქცევია რწყევად,
გადაიმტერო, ხომ გინდა, ასე
თავი, იქციო საკუთარ მძევლად.
მოატრიალე სხვა მხარეს გული,
ნუღა მიუშვებ მკვდარ სიტყვებს ახლოს,
რომ განჯადოვდეს ყველა სიმღერა,
რომ შეშინებულ გულს ჯვარი გსახონ.
იყოს დღეებით ნაკლები წელი,
იყოს აღდგომით ნალეწი ზღუდე.
ნუ დაიმარხავ შენს თავში სიკვდილს,
ჩვენს თავს ნუ უთევ...

ჩიპოლინო

სადღა მაქვს თავი ბრძოლის, ნათლიდედ,
ციხეც შიგნიდან რომ ტყდება, ვიცი,
მამაც ვიხსენი, სახლიც ვიხსენი,
ვერ დავაღწიე თავი ამ სირცხვილს, —
რომ მარცხიც ზოგჯერ ჯილდოდ მივიღო,
ჯილდოდ მივიღო ცისათვის — მიწის!

ნუ გაყიდი

განა რამეს ვითხოვ ისეთს,
რაც ღვთით გვერგო, ჩვენვე გვქონდეს.
ნუ გაყიდი ამ მიწა-წყალს,
ნაცვლად ნუ იყიდი ძონძებს.
აღარც ღონე, აღარც ცრემლი,
არც აკვნები კაკილებით,
რამ დაგცალათ, ხმა გამეცით,
სად გეძებოთ, სად იქნებით?

მივუყვები, მიწა მიჰგავს
უფლის ბაღებს ადამამდელს.
ეს ამხელა მოუხდელი
სიმარტოვე რად დამმართე?
ამ ცარიელ მთებს და მინდვრებს
შენი სუნთქვის ჩქამი ავსებს,
ღმერთო, ნუთუ ვეღარ ვნახავ
ჩვენს სამშობლოს ჩვენით სავსეს?!

ასე ლამაზს და შნოიანს,
რატომ ვეღარ გიპატრონეთ,
ასე როგორ გაგიმეტეთ,
ან რა გულით მიგატოვეთ?
ველ-მინდვრებო, მთებო, ცაო,
სანაწილევ ჩვენი ჯიშის,
თითქოს ქარზე გაგაჩუქეთ,
თითქოს განაცვალეთ შიმშილს.
ახლაც გყიდით, დახელთილნი
გტოვებთ მდიდარ კაცის სახლად.
კი ვართ ღირსი, რომ შენს კარზე
უცხოს ჯაჭვით ვებათ ძაღლად!

იყავ!

ესეც შენი უხილავი სამყაროს კლიტე,
შედი, იმეფე...
ყველა ტყვია — ნამდვილზე ცხელი,
ყველა ისარი — ნამდვილზე სწრაფი,
ყველა მხედარი ყურმოჭრილი მონაა შენი,
ანგელოზებიც მონები, უფრთოდ
დაფრინავენ და ჰაერიდან თესავენ სიტყვებს,
ყანა წამსუმალ მწიფს, წამსუმალ მკი,
არ გეკარგება ერთი მარცვალიც,
ყველაფერი დაცულია,
არც ქარია და
არც წვიმა გალტობს,
აქ ყოველთვის მეტი გაქვს მასზე,
შენი რაც არის.
როგორც სიჩუმით ავსებული
ძველი საძვალე — შენია ფიქრი —
უხილავი სამყაროს კლიტე.
შედი, იმეფე...
გინდ, ასკეტი ბერი იყავი,
გინდ — მემთვრალე,
ამ სამეფოში ერთადერთი რეგალიაა —
მეფიქრე!
იყავ!

→

მარიამ წიკლაური

დღეები

დაღამდება და ხვდები,
ეს დღეც მიემატა ნაგავსაყრელს,
ეს დღეც გაითალა და ფშუტეგულიანი აღმოჩნდა,
გაიფცქვნა და აღარაფერი დარჩა,
არადა, ნამდვილად იყო, ყველგან იყო
ხალხიანი, საქმიანი,
თავს არ ზოგავდა...
იყო და ყველგან დააბოტებდა დინოზავრივით,
გადაძოვა წუთები და საათები და
ნერვები და ხერხემალი,
ყველა მალა გადახრა ლამის...
აკაკუნებდა გამუდმებით ღილაკებზე,
გადასცემდა აქაურობის
ასიათას დიგიტალურ ასლს
სხვა დინოზავრებს...
მერე ნელა შეტრიალდა და სადღაც გაქრა.
არაფერი მომჩვენებია.
ამ ნაკვალევსაც — უზარმაზარ სიცარიელეს —
მოინელებს დედამიწა — ყველაზე ხარბი.
ჩვენ ავუბზუებთ ცხვირს ნაგავსაყრელს
და თავიდან ვცდით
ყოველი დღის გამოგონებას!

ნაბოლარა

ღრმად ეძინა. მკვდარივით. თუმცა
ან სიკვდილისა რა იცოდა, ან სიცოცხლისა.
მარტოობის სევდით ნახელთი
ღმერთისერთა, ნებიერი, სრული, უკვდავი.
არავინ იყო იმის მოწმეც,
რისგან და რისთვის იშვა მისი უცები ცოლი.
მიწისგან არა, კაცისგანო.
სინამდვილე კი არავინ იცის,
ღმერთი თავს ხომ არასდროს გათქვამს,
ადამიანი ამ ამბავს კი არ დასწრებია.
ღრმად ეძინაო.
არც ნეკნი აკლდა, არც ნახევარი.
ყველაფერი მერე იქნება, მერე მოვა, მერე მოხდება.
ახლა კი აი, აქ არიან,
თვალებს იფშვნეტენ,
და სამყაროს თავხეებში მზის სხივების აბლაბუდებს
შეჰყურებენ დიდი თვალებით.
მზე ჰგონიათ თავისი ღმერთი,
მზის შვილები ჰგონიათ თავი,
და მზეებად ეჩვენებათ იგიც, ვინც შობეს.
გვიან მიხვდნენ, და არც არასდროს ეჯერებოდათ,
რომ მზე შორს იყო, ცაც შორს იყო
და რაც მიეცათ, ისე ცოტა და უსუსური,
რომ არასდროს ეყოფოდათ ბედნიერებად.
რასაც ხელი წაატანეს,
ყველაფერი თავდებოდა და იხრწნებოდა.
ხოლო მიწა თავადვე იყვნენ.
ის ერთადერთი —
იდგა მუდამ მამასა და იმათ შორის,
ვინც მეტი იყო,
მუდმივი იყო,
არც თავდებოდა,
არც ჩნდებოდა,
და ყველაფერს ადგა ჩრდილივით,
მაგრამ ძალა მეტი ჰქონდა, ვიდრე ქარებს და
ვიდრე ზვირთებს,
ვიდრე ცეცხლს და ადამიანებს.
სულ ცოტა ხანში დღევანდელიც გაუთენდებათ.
დღევანდელობის დიდი ამბავით —
არაფრობის გაჩენის დილა.
არც ძილი და არც ორსულობა —
შიშსა და ღვიძილს ნეკნს აცლის ვიღაც,
მეორდება არყოფილი და იბადება
არაფრობა – ნაბოლარა, ბოლო იმედი.
და ესაა სიხარულიც, ტანჯვაც, წყალობაც.
ახლა ის უნდა ვზარდოთ პატივით.
ახლა მისთვის ვხარშოთ უნდა
დამურკლული სივრცეების წყალ-წყალა ფაფა,
ახლა მისთვის უნდა ვაცხოთ
ბოლოკუდა დროის კვერები.
ახლა ის უნდა ვიხსნათ მხეცთაგან
და ჩავათბუნოთ ღმერთის თვალებში,
ახლა ის ვზარდოთ
უფრო დიდი საიდუმლოს ამომხსნელად,
ვიდრე ედემის, ვიდრე წარღვნის, ვიდრე მესიის.
ახლა იქნებ და, მას ვასწავლოთ, როგორმე შეძლოს
ადამიანმა თავის თავზე მეტად ყოფნა,
თავის თავზე მეტად დამცრობა.
ახლა ის ვგეშოთ სიმართალზე, სიმხნევეზე,
ახლა იმას ვაზუთხინოთ ბედნიერების ყველა კანონი!
ეგებ შეძლოს, რაც ვერავინ შეიძლო დღემდე —
ჩრდილის ბორკილი აიწყვიტოს —
ბედისწერიდან დაიხსნას თავი,
და იქცეს კაცი სიყვარულად,
თავისუფლებად,
გამარჯვებად — სიკეთის ღმერთის გადამრჩენად.
მზისათვის თვალის გასწორებაც შეიძლოს, ეგებ...

შორენა ძამუკაშვილი

* * *

ეჩურჩულება ცხენისწაბლებს წვიმა გერილი,
ფარნების შუქზე ალვის ხეებს გაუდით მარში,
ზაფხულის მიწა დამაშვრალი ყლაპავს წყლის წვეთებს,
ღამე ეულად აყუდია ქუჩას ჭიშკარში....

ატმის და მსხალის სურნელება ერევა ღამეს,
ლეღვების რძეში ჭარმაგდება ზაფხულის ბოლო,
მძინარე ძაღლი აქა-იქ კრთის, ალბათ ჰყეფს რამეს,
ხმელ თითებს იმტვრევს ფიცარნაგზე გაშლილი ღოლო.

ქარმა ხმაურით გადაფანტა ღრუბელთ ჯაათი,
მთვარემ ღიმილით სახლის კუთხეს თავი იჩინა,
ბოლთას სცემს უკვე შუაღამეს ძველი საათი,
ნათურის შუქზე დამეწვია კიდეც ჭრიჭინა...

საქმემ მათია, მეც ვათიე და სიტყვა ვწერე,
მიყურებს ზეცა ვარსკვლავებით სახე მღიმარი,
ღამე კი არა, იდილია აღვწერე მხოლოდ
აი, ხელს შუაც ამეკინძა თვალზე სიზმარი;

* * *

წუხელ იწვიმა...
ჩამოიტირა ზეცამ თავპირი....
წვიმა ორკესტრი მღეროდა სონეტს
და ბნელი ღამე, როგორც ვამპირი,
ზაფხულს ალეწდა გაცვეთილ ლორნეტს...

წუხელ იწვიმა...
სხეულს იბანდნენ ყურძნის მტევნები
და ქანაობდნენ, როგორც ეჟვნები,
ვარდებს თვალებზე ეკიდათ ცრემლი,
მიწას ეყარა ფოთლები ტყემლის...

წუხელ იწვიმა...
კაკალზე მღერდა ჭრელი ზარნაშო,
გამალებულიც დაძრწოდა ქარი
და ალიონსაც წუხელ ქარნაშობს
ჯერ არაფერი ეტყობა დარის.

* * *

ვერას გაუგებ ზამთარს, ხანაც უდროოდ გსტუმრობს,
ჩამოგითოვებს ზაფხულს და უადგილოდ გხუმრობს.
შემოგახურავს ნაბადს თეთრი ფუმფულა თოვლის,
შავად აღარ ჩანს მთის ძირს ხავსმოდებული ხოვლი.

ახლა ფიქრების დროა, გაბაასების თავთან,
სოფელი ამით ვარგობს, ნიავს ადარებ ქართან.
ავდარს დარები მოსდევს, დაახევინებს ზამთარს
და შეუმშრალებს თეთრას შუბლზე ჩამოყრილ ფაფარს.

განა შეუძლის ზამთარს, ნირი უქციოს შხარას,
ფეხზე წამომდგარ კოშკებს,
ცხენების ფლოქვის ჯღარას.
მაინც უხდება უშგულს ამ ენკენისთვეს თოვლი,
ნუ გეშინია, ლაბავ, შენ ხომ უძლებდი ყოვლის...

ნიკოლოზ ცისკარიშვილი

ორი სამყარო

დასასრული

მოკლე მონოლოგის მოსმენა თითქოს ბოლომდე აფხიზლებს და ბალახზე წამომჯდარი, ხეს მიყრდნობილი, იმის შესახებ ფიქრობს, რაც ესიზმრა. მაგრამ ეშინია, წეღანდელივით ისევ არ ჩაეძინოს, ამიტომ უფრო ფრთხილია და ნელა აღვიძებს მოგონებებს, თან ჩვეულებრივზე მეტს ფიქრობს. თითქოს ცხადია, რომ მისთვის ამ ღამის რეალობა ნამდვილია, მაგრამ ხომ შეიძლება, ყველაფერი სიზმარი იყოს? იქნებ სინამდვილე ლაბირინთშია და იქ ხეტიალით დაღლილი, მოულოდნელად ჩაძინებული, სიზმრად ხედავს ამ ბაღს, ცას, ვარსკვლავებს? ყურადღებით დასცქერის საკუთარ ხელებს და ცდილობს, სრული სიცხადით დაინახოს ისინი, მაგრამ არ გამოსდის. სამყარო, აქამდე რომ რეალური ჩანდა, თითქოს ერთი ნაბიჯით შორდება, უკან იხევს შეშინებული მებრძოლივით და სიმკვეთრეს კარგავს. ფხიზლობს, მაგრამ ხვდება, რომ სიზმარი უხმობს, ისევე, როგორც ძილში გვსურს ხოლმე გამოღვიძება. მაჯებს ატრიალებს და ხელის გულებს დასცქერის. აკვირდება ღარებს, ღრმად ჩამჯდარ ხაზებს, რომლებიც პერიფერიებიდან ცენტრისკენ ისწრაფვიან. დროთა განმავლობაში ეჩვენება, თითქოს ხაზები ღრმავდება, დამატებით განზომილებას იძენს, შავდება, მოგვიანებით კი ფართოვდება, ისე, რომ მალე მთელ მაჯას, მტევანს, მთელ მის სხეულს, ბოლოს კი სრულიად სამყაროს მოიცავს. ღარები იქცევიან ლაბირინთად.

კვლავ ლაბირინთში აღმოჩენილი იმის გაფიქრებას ასწრებს, რომ ჩაეძინა ან გაეღვიძა, სიზმარში აღმოჩნდა ან რეალურ სამყაროში, მაგრამ გონება მხოლოდ ამ ფიქრისთვის ყოფნის, მალე აზრები უკვალოდ ქრება და იგი კვლავ მიაბიჯებს, აწყდება კედლებს, ეკლოვან ბუჩქებს, დასდევს სიტყვებს, გარშემო რომ დაფარფატებენ.

მისთვის ახლა ორი სამყარო არსებობს და თითოეული მათგანი ერთდროულად არის ყალბიც და ნამდვილიც. მათი რეალურობა სუბიექტის მდგომარეობით განისაზღვრება. ლაბირინთში მყოფი ბაღს მიიჩნევს ზმანებად, ბაღში მყოფი კი ლაბირინთში გადატანილ ტანჯვას ისე იხსენებს, როგორც კოშმარს. არადა, ახლა, როდესაც გაუჩერებლად მირბის ვიწრო კედლებს შორის, ტანჯვა და ტკივილი ნამდვილია, მეტიც, მხოლოდ ეს წარმოადგენს ერთადერთ სინამდვილეს და ამ გაგებით, არ არსებობს არც არავითარი ბაღი, არც მოსაუბრე და არც მახლობელი ქალაქი.

ალბათ წლები გადის ამ ხეტიალში, შემდეგ კი კვლავ აფხიზლებს ძახილი. კაცი აღარ უღიმის და კიდევ უფრო მოქანცული ამბობს: „შენ ისევ ჩაგეძინა! მაგრამ მთავარია, რომ ახლა გღვიძავს. დავიღალე, ამ ღამემ გამომფიტა, მაგრამ დასვენებას ჯერ ვერ შევძლებთ, წინ დიდი დღე გვიდევს. შეხედე! მალე გათენდება. შენ არ შეგიძლია, მუდმივად შეინარჩუნო თვითცნობიერება, რადგან უსრული არსება ხარ, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, რადგან სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია და მხოლოდ იგია ყოველწამიერად საკუთარი თავიც ცნობიერი. არა უშავს, თუ დაიკარგები, მთავარია, ვინმემ მოგძებნოს; მთავარია, ამ სამყაროდან გახმიანებული ძახილის გაგონება შეძლო. შემომხედე, მე ხომ აქ ვარ, ნუ შეგეშინდება. თუკი ოდესმე ორ სამყაროს შორის დაიკარგები, იმას ჩაეჭიდე, რაც დანამდვილებით იცი და გახსოვს. ცოდნის ეს უეჭველობა იქნება ღმერთი.“

თენდება, აღმოსავლეთის ცა ნაცრისფრად იღებება. ქალაქიდან უკვე მოისმის ზარის წკრიალის, თხების კიკინის ხმა და მწყემსების გადაძახილი.

„მაგრამ რა მოხდება მაშინ, როდესაც მე წავალ და აღარავინ იქნება, რომ დაგიძახოს, საზარელი სამყაროდან მოგიხმოს და აქ დაგაბრუნოს?“ — ამბობს ხავერდოვანი ხმა.

„სადაც შენ წახვალ, მეც იქ ვიქნები. მუდამ ასე იყო და ასე იქნება“ — პასუხობს იგი.

„ყველა გზა შენთვის არ არის. ვაი მას, ვინც მარტოა, დაკარგულია ბნელ ლაბირინთში და არავინაა, ხმა რომ მიაწვდინოს. ვაი მას, ვინც იმას კარგავს, რასაც შემდეგ სამუდამოდ ივიწყებს. შენ კი ადექი, ადექი და გამომყევი, რადგან გათენდა და ჩვენი გზა გვიხმობს. აჰა, მოახლოვდა ჟამი და კაცის ძე გადაეცემა ცოდვილებს ხელში. ადექი, წავიდეთ, აჰა, მოახლოვდა ჩემი გამცემი.“

მანანა კვაჭანტირაძე

სიტყვაზე და ლიტერატურაზე



* * *

წლების წინ ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილმა მიამბო: ვარძიაში პრაქტიკაზე ყოფნისას ფოტოაპარატი დარჩენია რომელიღაც სენაკში. უკან მიბრუნებულა და ძებნა დაუწყია. მზე ჩადიოდა და რაღაც უცნაურად ანათებდა იქაურობასო. უცებ ერთ-ერთი სენაკის გასასვლელი კარის თავზე ქრისტეს სახის (თავის) გამოსახულებას მიუპყრია მისი ყურადღება. ჩამავალი მზის სხივები, თურმე, ისე ანათებდნენ კარის ღიობს, რომ იესოს ტანის გამოსახულებას ქმნიდნენ და თავთან (სახესთან) ერთად უფლის ხატი მთელი თავისი სისრულით იხატებოდა. ეს იყოო, ანიმ თქვა, ზუსტი ხატი ქრისტეს იმ იპოსტასისა, რომელზედაც თვით უფალი ბრძანებს: „მე ვარ კარ“.

მგონია, რომ ეს იყო ბედნიერი წამი, რომელმაც უხსოვარ დროში ბუნების ამ ყოველდღიური და ჩვეულებრივი ცვლილებისას შემოქმედს შესაძლებლობა მისცა დაენახა უფალი, როგორც კარი და თავისი ხილვა გამოსახულებად ჩამოექნა. საუკუნეების მერე კი, ასეთივე შემთხვევითობის წყალობით, ეს აღქმა გადაეცა შთამომავლისათვის. უფრო ზუსტად, ეს იყო წამი დროთა შეხვედრისა და უტყვი დიალოგისა წინაპარსა და შთამომავალს შორის, შეხვედრის მისტიკური წამი, რაღაც ისეთი, გამოცხადებას რომ ვეძახით.

ღმერთი ისევე განაგებს შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობას.

* * *

გაუდის „საგრადა ფამილია“ ესაა ბუნების ტაძარი, ტაძარი როგორც ბუნება და ბუნება როგორც ტაძარი. ნებისმიერ შემთხვევაში — ღმერთის ქნილება, შესრულებული შემოქმედის ხელით.

ღმერთის ეს ხელი გაუდისთან იგრძნობა.

* * *

გოდერძი ჩოხელი მოგონებებში ერთგან ზღაპრის მთხრობელზე ამბობს: „შემოგვისხამდა ხოლმე მზის გულზეო“ (ბავშვებს).

როგორი ზუსტია აქ ეს ხოლმეობითის ფორმა და ეს „შემოგვისხამდაც“. თითქოს მარტო გარშემო კი არა (ჰორიზონტალურად), ფრთებზეც შემოისხამდა (ვერტიკალურ განზომილებაში) და როგორ უხდება ზღაპრის მოყოლის, თხრობის აქტს — საოცრებათა მომლოდინე, სულგანაბული პატარების მოგზაურობას მათ ბავშვურად აღგზნებულ წარმოსახვაში.

იქნებ, არის კიდეც ზღაპრის ქვეყანაში გასეირნება ფრთებზე შემოსხმისა და გაფრენის მდგომარეობა?

* * *

მოდერნიზმმა გამოიმუშავა ენა ისეთი რთული და შეუღწეველი ფენომენის მიმართ, როგორიც ცნობიერებაში მიმდინარე ფარული პროცესებია (ცნობიერების ნაკადის ლიტერატურა). პოსტმოდერნიზმი უფრო შორს წავიდა. იგი შეეხო საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონიათ ლიტერატურის ენაზე „თარგმანების“ ისტორია, ან ეს ისტორია შემთხვევითი, არასისტემური და ფრაგმენტული იყო — დროის დიდ მონაკვეთებში აქა-იქ გაფანტული. მან მიზნად დაისახა ამ „შიგადი“ მოვლენების მიმართ ენის გააქტიურება (რეფერენცია), მხატვრული ენის ისეთი გაფართოება, რომ იგი მისწვდომოდა არა ცნობიერებისეულ, არამედ ფიზიოლოგიურ მოვლენებს, „ეთარგმნა“ და გადმოეღო ისინი ლიტერატურის ენაზე. ასეთია, მაგალითად, სექსის ნარატივი, ფიზიოლოგიური სფეროს ფსიქოლოგიზაცია, ძალზე პირადული, ინტიმური სფერო და ასე შემდეგ, ანუ ყველაფერი, რაც შიდა და გარე ზედაპირებს (ცნებებს, ინტერპრეტაციებს, საგნებს) შორის მოძრაობს, რაც გამოიყოფა, როგორც ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქიკური ექსკრემენტი. არასათანადო ნიჭიერებითა და მეტისმეტი გაბედულებით შესრულებული ეს ყველაფერი ძალზე ხშირად ბადებს დაფარულისთვის ფარდის ახდის უხერხულ განცდას და გულდაწყვეტას მწერლის უდიერი, უპატივცემულო სითამამის (თავხედობის) მიმართ. თუმცა ზოგ ავტორს ეს თავისუფლების ილუზიას უქმნის. პოსტმოდერნიზმმა გადალახა ზღვარი, რომელიც ლიტერატურის ენასა და ფიზიოლოგიის ენას შორის არსებობს და ეს გააკეთა რადიკალური ანტიესთეტიზმის სახელით, რომელიც, თავის მხრივ, ცნობიერების დეკონსტრუქციის მიზანს ემსახურება (გაცილებით შორსმიმავალი სხვა „დესტრუქციებით“). დერიდასთვის და სხვა დეკონსტრუქტივისტებისთვის, ნაწილობრივ მაინც, ეს იყო იდეოლოგიური ამოცანა, რომელიც, სხვათა შორის, არც არასდროს უარუყვიათ. ამან გააჩინა მწერლისთვის და ზოგადად ხელოვანისთვის უპატიებელი ანტიესთეტიზმი, რომელიც ზოგისთვის ღია იდეოლოგიურ (იდეოკრატიულ) სამსახურში, ზოგისთვის კი შემოქმედებითი ძალების მოსინჯვასა თუ პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაში გამოიხატა. „შიგადის“ ამ, ესთეტიზმისაგან სრულიად განძარცვულმა ამოტრიალებამ გამოააშკარავა, თუ შედარებას მოვიხმობთ, ადამიანის ტყავგაცლილი სხეული — თავისი მდიდარი და საზარელი ფლორით. ზედაპირის ქვეშმდებარე მატერია — დაქსელილი სისხლძარღვებით, სპეციფიკური, ამაზრზენი მატერიით, მოკლედ, საიდუმლოებათა ჩვენების სიმულაციით, რომელთა შედეგებზე პასუხისმგებლობას რატომღაც არც ერთი პოსტმოდერნისტი მწერალი (და კინორეჟისორი) არ იღებს. ისინი მხოლოდ ჩვენებით კმაყოფილდებიან, რაც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, ვერც მათი ოსტატობის ნიშანს იძლევა და მითუმეტეს, ვერც იმისა, რასაც სულ უახლოეს წარსულში შემოქმედის პასუხისმგებლობას ვეძახდით.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ მთელი ამ თავგადაკლული მცდელობის შედეგად ენა ოდნავადაც არ ხდება ეროგენული. პირიქით, ყოველგვარ ეროგენულობას კლავს საკუთარ თავში, ენერგიას კარგავს და ცივ რაციონალისტად იქცევა. ამ დროს ისღა დაგრჩენია, თვალი მოარიდო.

* * *

როგორ მიისწრაფვის ანა გიორგას გომურისაკენ, მარტოხელა და უმამო შვილის სადგომისკენ, იმ კაცის სამყაროსაკენ, სადაც მარტოობა, მონატრება და სიყვარული მეტია, ვიდრე ნებისმიერი კაცის სამყაროში და იქ მიაქვს თავისი სითბო, ზრუნვა და ერთგულება, დროებითი სიმშვიდე, ანუ ის ყველაფერი, რაც ქალმა შეიძლება შესთავაზოს კაცს იმისდა მიუხედავად, ის კაცი შვილია თუ საყვარელი. ყველაფერი, რაც აქ ხდება, ძალიან გავს ბედნიერებას. ასე შეყვარებულები გარბიან თავიანთი საიდუმლო შეხვედრის ადგილას უკანმოუხედავად, შიშითა და ზაფრით ატანილნი, რომ შეიძლება მათი საიდუმლო შეიტყოს ვინმემ — ვინმემ, კუსასნაირმა, მაიორის ან პეტრეს მსგავსმა — და გასვაროს, შეურაცხყოს სიტყვით ან ჟესტით, თუნდაც ფიქრით.

და ამ ყველაფერს, ანუ, უბრალოდ, სიყვარულს, თანამედროვე ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი რაღაც ავადმყოფობის სიმპტომებად განიხილავს.

* * *

ის, რომ სიზმარში აღძრული განცდისაგან არაფერი რჩება, რეალობის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ არც რეალური განცდისაგანაც რჩება რამე?

* * *

რატომ უნდა სიყვარულს მალვა?

ვფიქრობ, აქ რუსთაველი ადამიანს (ადამიანებს) არ გულისხმობს. ეს, ადამიანს კი არა, სიყვარულს უნდა შეუნახო თავისი საიდუმლო, იდუმალება, რადგან სიყვარული დიდი საიდუმლოს ნაწილია. იგი ფარდის იქიდან გვიყურებს, გვანიშნებს, გვიზიდავს. ეს ის ფარდა თუ რიდეა, პოეტის თვალი რომ ამჩნევს, მაგრამ, ამავე დროს, მას და მხოლოდ მას უჩენს და უმალავს ერთდროულად, და ამით იწვევს, ეთამაშება. სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ირიბად, სხვანაირად, და მაშინაც კი, როცა პირდაპირ ამბობს, ამბობს ისეთი გზნებით, ისეთი ალმოდებული სიტყვით, რომ ამ ცეცხლის მიღმა თავისთავად კარგავს სიცხადეს ის, რასაც ამბობს. ამბობს წარსულში (მაგალითად — პუშკინის „მე თქვენ მიყვარდით...“) — თითქოს დამცხრალ, მოგონებებით სავსე ნაცნობ სიტყვას, მაგრამ ისეთი ჯადოსნური იდუმალებით, რომ თითქოს არც ამბობს არაფერს საჩვენოდ. გავიგეთ რამე გალაკტიონის უკანასკნელი სიყვარულის შესახებ? ხომ არაფერი? სულ სხვააო, გვეუბნება, არაფერს სხვას არ გავსო, მაგრამ არც ცდილობს რაიმე გარკვეულობა შეიტანოს, გარკვეულობა ხომ პოეტის საქმე არაა. მოკლედ, უფრო მალავს, ვიდრე ამბობს.

ფერდინანდ პესოა: რომ შემძლებოდა, შემეცნო უძლიერესი სიყვარული, ვერასდროს შევძლებდი მის აღწერას.

იბნ არაბი: სიყვარული ესაა ნიჭი უხილავის ხილვისა და არარსებულის შეგრძნობისა.

* * *

ლექსში „საყურე“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ლაპარაკობს საყურის რხევაზე, ადარებს მას პეპელას, „სპეტაკ შროშანას“ და მხოლოდ ლექსის დასასრულს, უკანასკნელ ამოსუნთქვასავით აძლევს თავს უფლებას გამოთქვას ამ მზერის ეროტიკული შინაარსი („ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?“). მხოლოდ ამ გზით — ჯერ მოკრძალებით, ბოლოს კი თითქოს ფარდის უეცარი გადაწევის, რიდის წამიერად ახდის პლასტიკით აცხადებს დაფარულს. ემოციური გრადაციები და ნიუანსები ფარავს /ამხელს იმას, რაც ფარდის მიღმაა, მაგრამ განცდის სიღრმე და სიძლიერე წამიერად გადალახავს თავის კალაპოტს. გავიხსენოთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ბარათაშვილის აღსარება (მსმენელი ლევან მელიქიშვილია): „ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინა იქ არის და მისი საყურის თამაშმა გადამრია, ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს!“

„საყურე“ ამ „გაგიჟებული“ კაცის პოეტური აღსარებაა, პოეზიად გარდაქმნილი უძლიერესი ეროტიკული განცდა.

ახლა ხალხურ ლექსს მოვუსმინოთ: „შენ ჩემო დიდო იმედო, / კოშკო, ნაგებო კირითა... / წითელი მოვის პერანგო,/ შვიდგან შეკრულო ღილითა ..../შენთანამც ყოფნით გამაძღო, / შენთანამც წოლა-ძილითა“.

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხედავს მტკიცე, შეუვალ კოშკს (შედარება), არა გახსნილ, არამედ შეკრულ — და თანაც ძალზე მტკიცედ, გულდასმით, შვიდგან — წითელ პერანგს. ეროტიკა ზღვრამდეა მისული და ამოხეთქავს კიდეც მას შემდეგ, რაც მოთმენის შეუძლებლობა პირდაპირ, შეუნიღბავ სიტყვიერ ფორმად გადმოიღვრება ბოლო ორ სტრიქონში. საოცარია, რა ბუნებრივად ეწერება ეროტიკით სავსე ეს ორი სტრიქონი სიყვარულის ესთეტიკაში დიდი და მოვარდნილი განცდის ძალით.

ალბათ, რაღაც ასეთი უნდა იგულისხმებოდეს სიტყვებში „სიყვარულსა მალვა უნდა“. უბრალოდ, ზემომოტანილი სტრიქონები „უნდას“ „არ მინდაში“ მოულოდნელ და დაუგეგმავ გადასვლას გულისხმობს.

* * *

სარტრი: „იყო ადამიანი, ნიშნავს ისწრაფოდე ღმერთის ყოფიერებისკენ, ადამიანი არსებითად წარმოადგენს სურვილს, იყოს ღმერთი.“ სახარებამ იცის, რა სახიფათოა ეს სურვილი და აქედანაა პირველი მცნება, მისი გამაფრთხილებელი ინტონაცია. ადამიანის არჩევანი სულ მდაბალსა და მაღალს, ცხოველსა და ღმერთს შორის მოძრაობს; სულ ცასა და მიწას შორისაა. არჩევანის თავისუფლებაც ამ რყევას გულისხმობს, ჩვენი პიროვნებაც ამ მოძრაობაში იქმნება.

ეგზისტენციალიზმი, პრაქტიკულად, მხოლოდ საკითხის განსჯით კმაყოფილდება და უპასუხოდ ტოვებს კითხვას გზის შესახებ, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი მარცხისთვის თვალის არიდება.

მაინცდამაინც შორს არც თანამედროვე ფილოსოფია წასულა. მან საკითხს შემოუარა და ადამიანის განღმრთობის შესაძლებლობის მხოლოდ ილუზია გააძლიერა.

ჩვენი ენერგია ფუჭად რომ არ დაიხარჯოს და ადამიანი ამ მიუღწეველი სურვილის გამო იმედგაცრუებამ არ შეიპყროს, სახარება (და რელიგია) ძალზე კონკრეტულ გზას — სიყვარულს გვთავაზობს.

* * *

სიტყვა ისაა, რაც საქმის შეფასებას ახდენს. სიტყვა ივიწყებს და იმახსოვრებს, სიტყვა საქმის განაჩენია. ამ განაჩენის ძალითვე (შიშით?) კეთდება საქმე.

* * *

წიგნში (კითხვაში) „ჩაფლობა“, „შთაგონებით დასნეულება“, „ცოცხლად დამარხვა“... — კითხვის პროცესის დასახელებისას ენა რეალობიდან გასვლაზე, რაღაც უჩვეულო მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

* * *

ბუნებამ ისტორიის მთელ მანძილზე კაცს მისცა ფორა (თუნდაც ფიზიკური ძალის სახით), რომ მასზე ქალის გავლენა დაეძლია. ბიბლიის მიხედვით, ეს გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ღმერთის სიტყვასაც კი დაუპირისპირდა.

გურამ ბათიაშვილი

ისაკო-„ტარზანას“ სიყვარული

მკითხველს ისაკო-„ტარზანას“ აღნაგობა რომ აღვუწერო, ცხადად წარმოვუდგინო, თუ როგორი შესახედაობისა გახლდათ, უთუოდ გაუჭირდება იმის მიხვედრა, ამ ჩია ტანის კაცს, ულვაში იმერელი აზნაურივით რომ აეწკიპა, ტარზანას რატომ ეძახდნენ: ტარზანი ხომ მაღალი, მხარბეჭიანი, ერთობ მძლე და საამო საცქერი პერსონაჟი იყო იმ წლებში გამოსული „ტრაფეინი“ ფილმისა „ტარზანი“. ისაკო კი... უკვე გითხარით, როგორი აღნაგობისაც გახლდათ, ის კი დამავიწყდა, მეთქვა, რომ თვალის კაკლები ტელევიზორის ეკრანზე არეული გამოსახულების სისწრაფით დაურბოდნენ. რაღა მკითხველი, მეც ვკვირობდი, ამ კაცს ტარზანს რატომ ეძახიან-მეთქი. მოგვიანებით, ვგონებ, ვიპოვე მიზეზი: ამ პატარა ქალაქის ებრაელნიცა და მეგრელნიც ირონიას იშველიებდნენ: „სულ ტარზანს არ მიუგავს მხარბეჭი?!“ „სულ ტარზანივით არ დადის?!“ ულვაშზე უკვე გითხარით, იმერელი აზნაურივით აუწკეპია-მეთქი. ისე, შესაძლოა, ვინმემ შემომიტიოს კიდეც, ამ იმერელ აზნაურს რას ჩააცივდი, კოწია ოჩიგავა გვერდით არა ჰყავსო? მართალიც იქნება. კოწია მეზობელიც არის და ამხანაგიც და ულვაშის ფორმა სწორედ მისგან გადაიღო. წვერის გაპარსვას დიდი დრო არ მიაქვს: გასაპნულ ლოყაზე უცებ ჩამოისვამს სამართებელს და მორჩა, აი, ულვაში კი... ულვაშის მოვლა-დაყენებას ერთობ სერიოზულად ეკიდება და კარგა ხანს უტრიალებს. მის ფაშფაშა ქალბატონ მარგოს არაერთხელ შეუძახია: „რას შობი, ისაკო, შუადღე მოვიდა, შენ კი მაგ ულვაშს გადაჰყევი!“ შუადღემდე ჯერ კიდევ შორს იყო, დილა იდგა, მაგრამ მარგოს ეჭვი ღრღნიდა: ნეტავი, ვის აწონებს თავს, ამ ულვაშს ვისთვის უტრიალებსო. ცოლი კი შეუძახებდა, მაგრამ ისაკო მაინც არ აჩქარდებოდა. პატარა მაკრატლით ულვაშს ისწორებდა და ვიდრე გულს არ იჯერებდა — არ დარწმუნდებოდა, ულვაში „პარიადკაშიაო“, მაკრატელს ატრიალებდა. მერე კი მარგოს დაუცაცხანებდა, ხომ ხედავ, რა დრო მოვიდა, მაგვიანდება, ჩემი საუზმე სად არისო. იმ საბრალო ქალს საუზმე მზად კი ჰქონდა, მაგრამ იმაზე ფიქრი, თუ ვის აწონებდა თავს მისი ქმარი, ვის გამო ტრიალებდა სარკის წინ ამდენი ხანი, ღონეს აცლიდა და უგერგილოდ ირჯებოდა. ეჭვობდა, ისაკო აბეშა „ფუტბოლისტის“ ნაცოლარს უტრიალებსო. იმის მკერდს, თეძოებს რომ შესცქეროდა, იწყევლებოდა: „გაგიხმეს ეგ „დევიატკაზე“ შეყენებული ძუძუები, რავა ბუხანკა პურივით გამოგიშვერია ტრაკი, კაცებს ეძახი „მოით, მოითო!“

ისაკო-„ტარზანა“ ისაუზმებდა თუ არა, გარბოდა. ეზოდან გასული, ჭიშკართან შეყოვნდებოდა, ზემოთა მხარეს ახედავდა, თუ არავინ ჩანდა, ფეხს აითრევდა — ეზოს მოუტრიალდებოდა, ხეხილს ყურადღებით ათვალიერებდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა — ზემოთ ისიც გამოჩნდებოდა და ისაკო აუჩქარებლად გაუყვებოდა ბაზრისაკენ მიმავალ გზას. მალე მიმოზა-ბუღალტერიც წამოეწეოდა, ისაკო-„ტარზანა“ თბილად მიესალმებოდა: „მუჭო ზოჟუთ, ოსურპატენი!“ როგორ ბრძანდებით, ქალბატონოო, ეკითხებოდა ახალგაზრდა ბუღალტერს, ის კი ისაკოს გაუღიმებდა და მიუგებდა, არა მიშავს რაო. სიცილ-კისკისით, ახალი ამბების, ანეკდოტების მოყოლით მიუყვებოდნენ გზას საყოფაცხოვრებო კომბინატამდე, სადაც მიმოზა-ბუღალტერი მუშაობდა. მიმოზა კომბინატში კარგ გუნებაზე შედიოდა და ისაკო-„ტარზანას“, ხვალ დილამდე ნახვამდისო, ალერსიანი მზერით ემშვიდობებოდა. ისაკო კი ერთობ კმაყოფილი, სიხარულით აღსავსეც, განაგრძობდა გზას — ათიოდ წუთი იმასთან ერთად მოდიოდა, იმას ებაასებოდა, ვის გვერდით ყოფნაც სიმშვიდეს გვრიდა. ამ ბოლო ხანს ისიც კი ეჩვენებოდა, მიმოზა-ბუღალტერთან ერთად ამ გზის გამოვლა ძალასაც მმატებსო.

ისაკოს რკინა-კავეულის მაღაზია კი შუა ბაზარში იდგა. მაღაზიას „პომოშნიკი“ დათუშა დილაადრიან აღებდა. კლიენტურა ბევრი ჰყავდა, უმეტესად სოფლებიდან ჩამოსულნი. გლეხკაცს მიწის დასამუშავებლად ბევრი რამ სჭირდებოდა და იცოდნენ, ისაკო-„ტარზანას“ მაღაზიაში ყველაფერს იშოვიდნენ. ისაკო ნაშუადღევს „პომოშნიკ“ დათუშას ფულს გაუწოდებდა და ეტყოდა: „გავარდი ერთი, ნამცხვარი იყიდე და მიმოზა-ბუღალტერ მიურბენინე — ქვრივი ქალია და უნდა დავეხმაროთ, ცოდოა!“ დათუშაც ხან ნამცხვარს, ხან ხილს, ხანაც ეჯიბიების გამომცხვარ ცხელ-ცხელ ხაჭაპურს, მიმოზას მაგიდაზე რომ დაუდებდა, ბუღალტერი უსათუოდ შესძახებდა: „მუ რე თენა, წიე!“ ეს რა არის, ბიჭოო, დათუშა კი მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებდა: „მე და შენ ვიცოდეთ, რაც არის და ვისგანაც არისო“. მიმოზაც გაიღიმებდა: ყველაფერი ვიცი, სხვათა გასაგონად შევძახეო.

როგორც ვნახეთ, ისაკო-„ტარზანა“ მიმოზა-ბუღალტერს ყოველ დილას ხვდებოდა, მოსაკითხსაც უგზავნიდა. დაგეგმილი ჰქონდა, მომავალ კვირაში ზღვისპირა კურორტზე მიეპატიჟნა, იქ კარგ ბინას დავიქირავებ და... ისაკო-„ტარზანა“ ასე ფიქრობდა, ღუტიმ კი — იქვე, გვერდით, ფართლეულის მაღაზია ჰქონდა, ასე შეუტია: „შენ შარს დაეძებ... მაგ ქალს კეკუამ დაადგა თვალი. რა ჭკუაზე ხარ, მართლა ტარზანი ხო არა გგონია თავი... კეკუას გინდა, ეჭიდაო და ყველას საქმე გააფუჭო?!“ ახმახი, თვალებბრიალა კეკუა ამ პატარა ქალაქის მილიციის უფროსი იყო — ამდენად, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილის ბატონ-პატრონი. ისაკო-„ტარზანა“ ღუტის ნათქვამმა დააფიქრა... არა, არ დაღონებულა, დაფიქრდა: კეკუასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა: კეკუამ რომ ბაღჩა-ბაღით დამშვენებული კუკუჩიების აგურით ნაშენი „ბელეტაჟი “ შეიძინა, მათი განსაკუთრებული ურთიერთობის ნაყოფიც გახლდა.

ისაკო ორი დღე ფიქრობდა, ამ საქმისათვის როგორ მოევლო. სამშაბათს კი „პომოშნიკმა“ დათუშამ მანანა გუნჯუასთან ნაყიდი ტკბილეულობა უხმოდ დაუდო დახლზე. ისაკო „პომოშნიკ“ დათუშას გაოცებული მიაჩერდა: ეს რა არი, მიმოზა-ბუღალტერთან მისატან ტკბილეულობას აქ რა უნდაო. დათუშამ „ხაზეინს“ მზერა აარიდა და ლამის ზურგიც აქცია. ისაკო-„ტარზანას“ ბრაზიანი შეძახილი: „ჰე!“ — მუნჯივით რატომ დგახარ, რატომ არ ამბობ, რა ხდებაო, რომ მოესმა, არც მობრუნებულა, ისე ჩაილაპარაკა: „წასულა!“ გოგოხია — სოფლიდან ჩამოსული ისაკო-„ტარზანას“ კარგა ხნის კლიენტი უკვე დახლთან იდგა და ელოდა, როდის მომხედავენო — დახლზე კოლმეურნეობისათვის საყიდელი ინვენტარის გრძელი სიაც დადო: ყველაფერი ეს გადმომიღეთ და ჩვეულებისამებრ ყუთებში ჩამალაგებინეთო. ისაკო-„ტარზანას“ კი მისკენ არც მოუხედია, დათუშას მზერით ეკითხებოდა, გამაგებინე, ვინ სად წასულაო. „ჰო!“ — ეს უკვე მოთმინებადაღლეული და კიდევ უფრო ბრაზმორეული „ტარზანას“ შეძახილი გახლდათ და ნიშნავდა: ხმა ამოიღე, გამაგებინე, რა ხდებაო. „პომოშნიკი“ დათუშა, სხვა რაღა დარჩენოდა, მობრუნდა და თქვა: „შვებულებაში გასულა, ერთკვირიან შვებულებაში!“ ისაკო-„ტარზანამ“ უმალ აუღო ალღო, თუ რაოდენ ირონიული იყო დათუშას სახეზე მოდებული ღიმილი. ამ დროს ითხოვა გოგოხიამ, მაგვიანდება, იქნება დამიჩქაროთო. დათუშას ირონიული ღიმილით გაღიზიანებულმა ისაკომ კი ლამის იყვირა: „ხომ ხედავ, აღწერა გვაქვს. მაღაზია დაკეტილია!“ გოგოხია, კოლმეურნეობას თუ რამ სჭირდებოდა, აქ მოდიოდა. თან ყუთებს უვსებდნენ, თან სასაცილო ამბებს, ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. ახლა კი... დიდი ხნის კლიენტი გაკვირვებული გავიდა. „დაკეტე კარი!“ ბრძანა „ხაზეინმა.“ დათუშამ, ცხადია, ბრძანება უმალ შეასრულა.

— ჰო, კაი, მერე რა მოხდა — ქალი შვებულებაში წავიდა, შენ რას იჭყანები? — იკითხა ისაკო-„ტარზანამ.“

დათუშა ერთხანს გარინდებული იდგა. პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. „ხაზეინმა“ ამიტომ დასძინა „ჰა?“

დათუშამაც ამოთქვა:

— აბა, მე რა ვიცი, ან სიდან უნდა ვიცოდე, მარა... ასე მგონია, საგლახაოდ წაიყვანა ვიღაცამ... ხო უყურებ, რავარი გაიმასქნებელი ქალია... კი, ბატონო, საგლახაოდ წაიყვანეს!

პირველი, რაც ისაკო-„ტარზანამ“ იგრძნო — დათუშა დაკაცებულიყო — ის მოზარდი აღარ იყო, ბეხორამ რომ მოუყვანა, იქნება, ჩემს ბიჭს ზაფხულობით ნოქრობა შეასწავლო, არდადეგების თვეებში ქუჩა-ქუჩა ხეტიალს ავაცდენ, ქუჩაში რა სიკეთეს ისწავლისო. დიახ, დათუშა ის მოზარდი აღარ იყო, ისაკო-„ტარზანა“ აღმადაღმა რომ დაარბენინებდა. „იქნება, ისიც იცი, ვის გაჰყვა?“ დათუშამ მხრები აიჩეჩა, არ ვიციო. ისაკოს კი მის მიმართ ისეთი ნდობა გაუჩნდა, ჩაეძია: „მაინც, შენ რავა ფიქრობ!“ დათუშამ კვლავ არაფერი თქვა და „ხაზეინი“ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ანგარიშგასაწევი ყმაწვილი გამხდარა. ისაკო-„ტარზანამ“ კბილები გააკრაჭუნა, „კარგი!“ ჩაილაპარაკა და გავიდა. მილიციის შენობამდე ათიოდ წუთის სავალი იყო, არაერთხელ ყოფილა იქ. ახლაც ჩვეულებრივ აუყვა მეორე სართულისაკენ მიმავალ კიბეს, რამდენიმე საფეხური აიარა თუ არა, „საით მოქალაქევ!“ — მოესმა მორიგის ხმა. „უფროსთან, კეკუასთან მაქვს საქმე!“ — მიუგო ისაკო-„ტარზანამ“. „არ არის, ერთი კვირით მივლინებაში წავიდა, ჩამობრძანდით!“ — ხელითაც ანიშნა, უკან დაბრუნდი, ჩამოდიო. ისაკო-„ტარზანამ“ კიდევ ერთხელ გააკრაჭუნა კბილები...

ერთი კვირის შემდეგ:

— რა ხდება ამ ქალაქში, ებრაელები აღარაფერს აკეთებენ? რა ხანია, საქმე არ მოგიტანია! — ღიმილით ეკითხება კეკუა ისაკო-„ტარზანას.“ ისაკო კი ფიქრობს: „გულაობა ძვირი დაგიჯდა? შემოგაკლდა?“ და ამბობს: „რამე ისეთი ხო არაფერი მოხდა... დიდი ხარჯი გქონდა?“ კეკუამ თვალები დააბრიალა, ეგ შენი საქმე არ არისო და კბილებში გამოსცრა: „საქმე?“

— რა გინდა, ისიდოროვიჩ, რამდენი ურიისაგან ავიღეთ ფული, არ გეყოფა?

ამჯერად კეკუამ გაიღიმა და იკითხა: „შენ გეყოფა?“ „ჰო, კარგი, მოვიფიქრებ რაღაცას, ხვალ გნახავ!“ და ბაზრისაკენ გაემართა — დუქანი ხომ შუა ბაზარში ედგა. გზად საყოფაცხოვრებო კომბინატისაკენ გაუხვია — ეწადა, დარწმუნებულიყო, მიმოზა-ბუღალტერი ადგილზე იყო თუ არა, ესე იგი, მილიციის უფროსთან ერთად იყო და ერთად დაბრუნდნენ თუ არა. ქუჩის იქითა მხრიდან კარგად დაინახა მიმოზა-ბუღალტერს თავი ქაღალდებში რომ ჩაერგო. თითქოს კბილები კიდევ ერთხელ უნდა გაეკრაჭუნებინა, მაგრამ მიმოზას დანახვისთანავე გულისცემა ისე აუჩქარდა, ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა კიდეც: გულისცემა დავიცხროო, მონატრებულ მიმოზა-ბუღალტერს მიაცქერდა. ამ ქალის ხილვით ისეთი სიამე დაეუფლა, თითქოს გულის კარი გაეხსნა. მიმოზა-ბუღალტერმა კი ისაკო-„ტარზანას“ მზერა იგრძნო თუ აქეთ შემთხვევით გამოიხედა, ისაკოს ჯერ გაუღიმა, ხელიც კი დაუქნია, მერე, თითქოს, რაღაც გაახსენდა, ან ვიღაცამ შესძახა, რას აკეთებ — ვის უღიმი, ხელს ვის უქნევო, თავი ისევ ქაღალდებში ჩარგო. ისაკომ კი გზა განაგრძო, მიდიოდა და მიმოზა-ბუღალტრის ღიმილი, მისი მკერდი სუნთქვას უკრავდა. ერთი სული ჰქონდა, მის ძუძუებს როდის მიუალერსებდა. დროდადრო იმასაც კი წარმოიდგენდა, მის ქვეშ მოქცეული მიმოზა-ბუღალტერი როგორ სუნთქავდა და ვნებას დამორჩილებული კისერზე როგორ შემოხვევდა ხელებს. მაღაზიაში შევიდა, კლიენტებს ემსახურებოდა და მაინც მიმოზა-ბუღალტერი ედგა თვალწინ. ნაშუადღევს დათუშას ფული ჩვეულებისამებრ გაუწოდა და უთხრა: „იმ ქვრივ ქალს დუხი რამე უყიდე და ნამცხვართან ერთად მიუტანე!“ დათუშა გაკვირვებული მიაცქერდა „ხაზეინს“, ისაკომ კი, ასეა საჭირო, გაინძერიო, უთხრა. დათუშა წავიდა და ისაკო-„ტარზანა“ კლიენტებს მიუბრუნდა. თან იმაზე ფიქრობდა, ხვალ კეკუასთან რით მისულიყო, რა საქმე მიეტანა. იცოდა: ილუშა შაშუაშვილის ქაღალდის ხელსახოცების საამქრო როგორ მუშაობდა. ახლა კიდევ ფერადი ხელსახოცების საბეჭდი მანქანა ჩამოუტანია — ფერად-ფერად, ყვავილებიან ხელსახოცებს უშვებს — მაღაზიები რიგში დგანან, რაც შეიძლება, მეტი საქონელი მომეციო. ისაკო-„ტარზანა“ ამ ფიქრში იყო, დათუშა რომ მობრუნდა და მიმოზა-ბუღალტერთან გაგზავნილი ძღვენი დახლზე დაალაგა: „არ მიიღო, აღარ გამომიგზავნოო, შემოგითვალა!“ ისაკო-„ტარზანას“ ისევ მიმოზა-ბუღალტრის სახე და მკერდი დაუდგა თვალწინ და ისე მოუნდა, მის ტუჩებს დაჰკონებოდა, ლამის სუნთქვა შეეკრა. „მე ისაკო-„ტარზანა“ არ ვიყო, თუ შენ ჩემს მკლავებში არ მოგიქციო!“ — გაიფიქრა.

* * *

კეკუას უმალ დაეტყო, რომ ისაკო-„ტარზანას“ წინადადება არ მოეწონა და ცალყბად იკითხა: „ვინაა ეს ილუშა?“ „შაშუაშვილი. ქაღალდის ხელსახოცების ცეხი რომ აქვს წისქვილთან!“ — მიუგო ისაკო-„ტარზანამ.“ მილიციის უფროსმა თვალები მოჭუტა, ერთხანს დუმდა, მერე ხელი ჩაიქნია — არა, არ ვარგაო და თქვა: „ქაღალდის ცეხში ისეთი რა უნდა იყოს, რომ...“

— ცდები, ისიდოროვიჩ, ახალი მანქანა ჩამოუტანია, ფერად-ფერად, ყვავილებიან, ჩიტებიან ხელსახოცებს უშვებს. მაღაზიები რიგში დგანან — საქონელი მომეციო, ნახევარზე მეტი გაუფორმებელი საქონელი გადის მაღაზიებში, მანდ კეთდება ფული...

კეკუა ფიქრს მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ თქვა: „კარგი, გამიგე საქონელს როდის გასცემს“.

— მაგრამ ერთი პირობა ახლავე უნდა მომცე — კეკუამ თავი ასწია, „ტარზანას“ მიაჩერდა, არ უყვარდა, ასე რომ უსვამდნენ საკითხს.

ეგ ილუშა შოთა დავიდოვიჩის ბიძაა. როგორც კი ცეხში აღწერას დაიწყებ, შოთა დავიდოვიჩი მოგადგება და თუ იმასთან მორიგდები, მე რა...

— ჰოო... შოთა კარგი ბიჭია, ხალხიც ჰყავს... არაფერი ეშლება... მე თუ უარს ვეტყვი, დამირეკავენ... შეიძლება, თბილისიდანაც კი დამირეკონ...

— აბა, ჩაშლილა ეგ საქმე!

კეკუამ მხრები აიჩეჩა და თქვა: „სხვა რამე მოიფიქრე!“

ისაკო-„ტარზანა“ორიოდე დღის შემდეგ კეკუას კაბინეტში მხიარულ გუნებაზე შევიდა.

— კაი ამბავი. ხვალ შოთა დავიდოვიჩს ცოლ-შვილი პოლონეთში მიჰყავს საგულაოდ... ორი კვირა არ იქნება...

— პოლონეთში რა უნდა! — შესძახა კეკუამ, მაგრამ პასუხს არ დაელოდა, — გამიგე, საქონელს როდის გასცემს!

რამდენიმე დღეში ქალაქის ებრაელობა აწრიალდა: ილუშა შაშუაშვილის საამქრო დალუქეს, აღწერა ჩაატარეს, ილუშა და ხუთი მაღაზიის გამგე დააპატიმრეს, ბრალად სოციალისტური საკუთრების დატაცება ედებათო.

ისაკო-„ტარზანა“ ერთობ კარგ გუნებაზე, გაბადრული იჯდა კეკუას კაბინეტში. „ჰე, დაალაგე!“ თქვა კეკუამ. ისაკომ გაიღიმა, ჩანთა გახსნა, მაგრამ ვიდრე რაიმეს ამოიღებდა, იკითხა:

— როდის გაუშვებ? იმ ხალხს პირობა მივეცი, ამ საღამოს ყველა სახლში იქნება-მეთქი.

— დღეს არ მოესწრება, ხელახლა უნდა დაიკითხონ, ის უნდა თქვან, რასაც ვეტყვით. ეს მოგვცემს მათი ხვალ გაშვების საშუალებას.

— ხვალ საღამოს ყველა თავის სახლში იქნება? — კეკუამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ისაკო-„ტარზანამ“ ჩანთიდან ქაღალდში გახვეული შეკვრა ამოიღო. კეკუამ ფულს გაზეთი შემოახია და ყურადღებით შეათვალიერა და ისაკოს გაკვირვებულმა ახედა: „სულ ეს არის?“„ეგ ილუშა შაშუაშვილის ოჯახისგან არი!“ ისაკო-„ტარზანამ“ ჩანთიდან უფრო მოზრდილი შეკვრა ამოიღო „ეს კიდო, მაღაზიებისაგან!“ კეკუამ ფულს გაზეთი აღარ შემოახია, თვალით გაზომა და უჯრაში მოაქცია.

— ჰო, კარგი, ხვალ საღამომდე! — ეს სიტყვები საუბრის დამთავრებას ნიშნავდა, მაგრამ ისაკო-„ტარზანა“ ადგილიდან არ დაძრულა, მერე ჩანთა ისევ გახსნა და იქიდან ფულის შეკვრა ამოიღო. ხელში ათამაშებდა, თითქოს მისი წონის ამოცნობას ცდილობსო. „ეს რა არის?“ — იკითხა მილიციის უფროსმა.

— ჩემი წილია, მაგრამ შეიძლება შენი გახდეს, ისიდოროვიჩ. თუ გინდა, გახდება! — კეკუა გაკვირვებული მიაცქერდა ისაკო-„ტარზანას“, — თუ არ გეწყინება, ერთი პატივი უნდა მცე, ან რატო უნდა გეწყინოს, კაცურად მოვილაპარაკოთ... — კეკუა ხან მაგიდაზე გაშლილ გაზეთს ჩახედავდა, ხანაც ისაკო-„ტარზანას“ შესცქეროდა.

„ამნაირ საქმეზე მოვრიგებულვართ?! მოლაპარაკების საკითხი არ არი? მიმოზა-ბუღალტერი უნდა დათმო, აიღე ხელი მაგ ქალზე, დაანებე თავ...“

ისაკო-„ტარზანას“ წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, სახეში მუშტი რომ მოხვდა.

— გაეთრიე! — შესძახა კეკუამ. ისაკო-„ტარზანა“ კი არც შერხეულა, იჯდა და, თუ არ ვცდები, პირზე ირონიული ღიმილი დათამაშებდა. „მერე?“ — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— დატოვე ჩემი კაბინეტი! — ისაკო-„ტარზანა“ კვლავ უძრავად იჯდა. ახლა არ უნდა ვცდებოდე: ნამდვილად დათამაშებდა ირონიული ღიმილი, — დაგიჭერ, ჩაგაყუდებ!

— ჯერ ეგ წითელი თუმნიანები, აქაურობას რომ ანათებენ, სადმე წაიღე, გადამალე და ეგ უჭკუობა მერე ქენი! ქალს ბევრი დაულუპია და შენ ბოლო არ იქნები! — კეკუამ გრაფინიდან წყალი ჩამოასხა, დალია.

— მეც დამისხი, — თქვა ისაკომ.

კეკუა გაოცებული მიაჩერდა.

— ჰო, წყალი ჩამომისხი, შე კაცო, რა მოხდა!

კეკუამ ჭიქა წყლით აავსო. ისაკოს წინ დაუდგა. ისაკომ წყალი დალია ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა და თქვა:

— ჰო, რა ვიცი... შაჰები, მეფეები თავიანთ ქალებს ერთგულ მსახურებს ჩუქნიდნენო... ერთი უნდა გავიკითხო, რა უთქვამთ ჭკვიან კაცებს: ფული უმჯობესია თუ ქალი? — ისაკო-„ტარზანა“ ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია, — ჰა, რას იტყვი, ისიდოროვიჩ? ქალი იმ წუთში, ე, იმ წუთებში, ყველაფერს გირჩევნია, ქვეყნიერებას ჩააბარებ, მაგრამ ის წუთები ჩაივლის და... მორჩა, გაფრინდა... ერთ საათში კი ძველი, წასული ამბავია... ფული კიდო... დღეც მაგარია და ღამეც... თუ დაგჭირდა, დღეს ღამედ გიქცევს და ღამეს — დღედ... ქალი? ფულ რო ქალები ეხვევიან, ისე თაფლს არ ეხვევა ბუზი, თუ ისაა... ისა რა ჰქვია...

— გითხარი, ოთახი დატოვე-მეთქი! — კბილებს შუა გამოსცრა კეკუამ.

— ნანობ ხო... უკვე ნანობ, რო დამარტყი, ხო... აწი ნახე შენ!

— წადი და ამ ოთახში აღარ დაგინახო!

— კაი, ბატონო, თუ ასე გირჩევნია, წავალ, მარა... — ისაკო-„ტარზანა“ წამოდგა, გაზეთში გახვეული ფულის შეკვრა ხელში ისევ შეათამაშა, კართან შეჩერდა და კეკუას მოუბრუნდა. ერთხანს უხმოდ იდგა. თვალებში ნაღველი ჩასდგომოდა.



— ისიდოროვიჩ, სხვას რას მირჩევ, ეგ ქალი თუ მიყვარს, რა ვქნა, კიდო რა გზა მაქვს?

კეკუა ყურადღებით მიაცქერდა და ხმადაბლა თქვა: „წადი!“

ისაკო-„ტარზანა“ ბაზრისაკენ დაღონებული მიდიოდა. მიზეზი, გასაგები გახლდათ: მიზანს ვერ მიაღწია — მიმოზა-ბუღალტრის ალერსს ვერ ეღირსა. ესაა მთავარი, მაგრამ ის კი ნამდვილად გაუგებარი იყო, მართლა უყვარდა მიმოზა-ბუღალტერი, თუ ის აღონებდა, რომ მის მკერდს ხელი ვერ შეახო. თუმცაღა, საფიქრებელია, რომ უყვარდა. ასეთი ვარაუდის უფლებას ის იძლევა, რომ ამ წუთებში დაკარგულ მიმოზა-ბუღალტერზე ფიქრობდა და არა იმაზე, რომ დღეიდან კეკუა ახლოს არ გაიკარებდა — დიდი ფულის შოვნის საშუალება წაერთვა. აღარც უნდოდა, მოისვენა. მორჩა, საკმარისია! კეკუა გაძლებს კი უმისოდ? გაძლებს იმის გარეშე, რაც ისაკო-„ტარზანას“ მასთან მიჰქონდა? ერთი მაგისაც... მაგნაირ ადამიანებს, ამ მზის კარავში რა უნდათ, მაგათ აქ რაფერ იტანენ. მაგათი ადგილი იქ არი, შორს! ისაკო უბედურ კაცად მიიჩნევდა თავს: კეკუა, მიმოზას როგორც უნდა ისე ატრიალებს, ისაკო კი... ეეჰ. ამ ცხოვრების!..

ამ ფიქრში იყო, მილიციელმა ხელი რომ გამოსდო: „წამოდი, კეკუა გეძახის!“

რამდენიმე წუთში კვლავ კეკუას წინ იჯდა. კეკუა ერთხანს დუმდა. მერე თქვა:

— ჰო... კიდევ რა გინდა ჩემგან?

— არაფერი. თუ ყაბულსა ხარ, ჩემი წილი შენი იყოს, დანარჩენი მე ვიცი...

— ჰო, აგერ აქ ჩადე, ამ უჯრაში...

ისაკო-„ტარზანამ“ ჩანთიდან გაზეთში გახვეული ფული ამოიღო და უჯრაში ჩადო. კეკუამ ფულს გაზეთი შემოახია, შეათვალიერა.

— არ მენდობი, ისიდოროვიჩ?

კეკუამ გაიღიმა:

— კარგი... ზეგ ბავშვი სოფელში მიჰყავს, დედასთან, არდადეგებია... საღამოობით სახლში მარტო იქნება და...

— აბა, კარგად, სიკეთეში! — ისაკო კარისაკენ გაემართა. ის იყო, უნდა გასულიყო, კეკუას ხმა წამოენია:

— შენ მართლა ებრაელი ხარ?

ისაკო-„ტარზანა“ მობრუნდა:

— ვითომ რაო, რატომ მეკითხები?

— ისე, ნამდვილად ებრაელი ხარ?

— ხო უყურებ, ყველაფრის ყიდვა მიწევს და... — წინადადება აღარ დაამთავრა, გავიდა.

ისაკო-„ტარზანა“ ბაზრისაკენ კმაყოფილი, გახარებულიც კი მიეშურებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რომელიღაც გაუგებარი წარმოშობის ცხოველს წლების განმავლობაში კლანჭებში ჰყავდა მოქცეული. დღეს კი იმ ცხოველს თავი დააღწია — მწვანე ბალახზე ნელ-ნელა, მშვიდად დაეშვა. ნურავინ იფიქრებს, „ტარზანა“ ვერ მიხვდა, კეკუამ რის გამო გახადა საეჭვო მისი ებრაელობა — შენი ჯილაგის ხალხი ასე არ იქცევა, ფულს ქარს არ ატანსო. ისაკოს კი მიაჩნდა, რომ სწორედ ებრაულად მოვიქეცი — ადამიანი ვიხსენიო: მიმოზა-ბუღალტერი კეკუასაგან გაათავისუფლა. ქვრივ, საბრალო ახალგაზრდა ქალს მილიციის უფროსის შიში სდევდა და დაემორჩილაო, მიიჩნევდა. ამიტომ მისი გათავისუფლება მადლიაო. მადლის ქმნა ახარებდა და ბაზრისაკენ თავისუფალი, ვალმოხდილი კაცი ლაღად მიაბიჯებდა. რომელიღაც ნაცნობი მელოდიაც კი აეკვიატა — მიდიოდა და ღიღინებდა, რადგან სჯეროდა: ახლა თავისუფალი მიმოზა-ბუღალტერი მისი უახლოესი ადამიანი გახდებოდა — მისკენ სავალი გზა ხომ გაითავისუფლა. ასე მივიდა მაღაზიამდე, დახლში ჩადგა და კლიენტებს ემსახურებოდა. ზოგს მოიკითხავდა, ზოგს ეხუმრებოდა კიდეც, ორსა თუ სამ კლიენტს ანეკდოტიც უამბო. დათუშა სახლში გაუშვა: „ვიცი, იმაზე ფიქრობ, როის გამიშვებსო, წადი, ბიძი, დღეს აღარ დამჭირდები, ორსამ საათში მეც დავკეტავ დუქან!“ დათუშა გახარებული გავარდა. ადამიანები შემოდიოდნენ, რაღაცებს ყიდულობდნენ და გადიოდნენ. არც იმ შუახნის ქალის მოსვლა გახლდათ რაიმეთი განსაკუთრებული და არც ის, რისი ყიდვაც მოისურვა: ნახევარი კილო წვრილი ლურსმანი, ერთი კოლოფი ზეთის საღებავი, ორი საკლიტულის ბუდე, ჩვენი არა, რუსეთის გამოშვებულიო, ოთხიც კარის სახელურიო. ისაკომ ლურსმანი აუწონა და სქელი ქაღალდის პარკში ჩაუყარა, დანარჩენიც იქვე ჩაალაგა. ქალმა ფული გადაიხადა და გასვლისას კართან შედგა, გეგონებოდათ, ვიღაც უნდა დახვედროდა, ვერ ხედავს და ახლა ფიქრობს, როგორ მოვიქცეო. მერე ორი კაცი მიადგა: მილიციელი და გამომძიებელი, გვაჩვენე, რა იყიდე და რა გადაიხადეო. გამომძიებელმა პრეისკურანტი მოითხოვა, ფასები შეადარა და გამყიდველ ისაკო ბაბალაშვილის მიერ ფასების დამახინჯება აღმოაჩინა, დაჯდა და აქვე დაიწყო აქტის შედგენა — მოქალაქე ნაჭყეტია ნ. დ-ს, მცხოვრებს შევჩენკოს 12-ში, გამყიდველმა ი.ბაბალაშვილმა 7 მან. და 37 კაპიკით ზედმეტი გადაახდევინაო. ისაკო-„ტარზანა“ თუ აქამდე ირონიული ღიმილით შესცქეროდა მილიციელისა და გამომძიებლის ფართი-ფურთს, ახლა აღელდა: „რას შვრებით, ეგ რა არის, რა სისულელეს წერთ! დაიცათ, რაღაცა მაქვს სათქმელი!“ამ შეძახილებმა რომ არ გაჭრა, კეკუა ჩემი მეგობარია და მაგ აქტს თავზე გადაგახევთო. გამომძიებელმა, დახლიდან გამობრძანდით, ფასების დამახინჯების გამო დაკავებული ბრძანდებით, სწორედ მილიციაში გავარკვევთ, თუ რამ არის გასარკვევიო. ისაკო დახლიდან გამოვიდა, მილიციელს ხელი ისე ჰკრა, ღამის წაქცია და მაღაზიიდან გავარდა. რასაკვირველია, მილიციელი სტვენით, შეძახილებით: „სდექ!, შეჩერდი!“ გამომძიებელი კი ქოშინით დაედევნა. ბაზარში ხალხი ირეოდა, ადამიანები ხედავდნენ, მილიციელი ვიღაცას მისდევსო და ცდილობდნენ, იმისათვის, ვინც გარბოდა, გზა გაეთავისუფლებინათ. ის რომ გაირბენდა, ისევ ერთმანეთში ირეოდნენ. მილიციელიცა და მას მიდევნებული გამომძიებელიც ადამიანებს ეხლეჩოდნენ, ხალხში გზას ძლივს იკვლევდნენ. ისაკომ ბაზრიდან გააღწია. მილიციისაკენ მარდად გარბოდა. მილიციელი ბაზრიდან რომ გამოვიდა, რევოლვერი ამოიღო: „სდექ, გესვრი!“ ისაკო-„ტარზანა“, ცხადია, არ შეჩერდა, მშველელის — კეკუასაკენ — გარბოდა. ბაზრიდან გამომძიებელიც გამოვიდა, სიჩქარეს უკლო — ვეღარ გარბოდა. მეტიც, მილიციელს მისძახოდა: რას მისდევ, სად გაგვექცევა, აბრაგი ხოჭოლავა ვერ გაგვექცა და ეს სად წაგვივაო, მაგრამ მილიციელი ჯიუტი ახალგაზრდა იყო: ეწადა, დამნაშავე ხელებშეკრული შეეყვანა მილიციის შენობაში.

გარბოდა ისაკო. გამვლელ-გამომვლელნი პირზე ღიმილმომდგარნი შესცქეროდნენ, თუ როგორ მისდევდა მილიციელი იმ „ებრაელ გამყიდველს“. ისაკომ აგერ საბავშვო ბაღს აუარა გვერდი და სადაცაა საყოფაცხოვრებო კომბინატის ერთსართულიან გრძელ, ყავისფრად შეღებილ შენობასაც მიუახლოვდება. ქუჩაში სანახაობის საცქერლად ამდენი ხალხი გამოფენილა და ხომ შეიძლება, მიმოზა-ბუღალტერმაც გამოიხედოს. არა, მიმოზამ არ უნდა დაინახოს გაქცეული ისაკო, არ უნდა ნახოს მილიციელი რევოლვერით ხელში როგორ მოსდევს ისაკო-„ტარზანას“ — არა, არ შეიძლება! ხვალ დილას ჩვეულებრივად, ნაცნობ ადგილას შეხვდება და ყველაფერს აუხსნის... ა, აი... ხსნის საშუალება... ეს შესახვევიც ხომ მილიციის შენობასთან გადის... აქედან ცოტა უფრო შორსაა... მეტი გზაა, მაგრამ არა უშავს, მილიციელი მანამდე ვერ დაეწევა, ისაკო-„ტარზანა“ ამ შუკასაც გადაირბენს და მილიციაც აგერ არ არი?! შევარდება და მორჩა... სამაგიეროდ, მიმოზა-ბუღალტერი ვერ დაინახავს, ისაკო ჯიბის ქურდივით რომ გარბის...

და გარბის ისაკო, ლამის გული ამოუვარდეს... უკვე იღლება... მაგრამ, აი, ამ შუკას მოილევს და მილიციის შენობაც იქვეა. აირბენს მეორე სართულზე და... მორჩა! ამ შტერ მილიციელს, იმ ღიპიან გამომძიებელსაც ძვირად დაუჯდებათ ეს ამბავი... არ შერჩებათ, ისაკო-„ტარზანას“ ამ დღეში ჩაგდება. აჰა, ეს პატარა ქუჩაც მოილია, მილიცია ქუჩის იქითა მხარესაა, მანქანები რომ ასე გახელებული მირბიმორბიან? მერე რა მოხდა — ისაკოს ვერაფერი შეაჩერებს — მანქანებს შორის ციყვივით დარბის... შესაძლოა, ვინმეს ისიც კი ეგონოს, ადამიანი ქუჩაში საცეკვაოდ გამოსულა — მანქანებს შორის კი არ დარბის, ცეკვავსო... მილიციელი კი სასტვენში უბერავს... ერთი წამითაც არ ჩერდება... აჰა, როგორც იქნა, მანქანების მდინარეს თავი დააღწია, აგერ მილიციის შენობაც... არის ხსნა, მეორე სართულზე...

და შევარდა ისაკო-„ტარზანა“ მილიციაში. მეორე სართულზე ასასვლელი კიბის საფეხურსაც დაჰკრა ფეხი. მილიციის მორიგე ბუდრუგანიდან მყის გამოვარდა, გამოენთო და ხალათში სწვდა.

— გამიშვი, უფროსთან, კეკუასთან მაქვს საქმე! — ყვირის ისაკო-„ტარზანა.“

— არ შეიძლება, არავინ შემოუშვათ, დაკავებული ვარო...

მილიციელიც შემოვარდა და ისაკო-„ტარზანას“ სახეში მუშტი ისე ძლიერ ჩასცხო, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა:

— რას მარბენინებ, შენი დედა!...

გამომძიებელიც შემობარბაცდა, ხელი გულთან მიედო, ისაკო-„ტარზანას“ მუცელში წიხლი ჩაცხო. ძლიერად ვერ მოახერხა — ამდენის თავი არ ჰქონდა.

— სად გარბოდი, ძაღლიშვილო!

მილიციელმა კი, თითქოს გამომძიებელს გაუსწორა: წიხლის ჩარტყმა ასე უნდაო, ისე ძლიერ ჩასცხო, ისაკო ჩაიკეცა:

— ჩააგდეთ, პადვალში ჩააგდეთ, ამის დედაც!

მორიგემ ისაკო-„ტარზანა“ სარდაფში ჩაათრია...

გაზაფხული

ქალაქში ხეებს თეთრი წინდები ჩააცვეს — ძირები კირწყლით შეუთეთრეს.

გამთენიისას, ცარიელ ქუჩებში, ისე ჩანდნენ, თითქოს სააღლუმოდ გამოწყობილი მოცეკვავე გოგონები მიუყვებოდნენ გზისპირებს.

ეკლესიასთან გავლისას შავი ბიზონივით ჯიპიდან ტახივით ტიპმა მძიმე-მძიმედ მოღრიჯა კისერი და პირჯვარი გადაიწერა.

სახეზე ეტყობოდა, რა დონის მორწმუნეც იყო — მოდას აყოლილი ჯეელი ყოველი შემთხვევისათვის ასრულებდა რიტუალს — რა ვიცით, რა ხდება, ერთიც ვნახოთ და მართლაც არსებობს...

ასეა, პირჯვრის წერაში გავყოჩაღდით, ერთმანეთის სიყვარული კი ხელებში გულგახეთქილი ჩიტივით ჩაგვაკვდა.

მაშ, რაღა აზრი აქვს სიყვარულის გარეშე, ბოღმით დამძიმებული გულით უფლის შეწუხებას?

გაზაფხულის მშვენიერი დილის ხილვით მოგვრილი სიხარული გამინელდა.

კიბით მთავარანგელოზების ეკლესიის ბაღში ავედი.

ღობესთან ჩაცუცქული ბავშვური სახის მონაზონი გასაშლელად დაკოკრილ ვარდებს ძირს უფხვიერებდა, პაწაწკინტელა ნიჩბით შემოუბარავდა და სიცხით პირშეკრულ მიწას თხელი, გამხდარი თითებით აქუცმაცებდა.

არ შემიძლია, აღვწერო ის რუდუნება, გულმოდგინება, ამ თითქოს ჩვეულებრივი, უბრალო საქმანობის დროს მის სათნო ნაკვთებზე რომ ისახებოდა.

ასეთი გამომეტყველება მხოლოდ მკერდში ჩვილჩახუტებულ დედებზე შემინიშნავს.

ვარდები და მათი ფესვები თავისუფლად სუნთქავდნენ.

დედაო წამოდგა, კალთები ჩაიფერთხა, ონკანი მოუშვა და გადმოჩქეფილი წყლის მილით ყვავილების მწკრივს დაუყვა.

მოვედი ხასიათზე, ბაღიდან გამავალი რკინის კარით ციხის ფერდობზე დაკიდებულ ნაცნობ ბილიკს დავადექი.

გზა ძველმა, წასაქცევად წახრილმა, განათების ბოძებმა გადამიჭრეს.

ერთ-ერთი მათგანის წვერზე გაჭიმულ მავთულის სადენზე გამობმული, დიდი, შავი პარკი ქანაობს, გეგონება, „კოგტების“ კაუჭზე შემდგარი მონტიორი მიებღოტება.

ციხეს მოალყესავით მისდგომია მოღონიერებული წელამდე ბალახი და კედლებს ყვავები დაჰყეფენ.

თავქვეზე ციხისუბნელი ნაცნობი დავინახე, სახლში კურდღლებს უვლის და მათ გამოსაკვებად ახლაც დაიღლიავებული, გამოთიბული ქორფა ბალახის სურნელი ჩაატარა.

ვიდრე გამცდებოდა, ჩვეული ღიმილით მომესალმა.

თავდაღმართზე აჩქარებით მიმავალს თვალი გავაყოლე.

ყურცქვიტა მეგობრებს „საუზმე“ არ უნდა დაუგვიანდეთ!

დედაო და მეკურდღლე თავის ადამიანურ სიკეთეს ალალად გასცემენ!

ნეტავ ჯიპის პატრონს რა საქმეზე მიეჩქარებოდა, ადგილიდან რომ მოწყვიტა მანქანა და ბენზინის მწარე ნამწვით ააქოთა დილის კამკამა ჰაერი?

ციხე-სიმაგრის კედელთან შევდექი და ქალაქისკენ შემოვბრუნდი.

თანდათან გაღვიძებული, ციტადელის მისადგომებიდან დაშვებული, პარალელური ქუჩები ხიდებზე გადარბოდნენ და მდინარის გაღმა, მეორე ნაპირთან, მომდგარი უბნების ლაბირინთში იკარგებოდნენ.

მთების ძირში გაყოლებულ ლიანდაგზე მრავალვაგონიანი სატვირთო მატარებლები მიდგანდგარებდნენ. სხვადასხვა საშენი მასალით დაზურგულებს მოსახვევებში თავი და ბოლო არ უჩანდათ.

საპირისპიროდ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, გეზაღებული სამგზავრო მოიჩქაროდა.

„დაგან-დაგან, დაგან-დაგან“ — სიჩუმეში თითქოს ზედ ყურთან ჩაიარეს ხმაშეწყობილმა ბორბლებმა.

ვიცოდი, რომ საერთო და კუპეებიანი ვაგონების ფანჯრებზე ახალგაღვიძებული, ჯერ კიდევ პირდაუბანელი, წუხანდელი, მსუბუქად ნაბახუსევი მგზავრების სახეები სურათებივით „ეკიდნენ“ და ცნობისმოყვარე თვალებით მისჩერებოდნენ უცხო ქალაქს, ელმავლების კვილით დამფრთხალ, ჭადრების დერეფანში ჩაკეტილ ქუჩებს და მთავარ რელიკვიას — შუაგულში ამოზიდულ ბორცვზე მამლის ბიბილოსავით გადავლებულ საუკუნოვანი ციხე-სიმაგრის ქონგურებს.

ისინი, რა თქმა უნდა, ვერ მხედავდნენ, ვერც ხმას გაიგონებდნენ, კედელზე აკრულმა ორივე ხელი პირთან რომ მივიტანე და მხოლოდ მგზავრებს კი არა, მთელ სამყაროს გავძახე:

„აუუუუ!“

არავინ გამომპასუხებია.

ექო დამიბრუნდა მხოლოდ.

ამოსვლისას ვერ შევამჩნიე — პატარა ტაფობში თეთრფატიანი ქალწულებივით მაღალი გვირილები ყელყელაობენ.

რამდენიმე მოვწყვიტე და რომ არ გადატეხილიყვნენ, შინ ციმციმ მივიტანე, დაბალ, წყლიან თიხის ქოთანში მოვათავსე.

სნორად აღერილებსა და ყელყარყარებს თიხის ქოთანი არ მოუხდათ, ისე გამოჩნდნენ, როგორც ტანკენარი ქალბატონები ოთახის ჩუსტებში — გვირილების მშვენიერების აღსაქმელად შუშის გამჭვირვალე ლარნაკებია საჭირო, მაღალი, შესაფერისი, წვრილქუსლიანი, მოდური ფეხსაცმელივით, შადრევანივით რომ ატყორცნიან ხოლმე ასევე ჩამოქნილ, ლამაზ წვივებზე შემდგარ სხეულს და ქუჩაში გავლისას დიდ-პატარას კისერს მოაღრეცინებენ.

ახლა არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ თავის დროზე გრძნობამორეული, შეზარხოშებული მამაკაცები ასეთი ფეხსაცმელებიდან „ჩვენი ცხოვრების მშვენება ქალბატონების“ სადღეგრძელოს დალევასაც არ თაკილობდნენ.

უნდა გამოვტყდე, ერთი იმათგანი თქვენი მონა-მორჩილიც ბრძანდებოდა!

იყო დრო-მეთქი!..

ლაფათა

ლაფათაზე გადაბრტყელებული ცომი, თონეში ჩაკიდული დედაკაცი და გახურებულ, სიცხოვლით ალაპლაპებულ თიხის გლუვ კედელზე გაკრული ლავაშის მოგუდული, „თქააფ!“

სახეალანძული, თონის კიდეს მარცხენა ხელჩაჭიდებული მცხობელი, ზღაპრის გმირივით ამოდის გაუსაძლისი მცხუნვარებიდან, სახეალანძული თავშლის ყურით ოფლს მოიმშრალებს, ორომზე ცომის გუნდას დააბრტყელებს, რომ მერე ისიც ლაფათაზე გადაიტანოს, იქაც თითების ჩვეული მოძრაობით გადაჭიმოს, კიდიდან კიდემდე, სამი თითით წამოკრეფილი ფქვილი ზედ მოაფრქვიოს და კვლავ თონეში ჩაყირავდეს.

მანამ ჩაყირავდება, მეზობელთან დაწყებულ საუბარს აგრძელებს:

— ვუთხარი და მითხრა!

ვუთხარი და მითხრა!

კიდევ ვუთხარი და, არც იმან დამაკლო, უფრო მეტად აუჭირა და ჩაუჭირა!

მოკლედ, დავლანძღეთ ერთმანეთი...

თავმოყვარეობა რო ჰქონდეს, კიდევ ხმა უნდა ამოეღო?.. მაგათი ამბარი თაგვის ცურცლს მიაქვს, შეესევიან და ფქვავენ წვალებით მოყვანილ ჭირნახულს... ან კატა არ აოხრიათ, ან ხაფანგი... — ბოლო სიტყვები ახლა თონის სიღრმიდან ისმის და ისევ გაგრძელებული „თქააფ“, ლაფათისა...

— არა, შვილო, არა, დიდი ცოდვაა საჭმელთან აუგად მოპყრობა, მითუმეტეს გადაგდებულ პურს როგორ შეიძლება გვერდზე ისე გაუარო, რომ ხელში არ აიღო, სული არ შეუბერო, არ აკოცო და კედელზე ან ქვაზე არ ჩამოდო... მადლია, ოთხფეხი ან ფრინველი მაინც შეჭამს... წყალზე და პურზე ძვირფასი რა გააჩნია ადამიანს... ღვთის წყალობაა და შეიძლება არ მოვუფრთხილდეთ? ლექსიც ხო იცი, „ჭადი მამკაკველაო, პური გამზარდელაო...“

ჭიქაში წყალი რომ დამრჩებოდა, იმასაც არ გადაღვრიდა, უნდოდა თუ არა, მაინც დალევდა, პირს ხელის ნებით მოიმშრალებდა და, შენ გაიხარე, ღმერთმა წყლის ძალა მოგცესო, დამლოცავდა...

ეს ქალი ბებიაჩემი იყო.

ოთხმოცდაათიანის მძიმე წლებში, პურიც რომ „დაგვიძვირდა“, საცხობებთან და მაღაზიებთან, თოვლ-წვიმაში მოტორტმანე რიგებს რომ ვუყურებდი, ანდა ამ რიგების ნაწილი მეც ვიყავი, რომელიც ძლივს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიცოცავდა, მიიწევდა დახლისკენ, არცთუ შორეული წარსულის, ნაახალწლევის ერთი დღე, უფრო სწორად დილა მახსენდებოდა:

როგორც სჩვეოდა, რამდენიმე დღიანი სტუმრობა-მასპინძლობის, გადაბმული ქეიფების, დროსტარების შემდეგ, მთელ დედაქალაქთან ერთად, „ჭრილობებს“ იშუშებდა ჩვენი „ცხრასართულიანიც“, ნელ-ნელა გამოდიოდა „ბახუსის კვირეულის“ ზემოქმედებიდან, რომ დაბლიდან, კორპუსის ნაგვის ბუნკერის მხრიდან, გნიასი შემომესმა.

წამოვხტი საწოლიდან, ნაჩქარევად ჩავიცვი, გადავიხედე სამზარეულოს ფანჯრიდან და, რას ვხედავ — მოღნიოშებული სანაგვის წინ, ნაგვის წასაღებად მომდგარ მანქანასთან, მაღალ, წოწოლა, კბილებჩავერცხლილ მუშას, ერთ ხელში ბუნკერის გამოსახვეტი ნიჩაბი, მეორეში მაღლა აწეული, თავდაღმა დაკიდებული, შემწვარი გოჭი უჭირავს და აყუდებულ კორპუსს „შეჰღაღადებს“:

— რა უბედურება გჭირთ, ხალხო, სირცხვილი აღარ არის? ბევრი გაქვთ და იმიტომ?.. მთელ გოჭებს მაინც როგორა ყრით, გაჭირვებული არავინა გყავთ, ან მეზობელი, ან ნაცნობი... აბა, ამის მერე თქვენ ხალხი გქვიათ, ნამუსი მოგეკითხებათ? თფუი! — მოგვაფურთხა ყველას ერთად, განურჩევლად, ცოდვიანსაც და უცოდველსაც, გოჭი დაზვინულ მანქანის ძარაზე მოისროლა და ბუნკერის ახრჭიალებული რკინის კარი ქოთქოთით დახურა.

„თფუი!“ — ახლაც ჩამესმის.

ცოდვიანსა და უცოდველსაც-მეთქი!

ანდა უცოდველი რომელი ვიყავით?

და თუ ვიყავით, მაშინ ახლა რატომ ვიმკით, დანარჩენებთან ერთად, რად ვესწრებით ქვეყნისა და ჩვენი გაჭირვებული ყოფის დაუსრულებელ პანაშვიდებს?

მართლაც ამაზრზენი სანახავი იყო მაშინდელი, დღესასწაულების შემდგომი, გადავსებული ბუნკერები და ქუჩისპირებზე გამოდგმული სანაგვეები.

დედაქალაქს, რაიონებიდან იმდენი პატივისმცემელი „მომკითხავი“ ჰყავდა, რომ ვეღარ ასდიოდნენ. ვეღარ „ითვისებდა“ მილიონიანი ქალაქის სტომაქი ამდენ ხორაგს და რაც გადარჩებოდა, ვერ მოერეოდა, ნაგავსაყრელები ინელებდნენ.

ქვეყნის ყველა კუთხიდან დაძრული მოსაკითხი სადღესასწაულო დღეების წინა ხანებში ჩამოდიოდა. ყველაფერს გარეგნულად ძღვენი ერქვა, მაგრამ შინაარსი, რისთვის ხდებოდა, მხოლოდ პატივისმცემელმა და პატივსაცემმა იცოდნენ...

— გაჭირვებული მაინც არავინა გყავთო! — აღმოხდა გაოცებულ, გულუბრყვილო მენაგვეს.

როგორ არ ჰყავდათ, გაჭირვებული როდის დალევია ქვეყანას, მაგრამ... ასე ერჩივნათ — თვითონ რომ მოიწყენდნენ, მოჰყირჭდებოდათ, დანახვა აღარ უნდოდათ, გატენილი პარკები, ყუთები, მაღლიდან დაბლა, ნაგვის ბუნკერში უნდა ჩამოეხრიალებინათ.

მაშინ, როცა პურიც ჭირდა (სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვა) და სანაგვეებს „მუშტარი“ მოუმრავლდა, ვფიქრობდი, ამათ შორის, ალბათ, ისეთებიც არიან, ვინც მაშინ პურსა და ხორაგს აბუჩად იგდებდნენ და, ნეტა, ახლა რომ იქექებიან, ათითხუთმეტი წლის წინ გადაყრილს ხომ არ ეძებენ-მეთქი.

რიგი პაუზებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს.

ბუკლეს გაცრეცილ ბერეტიან პურის მაძიებელს, რატომღაც უბოდიშოდ რომ ჩამიდგა წინ, მხარზე ფრთხილად ვეხები:

მომხედა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, არცთუ შორეულ წარსულში ნაგვის ბუნკერიან მრავალსართულიანში ხომ არ ცხოვრობდით?

— დიახ, ადგილიც და ბინაც პრესტიჟულად ითვლებოდა... მერე გაგვიჭირდა და გადავცვალეთ, ჯერ სამიანში, მერე ორიანში, დღესდღეობით კი... ხომ იცით... ახლა ნათესავთან ვართ მე და ჩემი მეუღლე შეკედლებული... — ასაკოვანი ადამიანის ცნობისმოყვარეობით ჩამაცქერდა, — თქვენ, ეტყობა, მიცანით, მე კი, სამწუხაროდ...

— არა, ქალბატონო, ჩემი სამეზობლოდან არ მახსოვხართ, პირველად ვხედავთ ერთმანეთს... იცით, რა მაინტერესებს? მაშინ, ვიდრე თანდათან „ჩამოქვეითდებოდით“, მრავალსართულიანიდან, ოდესმე, სანაგვეში, ნაახალწლევს, გადაგიგდიათ დაბრაწული, ხელუხლებელი გოჭი?

განცვიფრებულმა ერთბაშად ვერაფერი მითხრა.

— დამაბნიეთ, ვერ გავიგე, რას მეკითხებით!.. ისე, თქვენ ცოტა... — უცებ გაღიზიანებულმა საფეთქელთან დაიტრიალა თითი.

— საწყენად არ მითქვამს...

— შეურაცხმყოფელი უაზრობა არ მეწყინოს?

— გასაგებია, თქვენ — არა, მაგრამ ვიღაცამ ხომ გადააგდო!..

— რა იცით?

— ჩემი თვალით მაქვს ნანახი!

— მერე, იმ ვიღაცის გამო მე ვაგო პასუხი? — კიდევ უფრო გაცხარდა.

— მხოლოდ თქვენ არა, ჩვენ ყველანი, ვინც აქ ვდგავართ, იმ ვიღაცის გამო უკვე ვისჯებით და ვაგებთ პასუხს!

ქალმა ზურგი მაქცია.

რიგი ნელა, მაგრამ წინ მაინც მიიწევდა.

ზედ ჩვენს ცხვირწინ გამოაცხადეს, ცოტა დარჩა და, ყველას რომ გამყოფინოთ, ერთ ცალზე მეტს ვერ გავცემთო.

წინამდგომებს ეწყინათ, უკანებს — გაუხარდათ, განსაკუთრებით ბერეტიანი გაცხარდა, ერთი პურისთვის ვიდექი ამდენი ხანსო?...

საყვედურებს შეჩვეულმა გამყიდველმა, რა თქმა უნდა, არ მიიღო ქალბატონის პროტესტი და თავისზე მაღალ ინსტანციებში „გადაამისამართა“, პასუხი იმათ მოსთხოვეთო.

მოკლედ, რაღას ვიზამდით, მეც რამდენიმე ათას კუპონად მივიღე ჩემი კუთვნილი, გამოვბრუნდი და, ვხედავ, შორიახლო, სახლის კუთხესთან ჩემი განაწყენებული მოსაუბრე მელოდება.

— გოჭი და ინდაური არა, მაგრამ გამახსენდა, პურს როგორ უდიერად ვექცეოდით... დილით ნაყიდს საღამოს აღარ ვკადრულობდით... მართალი ბრძანდებით, არ გვეპატია... მესმის თქვენი!

— დიახ, ყველანი იმ საერთო დანაშაულის თანამონაწილეები ვართ, არავინ ერთმანეთზე უკეთესი...

— მერე, რატომ მოხდა ასე, მაშინ რატომ არ გვიკრძალავდნენ, გვსჯიდნენ, გვარცხვენდნენ, ულირსი, საშინელი საქციელის გამო? ჰუმანურები იყვნენ და დაგვინდვეს? გვპატიობდნენ?

— პირიქით, ქალბატონო, უფრო მზაკვრული, სასტიკი რამ ჰქონდათ ჩაფიქრებული — მიგვიშვეს, უზნეობის ამღვრეულ წყალში გვახელავეს, წინასწარ დღევანდელი სამსჯავროსათვის გაგვწირეს...

გავიგონეთ — ჯიხურის პატარა დარაბა ხმაურით მიჯახუნდა და რიგი დაიშალა — ეტყობა პური ყველას მაინც ვერ „ამყოფინეს“.

ქალმა ისე მიიხუტა შენაძენი, რომ სახეზეც დაეტყო კმაყოფილება, იმათ შორის რომ არ იყო, ვისაც მოლოდინი არ დაუფასდა და ხელცარიელი დარჩა.

არ გამომემშვიდობა, ეგრე ჭყაპა-ჭყუპით გაუყვა გუბეებიან ქუჩას.

გაცრეცილი „ბუკლეს“ ბერეტი თანდათან დაპატარავდა, დაილია, წერტილად იქცა და... გაქრა!..

ხებოგირა

ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲡ, ეწყინა რამე, ცუდი სიზმარი ნახა თუ თავისმა უხასიათობამ მოუარა — გადაბრუნდა კოლა კედლისკენ, გადაბრუნდა და ვეღარ აქცევინეს ზურგი.

საათი საათს მისდევს, დილა შუადღემ შეცვალა, ნასადილევი — სამხრობამ, ამას კი ამოუდია თავქვეშ ხელი და თვალებდახუჭული წევს, გაუნძრევლად, აღარც ოჯახი ახსოვს, აღარც ბოსელში გამომწყვდეული საქონელი. მზერაგაშტერებული ბურღავს გახუნებულ შპალერიანი კედლის რომელიღაც, დაუდგენელ წერტილს და შიგა და შიგ თუ ამოიოხრებს.

შედიან, გამოდიან, ხან დაუტკბებიან, ხან ხმას აუწევენ, გვითხარი მაინც, რას გვემართლები, ასე, ცამოწმენდილზე რად შემოგვწყერი, მორიელი ხო არ შეგიწვით... არაო, არაო, მითქვამს და გავიმეორებ, უნდა დაიწვას შენთან შეყრის დღეო! — როგორც კართაგენს რომაელებმა, ეგრე გამოუტანა თანამეცხედრემ ვერდიქტი, მაგრამ უკიდურესმა განაჩენმაც ვერ შეარხია მეუღლის კედელში ჩაბეტონებული მზერა.

ეგრე დაღამდა და გათენდა.

გათენდებოდა, აბა, რას იზამდა, სოფელ-ქვეყანას მზეც ხომ ზურგს არ აქცევდა.

— გიჟი ბევრი გვინახავს, მაგრამ შენი მსგავსი — არა! როდემდე უნდა იდო ეგრე, კუნძივით, რა გემართება, აღარც დღეს იტყვიო? — დაუტია ცოლმა.

როდის-როდის ხმა ამოიღო:

— მიქელ-გაბრიელს ველოდებიო.

— ვისაო? — უცებ ვერ მოტვინა ქალმა.

— ნეტა არ მიედ-მოედებოდეო! — შეღრინა სახლიკაცმა.

— ხო ხედავ, არ მოდის, ადექი, როდემდე უნდა ელოდოო, — ცოლმა.

— როდემდეც საჭირო იქნებაო!

ეს იყო და ეს. ისევ დადუმდა, მოკუმა პირი და ვეღარ გააღებინეს.

გაჰკრეს ხელი ხელს, აღაპყრეს ჭერისკენ თვალი, ჭკვიანია, არც ჭკვიანია, გიჟია, არც გიჟიაო.

ვერც ოჯახმა, ვერც სამეზობლო „კონსილიუმმა“ ვერ დაადგინა რა სახის მოვლენასთან ჰქონდათ საქმე.

კი, უმიზეზოდ ადრეც გახებოგირდებოდა ხოლმე, მაგრამ მალევე გაუვლიდა, ორი დღე ლოგინიდან აღარ ამდგარიყოს, პირველად ხდებოდა.

— ველოდები და ველოდებიო! — მეტი ვერაფერი დააცდენინეს.

— მაშ, არ გადადიხარ შენ სიტყვასო? — ისევ შეიცხადებდა „ვერდიქტის ავტორი“.

— არა და არაო!

— ადექი, სათოხარს მოვრჩეთ, თორემ ბალახმა შეჭამა სიმინდ-ლობიო და მერე კისერი გიტეხია...

— ეგ საქმე უკვე ცაშია გადაწყვეტილი, დამთავრდა ჩემი წუთისოფელში სტუმრობა!

— შენ ამოგაგდო მამაზეციერმა!.. რაკი ეგრეა, მაშ ყველაფერი წესითა და რიგით უნდა ჩავატაროთ! — მიაწყევლა დამუქრებულმა ქალმა და კარი გაიჯახუნა.

ნეტავ რას აპირებსო, ერთმანეთს გადახედეს შინაურებმა.

კითხვა უპასუხოდ დიდხანს არ დარჩენილა — ცოლი მალე წინსაფარაფარებულ, ყურზემოთ ფანქარგარჭობილ მეზობელ დურგალთან ერთად დაბრუნდა.

— გადმობრუნდი, მოგიყვანე!

— ვინ მომიყვანე! — კოპშეკრულმა ცალი თვალით გამოიხედა.

— ვინ და დურგალი!..

— დურგალი რად მინდა!

— რას ჰქვია, რად გინდა, ზომები უნდა აგიღოს!

— რა ზომები, გაგიჟდი, დედაკაცო?!

— კუბოს ზომები!.. აბა, ეგრე ხო არ იქნები მხართეძოზე წამოწოლილი, გაგასწორებთ, ყბას აგიხვევთ, გაგპარსავთ, გაგალამაზებთ — ულამაზო და უხასიათო ცოცხალი არ მეყოფოდი, მკვდარიც შეუხედავი რომ არ გაგისტუმრო?.. დაგიკრეფავთ გულ-ხელს და, რაკი არ იშლი, მიქელას ეგრე დაელოდე... შენ ძვირფას რძალსა და ძმასა უკვე დავაბარე საკუბოვე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სადაც არის გადმოგიტანენ ბაზრობიდან... ეგრე გამოგკვანწო სასიძო ბიჭივითა...

— ეს კი ელოდება, მაგრამ რომ დააგვიანოს იმ სულთამხუთავმა და სუნი დაეცეს, აგიყროლდეთ? — დურგალმა წინსაფრის ჯიბიდან დასაკეცი მეტრიანი ამოიღო.

— რაღა აქ მედოს ცოცხალ-მკვდრადა, აყროლებამდე დავმარხავ და იქ დაელოდოს სულთამხუთავს, ოღონდ უნდა თქვას, ჩემ ნანინანატრ დედამთილს მივუწვინო გვერდით, ძუძუ რომ მოუნდეს და შორს წასვლა არ დასჭირდეს თუ ხვთისცეცხლა მამამთილსა!..

— რა ვიცი, — კეფა ფანქრის ბოლოთი მოიფხანა დურგალმა, — ეგ შინაურული, ოჯახის საქმეა და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ... ისე, მე თუ მკითხავ, რაღა დროს ამის დედის რძე და ძუძუა, ალბათ მამასთან ურჩევნია, ერთმანეთს ჭიქას მაინც მიუჭახუნებენ... რა დაგიმალო და, ძაან კი გაუმართლა, უკეთესს ვერ ინატრებ, ეგეთი გამომშრალი საკუბოვე ფიცარი მაქვს... გაიკრასკება და ერთ-ორ წელიწადს ჭია შორიახლო ვერ მიეკარება...

ამის ძვირფასი ხასიათი რომ იცოდნენ, მატლები საერთოდ როგორ დააკარებენ პირსაო, ქოქოლა დააყარა ცოლმა.

კარი ვიღაცამ შემოაღო, ჩვენც მოვედითო.

დერეფანში სკამები დაგიდგით, მანდ მოეწყეთ, მომსვლელებს ხელი რომ არ შეეშალოთ და მეც ახლავე გამოგხედავთო.

კოლა თვალებდაჭყეტილი უსმენს — ვერ გაუგია მის თავს რა ხდება.

— აბა, ბევრი დრო კი არა მაქვს, კუბოს მოსწრება ხომ უნდა, გასწორდი რომ გაგზომო და საქმეს ვეწიო! — მხარში გადმოსაბრუნებლად ჩაეჭიდა დურგალი.

— შენა, კაცო, აფრაკათ ხო არა ხარ, ვინ უნდა გაზომო, თავი თუ რამეს დაარტყი, ეგეც მითხარი! — როგორც იქნა გააპროტესტა ხებოგირამ.

— მაშ რა ვქნათ, სუდარაში გახვეული დაგმარხოთ, ქრისტიანი კაცი?.. თვალზომითაც შეიძლება, მაგრამ ან მოგიჭიროს, ანდა იყანყალო, ხო შემომაგინებენ, შენი გამრანდავ-გამკეთებლისაო!..

კოლა გადაირია, მომაცილეო, დურგალს „მეტრიანზე“ უტაცა ხელი, მუხლებამდე ჩამოგრძელებული, ლურჯი სატინის ნიფხავის ამარა გადმოხტა საწოლიდან, წაუყარა ჩუსტებში ფეხი და ჩასაცმელად „ტაბურეტზე“ დაწყობილ შარვალ-ხალათს მისწვდა, რომ უფრო მეტად ელდანაცემი ისევ უკან, საწოლზე გადაიღმერთა — დერეფანში ზურნა-დუდუკმა და დოლისპირზე გადათამაშებულმა თითებმა ერთმანეთს შეუბანეს, მალე, მედოლემაც, ჩახლეჩილ ხმას ყელში გაჩხერილი, მწეველი კაცის ხრინწი ამოაყოლა.

ქალმა კარის ორივე ფრთა ბოლომდე გამოაღო, სამგლოვიარო მელოდია შიგნით შემოუშვა და, შავი სატინის თავსაფრის ბოლოთი, თვალის უპეები ნაზად ამოიმშრალა..

კოლამ ჯერ ნიშნის მოგებით მიჩერებული, „ახალდაქვრივებული“ ცოლი შეათვალიერა, მერე კედელთან, საპანაშვიდოდ ჩამწკრივებულ შვილებს, შვილიშვილებს, ძმებსა და იმათ ცოლებს გადაავლო თვალი, სახეებზე ფანჯრიდან შემონათებული, ალმაცერი სხივივით რომ გადაურბინათ ღიმილმა და, ბოლოს, თავაშვებულ ხარხარში გადაზრდილი მათი ხმადაბალი ფხუკუნი ქარიშხალივით დატრიალდა ოთახში.

ხებოგირამ ჩაბღუჯულ შარვალ-ხალათს დახედა და თავი სინანულით გადააქნია:

— ეგრე დავბერდი, ახალი ტანსაცმელი სიცოცხლეში ერთხელ არ მაღირსეთ... ახლა ხალხის ყბაში არ გინდათ, ჩავარდეთ, თორე... თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანი ვარ თუ ჩალმიანი თათარი... გამომაწყობთ, გამაკოხტავებთ და ისე გამისტუმრებთ, არა? არჩევანის უფლებასაც ხო მაძლევთ, დედას მივუწვე თუ მამასა!.. დალოცვილებო, ეგებ გავგიჟდი და სამკურნალო ვარ, ექიმი მოგეყვანათ, რაღა თოხს მაჩეჩებთ ხელში? თუ პირიქით, დაიჯერეთ, რომ მართლა ველოდები მიქელ-გაბრიელს და ნამდვილად მგლოვობთ, დურგალი და დამკვრელები მოიყვანეთ, სამხიარულოს ან გასახარელს რაღას ხედავთ — მე დამცინით, სიკვდილს თუ თქვენ თავს!.. უცრემლოდ, სიცილ-ხარხარით უპატრონო მკვდარსაც არ აცილებენ და, მე უბედურმა ასეთი რა შევცოდე... და თუ შევცოდე ხომ უფრო მეტად უნდა შეგებრალოთ, თავში ხელი იცეთ, ცოლმაც, შვილმაც, დედმამიშვილმაც!.. ჰმ, როგორ უცებ შეეგუეთ რომ აღარა ვარ!.. უცებ, უცებ... მიქელ-გაბრიელი უფრო გულმოწყალეა, შეიძლება მადროვოს, თქვენს ჯიბრზე ცოცხალს გამაცვეთინოს საკუბოვე ტანსაცმელი და, ხმამაღლა თუ არ იტყვით, გულში მაინც გაიფიქრებთ, ეს ამხელა ხარჯი ტყუილად რატომ გავწიეთო!.. დედასთან გირჩევნია თუ მამასთანაო, არა?.. თქვენი პატრონი არა ვარ მშობლებთან დამარხვის ღირსი, სადმე სასაფლაოს განაპირას, ცალკე ჩამფალით!.. — ძველი შარვალ-ხალათი ისევ „ტაბურეტზე“ მოისროლა, — ახლა მოდი და გამზომე! — უთხრა გახევებულ დურგალს და ლოგინზე გულაღმა გადაწოლილმა, ნიფხავ-პერანგიანმა ხებოგირამ მკერდზე ხელები დაიკრიფა...

გეგმიური რეიდი

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲝᲓᲔ წლის წინ გამგეობის შენობაში სწორედ იმ კაბინეტში ვიჯექი, ოთხმოცდაათიან წლებში მე რომ მეკუთვნოდა და ახლა დღევანდელმა პატრონმა ქალაქში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებასთან დაკავშირებით რომ მიმიწვია.

მაჩვენა პროგრამა. წავიკითხე, ზოგი რამ დავამატე, ზოგი რაღაც ამოვაგდე, პროგრამა მივუხაზ-მოვუხაზე და ფაქტობრივად განსხვავებული ვარიანტი შევთავაზე.

რა ვქნა ახლა, თან დროში ვიწვით და უფროსთანაც უკვე შეთანხმებულიაო, შეწუხებულმა წარბებშორის მიიჭირა კოტიტა საჩვენებელი თითის წვერი.

ან ასე, ანდა სხვაგვარად ღონისძიება ჩაგიფლავდებათ-მეთქი.

წელი სწყდებოდა, მაგრამ მაინც წავიდა უფროსთან ჩემეული პროგრამის საჩვენებლად.

მარტო დარჩენილმა მივიხედ-მოვიხედე — ფანჯრიდან ისევ ჩანს ქალაქის ცენტრალური მოედანი, შენობისკენ ზურგშექცეული, შინელიანი კაცის ძეგლი და ხელმარცხნივ, მტკვარგაღმა, თრიალეთის მთებს მიდგმულ გორაკზე ამოსული სალოცავი.

არც შიგნით, სახელისუფლებო შენობაში არ შეცვლილა არსებითად რამე — ავეჯის განლაგებაა განსხვავებული.

აი, რა ჩამიწერია ამ ოთახში თხუთმეტი წლის წინანდელ უბის წიგნაკში:

„...ოთხმოცდაცამეტის ჩვიდმეტ აგვისტოს კაბინეტის კარი დაუკაკუნებლად შემოაღეს და მხიარულ ქალთა ჯგუფი (ეგებ ჯობდა ჭკუამხიარული-მეთქი) დაუკითხავად შემოლაგდა.

წინ ოქროსკბილებიანი, მხარიღლივ ჩანთა ჩამოკონწიალებული დედაკაცი მოუძღოდათ და, ვიდრე ყურადღების ღირსად გამხდიდნენ, ოთახს და კუთხე-კუნჭულებს დაუწყეს თვალიერება.

რა გნებავთ, არ იტყვით, ვის ეძებთ, დამნაშავე ხომ არ გამოგექცათ-მეთქი.

— სანეპისადგურიდან ვართ! — მითხრა იმან, რომელიც უფროსობდა, ანუ ოქროსკბილებიანმა, — გეგმიური რეიდია ჩასატარებელი, — ახლა კედლის ძირში გაყოლებულ პლინტუსებს დაუწყო თვალიერება.

რეიდი რასთან დაკავშირებით-მეთქი.

წამალი უნდა დავყაროთ და თაგვები თუ შეგინიშნავთო.

— კი, როგორ არა, ნაახალწლევს მაგიდაზე დარჩენილი ტორტის ნაჭერი შემიჭამეს!

— სამსახურში ტორტს მიირთმევთ? — ნიშნისმოგებით გაეცინა ბოხხმიან დედაკაცს, რომელიც, როგორც შევატყვე, კომისიაში რანგით მეორე ნომერი უნდა ყოფილიყო.

— დიახ, და მხოლოდ ტორტს არა, შესვენებაზე, როგორც ჯანმრთელობისათვის საზიანო, მძიმე სამუშაოს შემსრულებლებს, რძეს და ხიზილალიან ბუტერბროდებსაც გვირიგებენ.

— აი, თურმე ყველა რატომ იწევს ამ შენობისაკენ!

— თქვენ უნდა თქვათ, ვცხოვრობთო...

— ტორტითა და ხიზილალით მოამრავლებენ მღრღნელებს და მერე თავში შენ უნდა იხალო!..

ოქროსკბილებიანმა კიდევ ერთხელ „გადაამოწმა“ ოთახის კუთხე-კუნჭული და, არ შეიძლება თაგვი არ გყავდეთ, იმხელა ხვრელებია პლინტუსის კუთხეებში, ხოლო კარის ღრიჭოებში, ორ ადგილას, ვირთხაც კარგად შემოეტევაო...

ალბათ, მაღლა და მაღლა, სართულებზე მღრღნელების რაოდენობა კლებულობს-მეთქი.

გეკადრებათ! წნევა და სიმაღლის შიში კი არ აწუხებთ — სწორედ თქვენს ზემოთ, მესამეზე, კაბინეტები აქვთ აკლებული და, აქაც რომ მომრავლდნენ, რა დაუშლით, თანაც თუკი ნამცხვრებით უმასპინძლდებითო.

დროებით კაბინეტის დატოვება მთხოვეს, რაზეც, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დავთანხმდი.

გასვლისას ვიკითხე, როგორც გავიგე, მღრღნელები და ბიუროკრატია ერთნაირი ხერხებითა და წარმატებით მიცოცავს მაღლა... ნეტავი საწამლავიც ერთნაირად ხომ არ იმოქმედებს, აქ დასაქმებულ ორფეხა ვირთხებზეც-მეთქი.

სამეული ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მზად ვერ აღმოჩნდა, სამაგიეროდ სხვამხრივ დამარიგეს:

— ისე, რომ იცოდეთ, თაგვიც და ვირთხაც მხოლოდ ოთხფეხაა, ბუნებაში ორფეხა მღრღნელი არ არსებობს! — ამიხსნა ოქროსკბილებიანმა და კითხვა-პასუხის რეჟიმიდან საქმეზე გადავიდა — ხელთათმანები მოირგო და გადაკიდული ხელჩანთა გახსნა.

— ორფეხა ვირთხაო!.. ეს რა ხუმარა ვინმე ყოფილა!.. ნამცხვრები კი არა, მიკვირს თვითონაც რომ არ შეჭამეს! — ზურგსუკნიდან მომესმა „რანგით მეორეს“ როხროხა ხმა.

ბედნიერები, წარმოდგენა რომ არა აქვთ ორფეხა ვირთხებზე, იმათ ამბიციებსა, მადასა და თავის ზომაზე გამოთხრილ, გასაძრომ-გამოსაძრომ ხვრელებზე, ესენი რომ ვერც აღმოაჩენენ და ვერც ამოავსებენ — დერეფანში გამოსული აჭრიალებულ იატაკზე ბოლთას ვცემდი და, ასე მეგონა, კედლის გაყოლებაზე, პირდაღებული ყველა ნაბზარიდან მღრღნელების ცნობისმოყვარე თვალები მომჩერებოდნენ...“

თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ იმ ჩემს ყოფილ კაბინეტში:

სად ჰქონდათ მაშინდელ „ორფეხებს“ დღევანდელების მადა, შესაძლებლობა და ასპარეზი.

ამ მხრივ, მათი „პროგრესი“ ნამდვილად აშკარა და თვალში საცემია, მაგრამ საინტერესოა, როგორ არის ოთხფეხა მღრღნელების საქმე, ჩამყაყებული სარდაფებიდან „დასაწინაურებლად“ სართულებზე კიდევ ამოდიან თუ არა?

სკამიდან ვდგები და უფროსთან წასული დღევანდელი მასპინძლის დაბრუნებამდე კუთხიდან კუთხემდე კედლის ძირში გაყოლებულ პლინტუსებქვეშ გამოღრუტნულ საიდუმლო საკომუნიკაციო ხვრელებს ვათვალიერებ.

გიორგი გოგუა

ენექის სამყარო

I

სიჭაბუკიდან მოყოლებული ხშირად მქონია სულის ის უცნაური მდგომარეობა, რომლის გამოც თავი, სხვა, უხილავი სამყაროს ნაწილად განმიცდია. ამ სამყაროში ყველაფერი ნამდვილს და მშობლიურს ჰგავდა. ვინ იცის, რამდენჯერ გამიარა გულში ფიქრმა — იქნებ, ეს სამყარო ჩვენი ნამდვილი სახლია, გზა კი, რომელმაც მასთან უნდა მიგვიყვანოს, ჩვენს ამქვეყნიურ სიცოცხლეზე გადის-მეთქი.

ასეთი შთაბეჭდილებების გადმოცემა რთულია, რადგან იმას, რასაც ადამიანები ღრმად განვიცდით — ენა ვერასოდეს გადმოსცემს თავისი სისრულით. თანაც არც ის დრო გამოირჩეოდა გრძნობისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვათა მრავალფეროვნებით, რომელშიც მე მიწევდა ცხოვრება.

ჩემი სამყარო ჭეშმარიტად ძველი დროის სამყარო იყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, სადაც გამართული მეტყველება და დამწერლობის ცოდნა დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. გამონაკლისს, ძირითადად, სხვადასხვა ტომის ბელადები და მათი ვიწრო წრე შეადგენდა. აზრიანად საუბარი და წერილობითი ინფორმაციის თიხის ფირფიტებზე ასახვის უნარი დიდ უპირატესობას გამოხატავდა იმ ფონზე, როდესაც ტომის რიგითი წევრების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და საკუთარი მწირი ლექსიკიდან ერთმანეთსაც ძლივს აგებინებდნენ სათქმელს.

ამ ფაქტს თავისი ახსნაც ჰქონდა. ჩემი დროის ყოფიერება ჯერ კიდევ პირვანდელი საწყისებით იმართებოდა. ამ პირვანდელობის გამო, შეიძლება ითქვას, მარტივად ვცხოვრობდით, თუმცა ხანდახან აქაც გამოგვერეოდა მცირედი და შემთხვევითი უსიამოვნებანი. ჩვენი დროის მთავარი დამახასიათებელი კი მაინც ის იყო, რომ არსებობისთვის არ გვჭირდებოდა ბუნებასთან ჭიდილი. არ ვცდილობდით ჩვენივე უნარების გამოყენებით ცხოვრებისთვის გაგვესწრო, პირობები გაგვეუმჯობესებინა და მეტი დოვლათი დაგვეგროვებინა. იოტისოდენა სურვილიც არ გვიჩნდებოდა საამისოდ. ცხოვრებისთვის სამყოფსა და საკმარისს თავად ბუნება გვიბოძებდა ხოლმე მისი უხვნაყოფიერი კალთიდან, ამის გამო მადლიერნი ვიყავით მისით.

მე ენექი ვარ, ჰადიშთა ტომის ბელადის — შათრის — მესამე, ყველაზე უმცროსი ვაჟი. ჩვენი ოჯახი ორი მდინარის ხეობაში, აიას მთის ძირში, ცხოვრობს ერთ მოსწორებულ გავაკებაზე. ევკალიპტის ვეება ხის ქვეშ კირქვით აშენებული და თიხის ფირფიტებით დახურული სახლი გვიდგას. სახლის თეთრ კედლებზე სუროა გასული, ეზოს მწვანე მოლზე კი ალაგ-ალაგ ფერადოვანი ყვავილები ხარობენ. სახლი და მისი ეზო ევკალიპტისავე წვრილი მესრითაა შემოსაზღვრული. ღობის გადაღმა ფერდობია, რომლის დაკლაკნილი ბილიკი მუხის ხესთან ჩადის. ჩაბურული მუხის ჩრდილში მთის ცივი წყარო მორაკრაკებს. საერთოდ, ჩვენი სამყოფელი დიდი და ლამაზია. ჩვენსავით თვალწარმტაცი ეზოკარი ორი მდინარის ხეობის ტომის რომელიმე ბელადს თუ ექნება მხოლოდ.

ჩვენს სახლთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. ოჯახში მუდამ მანებივრებდნენ ალერსიანი მოპყრობით და ნაირგვარი ბავშვური სურვილების ასრულებით. როცა მამა და ჩემი უფროსი ძმები ტომის სხვა წევრებთან ერთად სანადიროდ იყვნენ წასულნი, მე დედასთან და ორ მსახურ ქალთან ერთად მიხდებოდა შინ დარჩენა. რომ არ მომეწყინა, მსახურები მიმღეროდნენ საამურ სიმღერებს და ჰიმნებს ძველი ლეგენდებიდან. ისინი ეზოში სეირნობით და ათასგვარი ამბების თხრობითაც მართობდნენ, დედა კი ამ დროს მუდმივად რაღაცას ქსოვდა ან სანადიროდ წასული მამისა და ძმებისთვის ვახშამს ამზადებდა.

მე ჯერ კიდევ ღობეს არ გავცდენოდი, როცა ჩემი ძმები მამას მამაკაცურ საქმეებში ეხმარებოდნენ. იანესი და ნიბა — ჩვენი ტომის სხვა შვილებთან ერთად — აიას მთის კალთებზე შეფენილ უღრან ტყეში ნადირობდნენ უზარმაზარ დათვებსა და ეშვებიან ტახზე. ამ დროს იანესს, უფრო ძმას, დაბადებიდან ოცდაორი ზამთარი ჰქონდა გამოვლილი, ნიბას კი ცხრამეტი. ორივე ახოვანი ტანის ძლიერი ბიჭები იყვნენ. უფროსი განსაკუთრებით დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. ამ ასაკში იანესმა ვეება დათვი სწორედ იმ დროს წამოაგო ბასრ შუბზე, როცა გააფთრებული მხეცი თავისი ბასრი ბრჭყალებით წაბორძიკებულ მამას უპირებდა დაკოდვას. ეს ამბავი ჩვენს ტომშიც სწრაფად გავრცელდა. მოდიოდნენ ჩვენი თანატომელები და მათ ბელადს — შათრის — თავიანთი მწირი ლექსიკით გადარჩენას ულოცავდნენ. სახეზე დიდი ბედნიერება ეხატათ, როცა იანესს შესცქეროდნენ. მამას მზეგრძელობას უსურვებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ — ამაყობდნენ მათი მომავალი ტომის ბელადითაც. იანესი ამ დროს მორცხვად იღიმოდა და ქებას იფერებდა. ნიბას, მართალია, გაუხარდა უფროსი ძმის საერთო აღიარება, მაგრამ თავად თითქოს დაიჩრდილა კიდეც ამით. ასე აღვიქვი მე, როცა მის სახეს ვაკვირდებოდი. მომეჩვენა, თითქოს ის ჩრდილი სულშიაც ჩაუსახლდა. საბედნიეროდ, ამ მოვლენას არაფერი შეუცვლია ნიბას ბუნებაში, რადგან ძმობა — მიუხედავად ჩვენი განსხვავებული სურვილებისა და მიდრეკილებებისა — კარგი გვქონდა.

II

ასეთ გარემოში ვმწიფდებოდი. დედა და მოსამსახურეები მასწავლიდნენ საუბარს და რკინის მცირე საჭრეთლით თიხის ფირფიტებზე ასოების გამოყვანას. ყმაწვილობის ხანაში შინ დაბრუნებული მამისა და ძმების საღამოსპირული საუბრების მოსმენაც ხშირად მიწევდა. ისინი ყოველი მომდევნო ნადირობის ან შემთხვეული ფათერაკის ამბებს ჰყვებოდნენ და სახეს ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ალი უნათებდა. საოცარი სანახავი იყო ამ დროს ეს სამი კაცი. მათგან ერთი, ყველაზე უფროსი, ხის დიდ მორზე იჯდა. ცეცხლის ნათელი აჩენდა მის სიჭარმაგეშეპარულ ახოვან გულმკერდსა და ლომისებრ სახეს. მამა ძალის, გონიერების და დისციპლინის ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენდა და უპირატესი იყო ცეცხლის ამ სამ ღვთაებას შორის.

მე მიყვარდა მათთან ერთად ყოფნა უფრო ოჯახური სიმყუდროვის შეგრძნებით, ვიდრე ნადირობისადმი ჩემი ბუნებრივი ინტერესის გამო. თუმცა, თუკი საუბრისას რაიმე უჩვეულოს ან აუხსნელი, მისტიკური მოვლენის შესახებ ჩამოაგდებდნენ სიტყვას, მაშინვე სმენად ვიქცეოდი ხოლმე. ჩემი ამგვარი დამოკიდებულების გამო, მამისა და ოჯახის წევრების შეფასებით, ერთობ უცნაური ბიჭი ვიყავი.

ამასობაში დროც გავიდა. მეჩვიდმეტე ზამთარმა გაიარა ჩემი დაბადებიდან. სახლში უკვე საჭიროდ ჩათვალეს ჩემთვის რაიმე საქმის დაკისრება. რადგან ნადირობა არ მხიბლავდა და არც რაიმე სხვა ხიფათისშემყრელ საქმეს ვირჩევდი, მამამ ჩვენი ტომის შამანს მიმაბარა სამკურნალო საქმის შესასწავლად.

ამ დროიდან ჩემში ერთგვარი გარდატეხა დაიწყო. შამან აშურას — სათნო მოხუცს თეთრი წვერითა და ნათელი სახით — შევატყვე, დიდად ეამა ჩემი დამოწაფების ამბავი. სამკურნალო ბალახების ცნობას, შეგროვებასა და მათგან მიქსტურების დამზადებასაც მალევე ავუღე ალღო. პირველ ხანებში აშურას მთელი დღეები დავყვებოდი აიას მთის ფერდობებზე ბალახეულის შესაგროვებლად. აშურა დაუზარელი იყო სწავლებაში, როცა რაიმეს ვკითხავდი, ჩემს ცნობისწადილს არასოდეს უგულებელყოფდა. ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაიმე საგანზე საუბრისას მისი სიღრმეები შემეცნო. სამყაროსა და სიცოცხლის იდუმალებაზე აზრიანი ფიქრიც სწორედ მაშინ დავიწყე. რაც უფრო მეტ დროს ვატარებდი მოხუც შამანთან, მით უფრო მეტად ვგრძნობდი გაუცხოებას ოჯახისა და ჩვეული ყოფის მიმართ. საკუთარ თვისტომთა წრეში ტრიალი უკვე თავს მაბეზრებდა. თითქოს განდეგილად ვიქეცი, რომლისთვისაც ამ ქვეყნად მხოლოდ ერთ ადამიანთან ურთიერთობას ჰქონდა აზრი — ეს ადამიანი აშურა იყო.

ბოლო დროს აშურას დავალების შესასრულებლად აიას მთაზე უკვე მარტო მიწევდა ასვლა. ჩანდა, ბოლო დროს მოხუცს ჯანი გამოლეოდა. შამანი დროის უმეტეს ნაწილს საკუთარ, გამხარი მცენარეებით სავსე, პატარა ქოხში ატარებდა.

აია ორი მდინარის ხეობაში ყველაზე მაღალი მთა იყო. ადრე მის მწვერვალზე საკულტო, სარიტუალო და სამსხვერპლო ადგილიც კი იყო მონიშნული. ჩემს დროში დიდი არწივის სამზირს ეძახდნენ ამ ადგილს. მთის წვერზე კლდოვანი ქვაბული მართლაც არწივის ბუდეს წააგავდა. მისი სამზირიდან მთელი ხეობის დანახვა იყო შესაძლებელი. აია ჩემს წარმოდგენებში იმ სამყაროსთან გადებულ ხიდს ჰგავდა, რომლის თვალით ხილვაც მოკვდავებს არ შეეძლოთ.

დროთა განმავლობაში სინამდვილემ ჩემთვის ფასი დაკარგა. ან მე დავკარგე სინამდვილის თვალში ფასი. ჩემი ოჯახისა და ტომის წევრების საქმიანობა, მათი გარჯა და ზრუნვა ხვალინდელი დღისთვის უაზრო, უშინაარსო რუტინად და ამაოებად მეჩვენებოდა. მე უკვე ჩემს სამყაროში ვცხოვრობდი, ყოფიერებისგან ძალიან შორს. ადამიანური მისწრაფებები, თუნდაც ისეთი, როგორც იანესს გააჩნდა — გამხდარიყო მამის ღირსეული შემცვლელი და ტომის ბელადობა ეთავა — სასაცილოდ მეჩვენებოდა. სასაცილოდ მეჩვენებოდა ჩემი საკუთარი არსებობაც დროისა და ყოფის იმ ერთ პატარა მონაკვეთში, რომელშიც მე მოვევლინე ქვეყანას. მე გავხდი მარტოხელა, მაგრამ თავი მარტოსულად არასოდეს მიგრძნია. მოგვიანებით, როცა აშურა აღესრულა, მის ქოხში გადავედი შამანური საქმის გასაგრძელებლად. ახლა კი ვაგრძელებ ცხოვრებას და ველოდები დღეს, როდესაც დრო ნამდვილ სახლში დამაბრუნებს.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004